პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 დეკემბერი **პარასკევი** 2009

№292(12971) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## შოთა ადვოკაატთან თუ გიუნეშთან?

» გვერდი 2

# დინამოელებს უცხოეთში იწვევენ



გიორგი მერებაშვილი და გურამ კაშია:

## სავარაუდო მომავალი ბელგიაში, რუსეთში ან უკრაინაში

მოსალოდნელი ტრანსფერები » გვერდი 2



## კაპიტანს მეტოქეები არ აშინებს

არჩილ ტვილდიანი:

## დევდარიანთან პიროვნულადაც ვიზრდები

17-წლამდელთა თავკაცი შემადგენლობას ასახელებს

» გვერდი 2-3

# პაუზა



უცხოური ფეხბურთი » გვერდი 7-10



ოუენი:

## რამდენიმე კვირაა, 20 წლისა ვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი



დიკ ადვოკაატის (ცენტრში) პირველი ვარჯიში. მარჯვნივ შოთა არველაძე

# დიკ ადვოკაატი შოთასთან მივიდა

## არველაძე ტრაბზონში არ მიდის

**რონალდ კუმანთან** გამოთხოვების შემდეგ, ჰოლანდიის ჩემპიონი კლუბის თავკაცის პოსტი ვაკანტური რამდენიმე დღე იყო. ამ მოკლე პერიოდში გუნდს კუმანის თანაშემწეები, **მარტინ ჰაარი** და **შოთა არველაძე** ხელმძღვანელობდნენ. „ალკმაარის“ ბოსებმა არჩევანი **დიკ ადვოკაატზე** შეაჩერეს. მოგეხსენებათ, ადვოკაატი ბელგიის ეროვნული გუნდის თავკაცია. თუმცა ბენილუქსელთა შორის ამ ამბის მოგვარება პრობლემა არ ყოფილა. ჰოლანდიური კლუბის ხელმძღვანელობამ ბელგიის ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმებას მიაღწია. შესაბამისად, ადვოკაატი ბელგიის ნაკრების თავკაცად დარჩა და მას ნება დართეს მიმდინარე სეზონის ბოლომდე, პარარელურად უხელმძღვანელოს „ალკმაარს“.

ყველა ახალ მწვრთნელს გუნდში თავისი შტაბი მიჰყავს, მაგრამ... შოთას არაფერი ემუქრება. არველაძემ „ალკმაარს“ ბევრი შესძინა და სულაც არაა გასაკვირი, რომ ამ კლუბში თავისი სიტყვა ეთქმის. გარდა ამისა, შოთა და დიკ ადვოკაატი ჯერ კიდევ 2001 წლიდან იცნობენ ერთმანეთს. უფრო მეტიც, ამსტერდამის „აიაქსიდან“ გლაზგოს „რეინჯერსში“ არველაძე სწორედ ადვოკაატმა გადაიყვანა და შოტლანდიაში მათ ერთად წელიწადზე მეტხანს იმუშავეს.

როგორც გავიგეთ, შოთამ და ადვოკაატმა გუნდსა და სამომავლო გეგმებზე უკვე ისაუბრეს... და კიდევ ერთი ამბავი, რომელიც შოთას უკავშირდება. თურქულ სუპერლიგაში „ტრაბზონს“ გაუჭირდა და გასულ თვეში „სეულიდან“ **შენოლ გიუნეში** ჩაიყვანეს. გიუნეშმა გუნდში ვითარება გამოასწორა და ზედიზედ 2 მატჩი მოიგო. მას ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში უთქვამს, - მინდა, ასისტენტად ახალგაზრდა უცხოელი მწვრთნელი ჩამოვიყვანო დასავლეთ ევროპიდან და ეს ის კაცია, ფეხბურთელობისას თქვენი კერპი რომ იყოო. მასმედიელებს უმალ შოთა გაახსენდათ და ჰოლანდიაში დაუკავშირდნენ. არველაძემ მათ განუცხადა, რომ „ტრაბზონიდან“ წინადადება არ მიუღია, მაგრამ რომც მიიღოს, „ალკმაარის“ დატოვება მის უახლოეს გეგმებში არ შედის. იქვე დაამატა, რომ დღემდე ახსოვს ის ტკბილი წლები, რომლებიც „ტრაბზონში“, შენოლ გიუნეშთან მუშაობისას გაატარა. შოთამ გიუნეშსა და ყოფილ გუნდს წარმატებები უსურვა. თურქულ ვებგვერდებზე გამოქვეყნებული კომენტარის მიუხედავად გავიგეთ, რომ რონალდ კუმანის „ალკმაარიდან“ წასვლის შემდეგ, შოთას „ტრაბზონის“ ხელმძღვანელობა დაუკავშირდა და გიუნეშთან ერთად მუშაობა შესთავაზა, მაგრამ დადებითი პასუხი ვერ მიიღო და თურქებს ამის გაჟღერება არ სურთ.

**დავით ცაბაძე**

**U.19 XIII ტური**

| | |
|---|---|
| 35-ე სკოლა 1-აკადემია 91 | 1:1 |
| აკადემია 92-35-ე მეტეხი | 2:1 |
| შევარდენი-ვეფხვები | 2:0 |
| ავაზა-ოლიმპი | 2:0 |
| იმედი-ალაზანი | 0:3 |
| XXI საუკუნე/რეფერი-სასკო | 1:4 |
| ივერია/მაუდი-ოლიმპიკი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თს აკადემია 91 | 13 | 11 | 2 | 0 | 38-8 | 35 |
| 2. 35 სკოლა 1 | 13 | 11 | 1 | 1 | 38-13 | 34 |
| 3. ავაზა | 13 | 10 | 1 | 2 | 39-11 | 31 |
| 4. ივერია/მაუდი | 12 | 9 | 1 | 2 | 26-9 | 28 |
| 5. სასკო | 13 | 9 | 0 | 4 | 52-19 | 27 |
| 6. ოლიმპი (რუს) | 12 | 5 | 1 | 6 | 19-28 | 16 |
| 7. ვეფხვები | 13 | 5 | 1 | 7 | 24-29 | 16 |
| 8. შევარდენი 1906 | 13 | 5 | 0 | 8 | 21-28 | 15 |
| 9. ალაზანი 2007 | 12 | 4 | 1 | 7 | 11-20 | 13 |
| 10. ოლიმპიკი | 11 | 3 | 3 | 5 | 18-26 | 12 |
| 11. თს აკადემია 92 | 13 | 3 | 2 | 8 | 18-27 | 11 |
| 12. 35 მეტეხი | 13 | 2 | 1 | 10 | 21-44 | 7 |
| 13. იმედი | 13 | 2 | 1 | 10 | 14-40 | 7 |
| 14. XXI საუკუნე | 12 | 1 | 1 | 10 | 17-56 | 4 |

დინამო თბილისი
F.C. DINAMO TBILISI 1925

## განცხადება

საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისის აკადემია 12 და 13 დეკემბერს 11.00 საათზე დილმის საწვრთნელ ბაზაზე ატარებს შერჩევა-კონკურსს 1993-1994 დაბადებულ მოზარდთა შორის.

საკონტაქტო ტელეფონები 877 49 55 04; 899 26 30 01

სავარაუდო ტრანსფერები

# დინამოელებს უცხოეთში იწვევენ

## კაშიას ანჟი და ანდერლეხტი, მერებაშვილს მეტალისტი

ამ ბოლო დროს თბილისის „დინამოს“ სერიოზული საკადრო პრობლემები შეექმნა. ტრავმის გამო არ თამაშობდა **გიორგი მერებაშვილი**, ეს-ესაა დაუბრუნდა მოედანს **მათე ვაწაძე, ნიკა ფირცხალავამაც** უმძიმესი ოპერაციების შემდეგ თამაში ახლახან განაახლა. დაშავდა **ალექსანდრე კოშკაძეც**, რომელიც გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. კლუბიდან გაუშვეს **დავით დილმელაშვილი**, დუბლებში გადაიყვანეს **გია ნერგაძე** და ბუნებრივია, „დინამო“ ძველებურად ველარ გამოიყურება.

ამ ტრავმიანობისას ლიდერობა საკუთარ თავზე ცენტრალურმა მცველმა **გურამ კაშიამ** აიღო, რომელიც ბოლო დროს სულ უფრო დამაჯერებლად და სასარგებლოდ თამაშობს. ის არა მხოლოდ დაცვის საიმედოობაზე ზრუნავს, შეტევებშიც კარგად ერთვება და გოლეადორულ თვისებებსაც ავლენს. ამ სეზონში გურამმა უკვე 5 გოლი გაიტანა - სამი თავით, ორიც საჯარიმო დარტყმებით. მას ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია და 22 წლის ახალგაზრდაში სპეციალისტები დიდი მომავალს ხედავენ. ბუნებრივია, გურამ კაშიათი სელექციონერებიც დაინტერესდნენ და დიდი ხანია, გვესმის ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ კაშიას აყვანით ესა თუ ის კლუბი დაინტერესდა. დასახელებული იყო ესპანერი „მალაგა“, თურქული „ტრაბზონი“ და ასე შემდეგ.

ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია ეს ინფორმაციები, მაგრამ ის, რასაც ახლა მოგახსენებთ, გარწმუნებთ, გადამოწმებული და დადასტურებულია - თბილისის „დინამოს“ ცენტრალური მცველის აყვანა მახაჩყალის „ანჟისა“ და ბელგიურ გრანდს, ბრიუსელის „ანდერლეხტს“ სურს. სამწუხაროდ, თავად გურამთან დაკავშირება ვერაფრით მოვახერხეთ. მას თბილისის „დინამოსთან“ კონტრაქტი 2010 წლის ივნისში უმთავრდება...

შესაძლოა, დაღესტნელებს ჰქონდეთ კიდეც კაშიას გამოსასყიდი თანხა, მაგრამ რაც შეეხებათ ბელგიელებს... ბოლო წლებში იქაურ კლუბებსაც აწუხებთ ფინანსების ნაკლებობა. ისიც საკითხავია, აღმოსავლეთევროპელში გადაიხდიან იმ თანხას, რასაც თბილისის „დინამო“ კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ მოითხოვს? „დინამო“ საკუთარ პრესტიჟს გაუფრთხილდება და ეროვნულ ნაკრებში ნათამაშებ ფეხბურთელში 50 ან 100 ათას დოლარს ნამდვილად არ დაჰყაბულდება.

» მე-4 გვერდზე



გურამ კაშია

U 17

# ნაკრების კაპიტანს მეტოქეები არ აშინებს

## დევდარიანთან პიროვნულადაც ვიზრდები

ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში **გიორგი დევდარიანის** გუნდმა შოტლანდიაში გამართულ შესარჩევ ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

ელიტრაუნდში საქართველოს მეტოქეები უკვე გაირკვა: ჰოლანდია, ჩეხეთი და უკრაინა. ცნობისათვის: ელიტრაუნდის თამაშები 2010 წლის მარტში გაიმართება, ფინალური ეტაპი კი ამავე წლის მაისში, ლიხტენშტაინში.

კაპიტანზე გუნდის შედეგი ბევრად არის დამოკიდებული. საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი **აჩიკო ტვილდიანი** კი სწორედ საკაპიტნო ფეხბურთელია, გულიანი და მებრძოლი. ის გუნდში ავტორიტეტით სარგებლობს.

აჩიკო თვლის, რომ ელიტრაუნდში რთული მეტოქეები გვერგო, მაგრამ არა დაუმარცხებელი.



აჩიკო ტვილდიანი

*„ნესით, ჰოლანდია კარგი გუნდი უნდა იყოს, თუკი დიდების კვალიფიკაციიდან გამოვალთ, საფეხბურთო ქვეყანას წარმოადგენს. იმავეს ვიტყვი უკრაინასა და ჩეხეთზეც. თუმცა ჩვენს ასაკში ყველაფერი სხვაგვარადაა, მათ შორის ძალთა თანაფარდობაც. ჩვენს ასაკშიც დიდებივით რომ იყოს, შოტლანდიაში ვერც ამ ქვეყნის 17-წლამდელებს მოვუგებდით და ვერც კვიპროსს. შოტლანდია უფრო ძლიერი გვეგონა, მაინც მასპინძლები იყვნენ, მაგრამ აშკარად ვაჯობეთ...*

*ელიტრაუნდში შეიძლებოდა უფრო სუსტი მეტოქეები შეგვხვედროდა, შეიძლებოდა უფრო ძლიერებიც, მაგრამ აშკარად სუსტი გუნდები ხომ ვერ გავიდოდნენ? მთავარია, რომ მოსამზადებლად დრო გვაქვს და თანაც, ჩვენი მწვრთნელი გიორგი დევდარიანია, რაც ძალიან მაიმედებს. გიორგიმ ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბა და დაამტკიცა, რომ ძალიან კარგი სპეციალისტია. რომ იცოდეთ, ნაკრებმა მოსამზადებელი ეტაპის დაწყებიდან დღემდე ძალიან დიდი პროგრესს მიაღწია. ამას თითოეული ჩვენგანი გრძნობს...*

*საქართველოში ბევრი მწვრთნელია, მაგრამ დევდარიანი ყველაფრით გამორჩეულია. მასთან ვიზრდები არა მხოლოდ როგორც ფეხბურთელი, არამედ როგორც პიროვნება. ალბათ, ეს მთავარია, ფეხბურთი ხომ მხოლოდ კუნთების ვარჯიში არაა. ბოლო მაგალითს გავიხსენებ: 13 ნოემბერს, 100 ათასი ქართველი მონამის დღე აღინიშნებოდა. სკოლაში რამდენიმე ფეხბურთელი მივედით, ყველა მანქანაში ჩაგვსვა და მეტეხის ეკლესიაში წაგვიყვანა. ხან სვეტიცხოველში დავდივართ და ხან სად. გუნდის გასაძლიერებლად, მისი ერთსულოვნებისთვის, იმისთვის, ასეთი მოლოცვა ძალიან მნიშვნელოვანია. მერე სხვაგვარი მონდომებითა და გულით ვთამაშობთ...*

*ჩემი სურვილი რომ იყოს, ასეთ მწვრთნელს ცხოვრების ბოლომდე ვისურვებდი. გიორგი ნაკრების ყველა ფეხბურთელს იცნობს, ვინ რას წარმოადგენს და რა ხასიათი აქვს. ასე იყო ჩემთვის თემურ ფოცხვერია, რომელთანაც რამდენიმე წელი ვვარჯიშობდი. ერთი წელი 35-ე სკოლაში ზურაბ ხუბაევთან ვივარჯიშე და მერე თემურთან „ოლიმპში“ გადავედი. ფოცხვერიამ ჩემს განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. შემდეგ კი „საბურთალოში“ გადავედი, სადაც დევდარიანი მუშაობდა. პრინციპში, ფოცხვერია და დევდარიანი ძმაკაცები არიან, თავიდანვე ერთად იყვნენ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ფეხბურთელის გაზრდა ორივემ კარგად იცის“.*

გუნდის კაპიტანს 17-წლამდელთა ნაკრების დახასიათება ვთხოვეთ: *„ერთსულოვანი გუნდი ვართ, ყველამ იცის თავისი საქმე და როლი, მწვრთნელებით დაწყებული, ფეხბურთელებით დასრულებული. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და რაც მთავარია, მიზანი გვაქვს - შესაძლებლობების ზღვარზე ვითამაშოთ, ბოლომდე დავიხარჯოთ და გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია. ეს დევდარიანის დამსახურებაა“.*

ერთი თვის წინ აჩიკო ტვილდიანი მოსკოვის „სპარტაკში“ გასინჯეს. მართალია, მისი დარჩენა არ გადაწყვეტილა, მაგრამ რუსეთში გამგზავრება 16 წლის ფეხბურთელისთვის კარგი სკოლა გამოდგა:

*„ყველაფერი უმაღლეს ტემპში კეთდება და ამ სისწრაფეებთან შეგუება აუცილებელია. ამით იყო „სპარტაკში“ ვარჯიშები ჩემთვის მნიშვნელოვანი. პირველ ვარჯიშზე გამიჭირდა, რადგან ნამგზავრები ვიყავი და თანაც, ორი-სამი წლით უფროსებში მოვხვდი. თუმცა მერე ნაღდად არ დავჩაგრულვარ. როგორც ვიცი, მოსკოველები თავის წარმომადგენელს ელიტრაუნდშიგამოაგზავნიან და კიდევ დაგვაკვირდებიან. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსკოვის „სპარტაკში“ ვარჯიში სასარგებლო პრაქტიკა იყო“.*

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 17

# ორი კვირით ზუგდიდში

## რატომ არ ჩამოვიდა მახარაძე?

13 დეკემბერს დაიწყება და 27 დეკემბრამდე გასტანს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების კანდიდატთა შეკრება, რომელიც ზუგდიდში, „ბაიას“ ბაზაზე მოეწყობა. ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გიორგი დევდარიანი** სელექციას განაგრძობს და იმ ფეხბურთელებს არჩევს, რომლებმაც მომავალი წლის მარტში ჩვენი ქვეყნის ღირსება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდში უნდა დაიცვან.

შეკრებაზე გამოძახებულთაგან ჯერ იმ ფეხბურთელების ჩამონათვალს გაგაცნობთ, რომლებიც საქართველოში თამაშობენ.

მეკარე - **დავით ლეგაშვილი** (ნორჩი დინამოელი);

მცველები - **არჩილ ტვილდიანი** (საბურთალო), **გიორგი გაგნიძე** (ნორჩი დინამოელი), **ოთარ დოლიძე** (საბურთალო), **ცოტნე ხარაბაძე** (ტორპედო), **ლუკა თათხაშვილი** (ავაზა), **ლევან გაჩეჩილაძე** (ნორჩი დინამოელი), **დავით ფერაძე** (ზესტაფონი);

ნახევარმცველი - **შოთა დავლაშელიძე** (ვიტ ჯორჯია), **ლაშა პარუნაშვილი** (საბურთალო), **ვაკო ყაზაიშვილი** (საბურთალო).

თავდამსხმელები - **დავით ხუჯაძე** (ზესტაფონი), **ონისე ჩინჩალაძე** (ტორპედო), **გიორგი პაპავა** (საბურთალო), **ლევან კოშაძე** (საბურთალო), **დავით სხირტლაძე** (ნორჩი დინამოელი), **დავით ხოჭოლავა** (საბურთალო).

რაც შეეხება ლეგიონერებს, შეკრებაში მონაწილეობას მიიღებენ ნახევარმცველი **ლევან არველაძე** (დნეპრი), რომელიც ნაკრებს პირველ შესარჩევ ეტაპზეც ახლდა, ასევე შუახაზელი **გურამ ხვიჩია** (ლიკონერა, საბერძნეთი), თავდამსხმელი **რომეო გელენიძე** (მოსკოვის შრომითი რეზერვები, რუსეთი), ბელგიაში მოასპარეზე მცველი **მანდარია** და უკრაინული „ილიჩევეცის“ მეკარე, რომლის სახელსა და გვარსაც მალე დავაზუსტებთ. შეკრებას ზუგდიდში შეუერთდებიან „ბაიას“ წევრები, **ხუბუა**, **ფარჯიკია** და **შანავა**. თუ 1994-წლიანთა ნაკრებში არ უხმეს, მათ **სამუშიაც** დაემატება.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას“ წევრის, **გიორგი ჭანტურიას** ელიტრაუნდში თამაში გადაწყვეტილია და იგი ნაკრებს მოგვიანებით შეუერთდება. იმ ფეხბურთელებიდან, რომლებიც საქართველოს ღირსებას პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში იცავდნენ, ზუგდიდურ შეკრებაში მონაწილეობას **ლეგაშვილი, ტვილდიანი, გაგნიძე, დოლიძე, ხარაბაძე, პარუნაშვილი, ყაზაიშვილი, არველაძე, კოშაძე, სხირტლაძე, ხოჭოლავა** და **ხუბუა** გაემგზავრებიან. დევდარიანმა შეკრებაზე „დნეპრის“ ცენტრალურ მცველ **ლევან მახარაძესაც** უხმო, მაგრამ არ ჩამოსულა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეკრების ორგანიზებასთან ერთად, სპარინგპარტნიორების მოძიებაზეც იზრუნა. 9 და 11 თებერვალს ჩვენი ნაკრები ბელგიაში ადგილობრივ 17-წლამდელებს ამხანაგურად შეხვდება. ამხანაგური მატჩები ამით არ შემოიფარგლება და კიდევ მინიმუმ ორი თამაშის, ასევე უცხოური შეკრების ორგანიზებაა დაგეგმილი.

*„ნაკრების სელექციის პროცესი აქტიურად გრძელდება. გუნდის ბირთვი უკვე გამოკვეთილია, მაგრამ ნაკრებში ადგილი არავის აქვს გარანტირებული და ყველა ფეხბურთელი მაქსიმალურად უნდა დაიხარჯოს. ელიტრაუნდამდე ბევრი დრო აღარ დარჩა და ამიტომაც ნაკრების კანდიდატებს შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა მართებთ“*, - გვითხრა გიორგი დევდარიანმა.

დაბოლოს, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელის თხოვნას ვასრულებთ და მის კომენტარს შემოგთავაზებთ „ლელოს“ გუშინდელი ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ სიტყვებთან დაკავშირებით: *„კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ თუ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ჩემი იდეები არ გაიზიარა, ნაკრებში მუშაობის გაგრძელების აზრს ველარ ვხედავ, მაგრამ სავარაუდო გადადგომის შესახებ კატეგორიულად ნამდვილად არაფერი მითქვამს“.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

*რედაქციისგან:* რა თქმა უნდა, გაზეთი ვალდებულია, რესპონდენტის ნათქვამი მკითხველამდე ან სიტყვა-სიტყვით მიიტანოს, ან უკიდურეს შემთხვევაში ზუსტად გაავრცელოს მისი შინაარსი. „ლელოს“ გუშინდელი ნომრის პირველ გვერდზე გიორგი დევდარიანის სიტყვები ასე იყო გამოტანილი: „თუ ჩემი პირობები არ დააკმაყოფილეს, გადავდგები“. 17-წლამდელთა მწვრთნელი თავის პოზიციას აზუსტებს: „თუ ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ჩემი იდეები არ გაიზიარა, ნაკრებში მუშაობის გაგრძელების აზრს ველარ ვხედავ“. თუ კარგად დააკვირდებით, ამ ორ წინადადებას შორის არსებითი განსხვავება არ არის.

# ცოტა რამ მეტოქეებზე...

## მსოფლიოს ჩემპიონთა მძლეველი, მალტასთან დამარცხებული და ქართველი მეკარე

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ელიტრაუნდის წილისყრამ მეტოქეებად სამი ძლიერი ნაკრები არგუნა. როგორც იცით, ჩვენი გუნდი პირველ ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მონინაალმდეგეები ჩეხეთი, ჰოლანდია და უკრაინა იქნებიან. დაგვეთანხმებით, სამივე გუნდი ისეთია, მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის რომ იბრძოლებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამივე მათგანი ჯგუფის ფავორიტია, მაგრამ იმისიც გვჯერა, რომ ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი საქართველოს ნაკრებსაც ექნება. ჩვენს ჯგუფში მატჩები ჩეხეთში, მომავალი წლის 25 მარტს დაიწყება და 30 მარტს დასრულდება.

ქვემოთ მოკლედ გიამბობთ ჩვენი მეტოქეების განვლილი გზის შესახებ და მათ იმ შემადგენლობებს გაგაცნობთ, რომლითაც პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზეს.

### ჩეხეთი

სპეციალისტები მცირე უპირატესობას ჩეხებს ანიჭებენ. ეს ლოგიკურიცაა, რადგან მათ საკუთარი კედლების ფაქტორიც დაეხმარება და არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ელიტრაუნდის წილისყრისას პირველ კალათაში იყვნენ განთესილნი.

პირველ ეტაპზე ჩეხეთის ნაკრებმა სამივე მატჩი მოიგო და სხვათა შორის, 4:0 გაანადგურა შვეიცარია, რომელიც სულ ახლახანს 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ჩეხებმა ბელარუსს 1:0 სძლიეს, სან მარინო კი 4:0 გაანადგურეს.

მეკარეები: ირჟი ადამუშკა, ვლასტიმილ ვესელი.

მცველები: მატეი ჰრაბინა, მატეი ჰიბსი, მარეკ ჩეპალეკი, იან ტომსი, იან მიზიჩი, ვაცლავ პროშეკი.

ნახევარმცველები: მარეკ კრატკი, მარტინ ჰურკა, ფილიპ ტვარძიკი, პატრიკ ტვარძიკი, დომიკინ მანდულა, მარტინ კოვაჩი.

თავდამსხმელები: ტომაშ კალასი, ფილიპ როშივალი, მარტინ კრამეში, ტომაშ შესლაკი.

მწვრთნელი: ირჟი შტოლი

### ჰოლანდია

პირველ ეტაპზე ჰოლანდიელებმა მალტასთან დამარცხება (1:2) "მოახერხეს", მაგრამ დანარჩენი ორი მატჩი ანდორასა და ჩრდილოეთ ირლანდიას შესაბამისად, 4:0 და 1:0 მოუგეს და ელიტრაუნდში პირველი ადგილით გავიდნენ.

მეკარეები: პობი ვერპულსტი, ვოუტერ დრონკერსი.

მცველები: ფაბიან მიჩელ სპორკსლედე, მორენო რუტენი, სტეფანო დენსვილი, სანდრო შენკი, რიკ სტუი ვან დენ პერიკი, სვენ ნიუვპორტი.

ნახევარმცველები: ფერნანდო ლუისი, კრისტოფერ გოურკანი, დავი კლაასენი, არონ გილენი, იუსეფ ფენიპი, იოელ ვან ნიფი.

თავდამსხმელები: იურგენ ლოკადია, იპ ბარტელსი, ლესლი დე სა, იესპერ დროსტი.

მწვრთნელი: ჰანს შრივერი

### უკრაინა

ვერ ვიტყვით, რომ უკრაინელები ელიტრაუნდში დამაჯერებლად გავიდნენ. მართალია, პირველი რაუნდი დაუმარცხებლად განვლეს და ბოლო ტურში საფრანგეთთან ფრეს (1:1) მიაღწიეს, მაგრამ მანამდე ჯერ ესტონეთთან დასჯერდნენ ნულოვან ფრეს, შემდეგ კი სლოვენიას 1:0 სძლიეს. უკრაინის ნაკრები ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა.

პირველ ეტაპზე უკრაინელთა კარი სამივე მატჩში შეუცვლელად დაიცვა ქართული წარმოშობის მეკარე ზაურ მახარაძემ.

მეკარეები: ზაურ მახარაძე, ვლადისლავ ლეონიდოვი.

მცველები: ილია გლუშიცკი, დენის ბალანი, ვიტალი პრინდეტა, ანტონ ბრატკოვი, იან კოვალევსკი, სერგეი მელნიკი.

ნახევარმცველები: ალექსანდრ ციბულნიკი, ივან ლუკანიუკი, სერგეი შევცოვი, როსტისლავ ბალდასაროვი, იური იაკოვენკო, სერგეი ვაკულენკო.

თავდამსხმელები: ვლადისლავ კალიტვინცევი, ვიაჩესლავ ჩურკო, იასინ ჰამიდი, არტიომ ფილიმონოვი.

მწვრთნელი: ალექსანდ ლისენკო

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიდრე შევისვენებდეთ...



შარშან სუპერთასისთვის ერთმანეთს დინამო და ზესტაფონი შეხვდნენ

# ორშაბათიდან ეპიცენტრი იცვლება

რაღა დარჩა - ერთი ტურიც და ჩემპიონატში თვენახევრიანი პაუზა გამოცხადდება. თუმცა, 2009 წლის საფეხბურთო სეზონი ხვალინდელი მატჩებით არ სრულდება - ზამთრის შესვენებამდე ჯერ თასის ნახევარფინალის კენჭისყრაა ჩასატარებელი, შემდეგ კი სუპერთასის შეხვედრაც გველოდება. აი, 18 დეკემბრიდან კი უკვე, მართლაც, „არასაფეხბურთო დღეები“ იწყება და ბარემ, იმასაც შეგახსენებთ, რომ მეორე ეტაპის (ანუ, მესამე წრის) პირველი ტურის მატჩები მომავალი წლის 6-7 თებერვალს ჩატარდება. თუმცა, მთლად „არასაფეხბურთო დღეებიც“ არ იქნება: გუნდების მწვრთნელ-ფეხბურთელები ჯერ დამსახურებულ, მაგრამ მოკლევადიან არდადეგებზე გავლენ (ლეგიონერები, ალბათ, სამშობლოს მიაშურებენ), შემდეგ კი მეორე ეტაპისათვის მზადებაც დაიწყება. ოღონდ, ამ შემთხვევაში ჩემპიონატში მონაწილე ათივე გუნდი სხვადასხვა სიტუაციაში იქნება: შედარებით შეძლებულნი უცხოეთში გაივლიან შეკრებას, ზოგმა, შესაძლოა, საქართველოს შავიზღვისპირეთი აირჩიოს, ნაწილი კი... ადგილზე მოემზადება. არადა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რას ნიშნავს ჩვენთან იანვარში „ადგილზე მომზადება“...

ეს ყველაფერი იანვარში იქნება, მაგრამ მანამდე ხომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ერთი ტურია; მეთვრამეტე ტურის წინათქმას „ლელოს“ ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ და დღეს მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპის ყველა მატჩი 14 საათზე დაიწყება. თუმცა, ტელემაყურებელთა ინტერესებიც გათვალისწინებული იქნება: „დინამო“-“სამტრედიას“ შეხვედრის ვიდეოჩანაწერი პირველი არხის ეთერში 18 საათზე გავა.

აი, ორშაბათს კი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში თასის ნახევარფინალისტების კენჭისყრა მოეწყობა. თბილისის „დინამო“, თბილისის „ვიტ ჯორჯია“, ცხინვალის „სპარტაკი“, მარტვილის „მერანი“ - ამ ოთხეულიდან ორი ნახევარფინალური წყვილი შედგება და წყვილებში გამარჯვებულნიც სანუკვარი ფინალის საგზურს მიიღებენ. საერთოდ, ტრადიციასავით იქცა, რომ სათასო ნახევარფინალებს ყოველთვის დიდი ინტერესით ველოდებით; თუმცა საქართველოს 2009/10 წლების თასის გათამაშებამ უკვე იმდენი სიურპრიზი შემოგვთავაზა, რომ თითქმის ყველა წინა ტურნირი დაჩრდილა - ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პირველად მოხდა, რომ თასის ნახევარფინალში პირველი ლიგის გუნდი გავიდა. ამას გარდა, ოთხი ნახევარფინალისტიდან სამ გუნდს („ვიტ ჯორჯია“, „სპარტაკი“, „მერანი“) ფინალში არასდროს უასპარეზია და ესეც, რაღა თქმა უნდა, დამატებით ინტრიგას მატებს წლევანდელ გათამაშებას. მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, ორშაბათს დაველოდოთ და მხოლოდ იმასღა დავძენთ, რომ პირველი ნახევარფინალური მატჩები 19-20 მარტს ჩატარდება, ხოლო განმეორებითი - 13-14 აპრილს.

აი, ორშაბათის შემდეგ კი „საფეხბურთო ეპიცენტრში“ რუსთავი, კერძოდ, „ფოლადის“ სტადიონი მოექცევა, სადაც 2009 წლის საქართველოს სუპერთასის მატჩი ჩატარდება! ნიშანდობლივია, რომ სუპერთასის მონაწილე გუნდები („დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“) ახლადდაგებულ ხელოვნურსაფრიან მოედანზე იასპარეზებენ და ფეხბურთელებსაც საწუწუნო აღარაფერი ექნებათ: მოედანი უსწორმასწორო იყო ან ტალახმა თუ გუბეებმა შეგვიშალეს ხელიო; მოკლედ, კლიმატურ პირობებზე ფეხბურთელები ნამდვილად ვერ დაიჩივლებენ და ეს, მხოლოდ გულშემატკივრებმა უნდა იკითხონ...

სუპერთასის მატჩამდე ხუთი დღეა დარჩენილი, მაგრამ კიდევ ერთხელ გვინდა შეგახსენოთ ამ გათამაშების რეგლამენტი. რა თქმა უნდა, იმას არ ვგულისხმობთ, ამ საპატიო პრიზისთვის, როგორც წესი, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი და თასის მფლობელი რომ იბრძვიან. მატჩი ჩატარდება საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალის პრინციპით; ანუ, თუ შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდება, დაინიშნება ორი 15-წუთიანი დამატებითი ტაიმი; დამატებითი დროის ფრედ დასრულების შემთხვევაში კი უკვე პენალტების სერია. ახლა კი, დისციპლინარულ სასჯელებზეც: „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებმა ხვალინდელ ტურში რაც უნდა წითელ-ყვითელი ბარათები მიიღონ, სუპერთასის მატჩზე არ იმოქმედებს! ამ ყველაფერზე საქართველოს 2009/10 წლების ჩემპიონატისა და თასის გათამაშების რეგლამენტშია მითითებული: **„სუპერთასის მატჩამდე მიღებული ყვითელი და წითელი ბარათები არ მოქმედებს სუპერთასის მატჩზე. სუპერთასის მატჩი ფეხბურთელს (ან მწვრთნელს) არ ეთვლება „სასჯელის მოხდაში“.**

ანუ, ვქვათ, „დინამოს“ ან „ვიტ ჯორჯიას“ რომელიმე ფეხბურთელმა ხვალინდელ ტურში წითელი ბარათი მიიღო, - ამის გამო სუპერთასის მატჩს მაინც არ გამოტოვებენ, ოღონდ, ჩემპიონატის უახლოეს შეხვედრაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. რაც შეეხება უშუალოდ სუპერთასის მატჩში მიღებულ ყვითელ-წითელ ბარათებს, აქ, საქმე შემდეგნაირად არის: ყვითელი ბარათი არაფერზე იმოქმედებს, სამაგიეროდ, წითელი ბარათი გადადის ჩემპიონატისა და თასის თამაშებში. ასეც უნდა იყოს, თორემ, როცა ფეხბურთელს ეცოდინება, რომ გაძევების შემთხვევაშიც არ მოუწევს მომდევნო მატჩის გამოტოვება, ადვილი წარმოსადგენია, როგორი განწყობით გამოვა მოედანზე; მით უფრო, როცა საქმე ეხება სუპერთასის შეხვედრას, სადაც ფულადი ჯილდოც არის დაწესებული...

**გია ტუხაშვილი**

ლეგიონი



გიორგი ადამია ინტერთან მატჩში

# ინტერს გაუსწრეს

გუშინ აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში დასრულდა სამ დღეზე განელილი მე-14 ტური, რომლის შემდეგაც **კახა ცხადაძის** „ინტერმა" ლიდერობა დაკარგა და „ყარაბახს" სამი ქულით ჩამორჩა. „ბაქი"-"ინტერის" შეხვედრაზე უკვე ვწერდით. ვნახოთ, რით გამოირჩნენ ქართველი ლეგიონერები სხვა მატჩებში.

აუტსაიდერთა ჯგუფის წევრების, „ქარვანისა" და „თურანის" დაპირისპირება მოსაწყენი გამოდგა და 0:0 დასრულდა. მასპინძელთა ქართველმა მცველმა **ალექსანდრე ინწკირველმა** მეორე ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. „ქარვანი" 14 თამაშიდან 6 ქულით ბოლო ადგილზეა. ზაქათალაში მოულოდნელად დაკარგა ქულები „სიმურგმა", რომელიც აუტსაიდერ „სტანდარდს" სტუმრობდა - 1:1. მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში **თეიმურაზ ღონღაძემ** და **კახაბერ ჩხეტიანმა** ითამაშეს, **რომან ახალკაცი** სათადარიგო იყო, **დავით ბოლქვაძე** კი ტრავმირებულია. სტუმართა შორის 90-90 წუთი ითამაშეს **გიორგი სეთურიძემ** და **სერგი ორბელაძემ**, **დავით ქიქვეიშვილი** 89-ე წუთზე შემოვიდა, **ლევან სილაგაძე** კი ტრავმირებულია. „სიმურგი" 26 ქულით მე-4 ადგილზეა, ხოლო „სტანდარდი" 6 ქულით ბოლოსწინაა. „გაბალამ" ბაქოში ქულები დააკარგვინა „ნეფთჩის" - 1:1. **გოგა ბერაიამ** სტუმართა შორის 90 წუთი ითამაშა, ხოლო **რევაზ გეწაძე** სათადარიგო იყო. „გაბალა" 23 ქულით მე-7-ეა. „ოლიმპიკი" ლენქორანში „ხაზართან" 1:2 დამარცხდა. სტუმართა ნახევარმცველმა **ნუგზარ კვირტიამ** შეუცვლელად ითამაშა, „ოლიმპიკი" 16 ქულით მერვე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სავარაუდო ტრანსფერები

# დინამოელებს უცხოეთში იწვევენ

« მეორე გვერდიდან

ბელგიელთა სელექცია კი იაფფასიან ბაზრებზეა გათვლილი. რაც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, ქართული კლუბები ასეთთა კატეგორიას არ განეკუთვნებიან. მაგრამ აქ ვგულისხმობთ ნაკრებში მოთამაშე ფეხბურთელებს. ბალკანელები, აფრიკელები და სამხრეთამერიკელები ხშირად უფრო იაფფასიან გარიგებებს ყაბულდებიან.

ასე რომ, ეს ტრანსფერი ცოტა შორეულ პერსპექტივაში უფრო იკვეთება, ვიდრე უახლოეს პერიოდში. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ გურამ კაშიას ხელშეკრულების ვადა მომავალი წლის ზაფხულში ეწურება და როგორც შევიტყვეთ, მანამდე ის კლუბის დატოვებას არ აპირებს. თავისუფალი აგენტის სტატუსით წასვლა ბევრად უფრო სასურველია და დაინტერესებული კლუბებიც უფრო თამამად იმოქმედებენ. თავად ფეხბურთელისა და კლუბის ინტერესი კი, ალბათ, ერთმანეთს ემთხვევა - „დინამოს" სურს, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ცნობილ კლუბში გაუშვას, რაც თავად ფეხბურთელსაც იზიდავს. თუმცა საბოლოოდ რა გადაწყდება, ჯერ არავინ იცის.

საინტერესო წინადადებები აქვს „დინამოს" ლიდერ მერებაშვილსაც. მას ზაფხულში „ვერდერი" იწვევდა, მაგრამ გარიგება ვერ შედგა. მერე უეფას თასის ბოლო გათამაშების მეოთხედფინალისტი ხარკოვის „მეტალისტი" გამოჩნდა, რომელიც მზად იყო, ნახევარი მილიონი დოლარი გადაეხადა - „დინამოსთვის" ესეც მიუღებელი პირობა აღმოჩნდა. ალბათ, ეს კლუბის რეპუტაციის დაცვის მცდელობაა. თუმცა რამდენად რეალური იქნება კლუბის მოთხოვნებისა და დაინტერესებულ უცხოელთა ინტერესების თანხვედრა, ამას უახლოესი პერიოდი გვაჩვენებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართველები უცხოურ პრესაში

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

# სასიხარულოა, როცა ჯოკრად გთვლიან

## რატომაა ასათიანისთვის ცსკა გამორჩეული გუნდი

გასული წლის შეჯამება, წარსულის ანალიზი და გაუხმაურებელი ფაქტები... ერთი სიტყვით, პოპულარულმა „სპორტ-ექსპრესმა" მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველ მალხაზ ასათიანის ინტერვიუ გამოაქვეყნა. ეს მასალა ჩვენი მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული. ინტერვიუს მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

### სპარტაკმა გააბრაზა და ესპანელი მეტოქე სურს

**- ბოლო ტურში „ხიმკი" კი დამარცხეთ, მაგრამ სანკტ პეტერბურგში „სპარტაკმა" „ზენიტს" ქულები ვერ დააკარგვინა და საპრიზო ადგილის გარდა, ჩემპიონთა ლიგის საგზურიც ვერ მოიპოვეთ. საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდით, გეწყინათ თუ გაგეხარდათ?**

- ვფიქრობ, ამ შედეგით კმაყოფილი უნდა ვიყოთ. გავიხსენოთ ცხრილში რომელ საფეხურზე იყო „ლოკომოტივი" იური სიომინის მოსვლამდე. მაშინ რომ შემოეთავაზებინათ ჩვენთვის მე-4 ადგილი, დაუფიქრებლად დავთანხმდებოდით. ეს შევძელით და რატომ არ უნდა ვიყოთ კმაყოფილი? როცა წარუმატებლობას მოგებები ცვლის, ქულებს აგროვებ და ცხრილში მოწინავე გუნდებს უახლოვდები, მეტი და მეტი გინდა... სამწუხაროა, რომ მესამე ადგილი ვერ დავიკავეთ. ჩემპიონთა ლიგა და ევროპის ლიგა ერთმანეთისგან განსხვავებული ტურნირებია. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ჩვენთვის ნებისმიერი ევროტურნირი მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, უკვე 2 წელია ევროთასებზე არ გვითამაშია. ასე რომ, მეოთხე ადგილით ამჯერად კმაყოფილები ვართ. თუმცა მომდევნო ჩემპიონატში ეს პოზიცია უკვე აღარ დაგვაკმაყოფილებს, უფრო მაღალი ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**- „ხიმკისთან" მატჩზე ერთსაც გკითხავთ. თამაშის მსვლელობისას სტადიონის დიქტორმა გამოაცხადა, რომ „ზენიტი" 2:0-ს უგებდა „სპარტაკს". ამ ინფორმაციამ თქვენი გუნდი ფსიქოლოგიურად გატეხა. ტრიბუნაზე მაშინვე თქვეს, - რკინიგზელებმა ხელი ჩაიქნიესო...**

- არც ვიცი, ვინ რას ფიქრობდა და რას ამბობდა. ეს ინფორმაცია მეც მოვისმინე და სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. „სპარტაკს" უკვე გარანტირებული ჰქონდა ვერცხლის მედალი, სანკტ პეტერბურგში მოტივაციის გარეშე თამაშობდა და შესაბამისად, „ზენიტის" წარმატება მოსალოდნელიც კი იყო.

**- საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში „ლოკომოტივისთვის" რომელი მატჩი იყო საკვანძო?**

- „სატურნისთვის" შინ უნდა მოგვეგო... არაერთი მატჩის ჩამოთვლა შეიძლება... ბევრი უპატიებელი ქულა დავკარგეთ და მეოთხე ადგილიც დავიმსახურეთ.

**- ყველაზე მეტად რომელი თამაში დაგამახსოვრდათ?**

- ცსკა-სთან, „სპარტაკთან", „რუბინთან", „ზენიტთან"... ანუ, ფავორიტების წინააღმდეგ ჩატარებული მატჩები. დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ ცსკა-სა და „რუბინთან" მოგებულ შეხვედრებს. „სპარტაკთან" წაგებამ კი ძალიან გაგვაბრაზა.

**- ამბობენ, ასათიანისთვის ცსკა გამორჩეული გუნდიაო. მართალია?**

- დიახ, ასეა. ბოლო წლებია, ცსკა-ს წინააღმდეგ მოედანზე თუ ვარ, იმ მატჩს „ლოკომოტივი" არასდროს აგებს. ამ მხრივ არც ეს სეზონი იყო გამონაკლისი.

**- გამოდის, რომ არმიელთა წინააღმდეგ აუცილებლად უნდა გათამაშონ?**

- ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. მწვრთნელებმა უკეთ იციან, ვინ ათამაშონ...

**- გაისად ევროპის ლიგაზე მოგიწევთ ასპარეზობა. მეტოქედ რომელი ქვეყნის გუნდს ისურვებდით?**



- რომელიმე თბილი ქვეყნის გუნდს, სადაც ყოველთვის თბილი მზე ანათებს. მაგალითად, ესპანურ კლუბს...

### გულში ბოღმის ჩადება არ მჩვევია

**- შარშან ზამთარში აბსოლუტურად განსხვავებულ ვითარებაში იყავით. „ლოკომოტივის" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა რაშიდ რახიმოვმა არა მარტო შემადგენლობიდან ამოგაგდოთ, არამედ 18-კაციან განაცხადშიც არ გსვამდათ...**

- არც კი მინდა იმ პერიოდის გახსენება. მაშინ ძლიერ მაწუხებდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. რახიმოვმა მოსამზადებელ შეკრებაზე გასამგზავრებელთა სიაშიც არ ჩამსვა და არ ვიცოდი, რა მექნა, სად მევარჯიშა... ახლა ვიცი, რა უნდა გავაკეთო, სამომავლო გეგმები დაწყობილი მაქვს და ეს მომენტი ფეხბურთელს ყოველთვის რწმენას, თავდაჯერებას მატებს. იმედი მაქვს, მსგავსი პერიოდი ჩემს კარიერაში აღარ იქნება.

**- რახიმოვმა არ აგიხსნათ, რატომ დაგტოვათ მთავარი გუნდის მიღმა?**

- არა. ეს უკვე წარსულია და ვფიქრობ, აღარ ღირს ამ თემის გახსენება. მაშინ ჩემზე მწვრთნელი სხვაგვარად ფიქრობდა, მაგრამ ყველას თავისი აზრი აქვს... ბოღმის გულში ჩადება არ მჩვევია. ადამიანს უნდა შეეძლოს მძიმე პერიოდის ღირსეულად გადატანა და შეძლოს, გაუმკლავდეს პრობლემებს.

**- „ამკართან" მატჩამდე რახიმოვი ნახეთ. ხომ არ შეცბით?**

- არა, იმ დღეს ორჯერ შევეჩეხეთ ერთმანეთს - მატჩამდე და მის შემდეგ. ერთმანეთს მივესალმეთ და წარმატებები ვუსურვეთ. ეს იყო და ეს.

### ოქროს მედალი ჯერ არ მოუციათ...

**- მიმავალ წელიწადზე ვსაუბრობთ და კიევშიც მოასწარით თამაში... ალბათ, უკრაინული სალოს შეყვარებაც მოასწარით...**

- არა, არა... როცა სამზარეულოზე მიდგება საქმე, უკრაინაში ყველა სალოს ახსენებს. საქართველოში მთავარი მწვადი და ხაჭაპურია, რუსეთში კი ბორში.

**- გატყობთ, სალო არ მოგეწონათ...**

- რატომაც არა? გავსინჯე და მომეწონა. საერთოდ კი კიევი ჩემთვის უცხო ქალაქი ნამდვილად არ არის. იქ ადრეც ხშირად ჩავდიოდი ხოლმე მეგობრებთან ერთად. ბოლო წლებია, რაც მოსკოვი-თბილისის პირდაპირი ავიარეისები გაუქმებულია და სამშობლოში ხშირად დავბრუნებულვარ უკრაინის დედაქალაქის გავლით... ასე რომ, კიევი ჩემთვის ნაცნობი ქალაქია. რაც შეეხება იქაურ „დინამოს", კლუბში კარგად მიმიღეს. იმ პერიოდში „ლოკომოტივი" დავტოვე, უთამაშებელი ვიყავი და ისეთ გუნდს ვეძებდი, სადაც მენდობოდნენ და თამაში მომიწევდა. ერთი სიტყვით, კიევის „დინამოს" სახით რასაც ვეძებდი, სწორედ ის ვიპოვე.

**- „ლოკომოტივში" რახიმოვთან" განცდილი სტრესის შემდეგ ე. ი. კიევში ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია გაიარეთ?**

- შეიძლება ითქვას ასე იყო. კიევის „დინამოში" ფორმა აღვიდგინე, საკუთარი ძალების რწმენა დავუბრუნე, სათამაშო პრაქტიკაც მქონდა და მწყობრში ჩავდექი.

**- ...და ისევ „ლოკომოტივში" დაბრუნდით. არ გიფიქრიათ, რომ რკინიგზელთა გუნდში შეიძლებოდა ისევ სათადარიგთა სკამზე აღმოჩენილიყავით?**

- არა, ამისი ნამდვილად არ მეშინოდა. რა თქმა უნდა, ჩემი ასეთი თავდაჯერებულობა სიომინის ფაქტორით იყო განპირობებული. იური პავლოვიჩი კარგა ხანია მიცნობს და ჩინებულად იცის ჩემი შესაძლებლობები. ზაფხულში კიეველებმა საიჯარო კონტრაქტის გაგრძელებაც შემომთავაზეს, მაგრამ „ლოკომოტივში" დაბრუნება მერჩივნა... კლუბის პრეზიდენტ იგორ სურკისს შევხვდი, მადლობა გადავუხადე და მოსკოვში გამოვემგზავრე. აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი, რომ „ლოკომოტივში" კარგად ამეწყობოდა საქმე. სიომინის ფაქტორის გარდა ზურგს ისიც მიმაგრებდა, რომ სათამაშო პრაქტიკა აღარ მაკლდა და ფორმაში ვიყავი.

**- უკრაინაში ჩემპიონი გახდით. კიევში მოპოვებულ ოქროს მედალს სად ინახავთ?**

- სხვათა შორის, მედალი ჯერ არ მიმიღია. იმედი მაქვს, მომცემენ. ვფიქრობ, საამისოდ მალე მომიწევს კიევში ჩასვლა.

### მშვიდობა, ჯანმრთელობა და სიყვარული

**- ბანქოს თუ თამაშობთ?**

- არა. ბავშვობაში ვთამაშობდი, მაგრამ კარგა ხანია აღარ მითამაშია და დამავიწყდა კიდეც.

**- ვლადიმირ ბისტროვთან ერთად, მცველებს შორის ჩემპიონატის „საუკეთესო ჯოკერად" დაგასახელეს. რისი თქმა შეგიძლიათ?**

- აა, ბანქო იმიტომ ახსენეთ? რა მეთქმის, სასიხარულოა, როცა ჯოკერად მიგიჩნევენ... რადგან ასე მიაჩნიათ, გამოდის, რომ ჩემი თამაში მოსწონთ კიდეც. ფეხბურთი გულშემატკივრის თამაშია და მეც სწორედ ხალხისთვის ვთამაშობ.

**- გასულ სეზონში თქვენ ვის გამოყოფდით?**

- ჯანო ანანიძეს. ის ახლახან გახდა 17 წლის და უკვე არაერთი მატჩი ითამაშა „სპარტაკის" მთავარ გუნდში, გოლებიც გაიტანა და გამორჩეულიც იყო.

**- ჯანოს ახლოს იცნობთ?**

- ადრე არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ დუბლებში ჩემი თანამემამულე გამოდიოდა და როცა ტელევიზიით თვალს ვადევნებდი მის თამაშებს, რა თქმა უნდა, ვგულშემატკივრობდი კიდეც. „სპარტაკთან" მატჩში სწორედ მან გაგვიტანა გოლი. მატჩის შემდეგ გულთბილი შეხვედრა გვქონდა, მოგება მივულოცე და წარმატებები ვუსურვე.

**- ახალ წელს სად შეხვდებით?**

- სამშობლოში, ოჯახის წევრებთან, მეგობრებსა და ახლობლებთან ერთად. სუფრას გავშლით, შუაღამეს დაველოდებით და შესრულდება თუ არა 12 საათი, გავისვრით...

**- გაისვრით?**

- ჰო, მაგრამ ავტომატს კი არა, პეტარდებს, მაშხალებს...

**- რა იქნება თქვენი საახალწლო ნატვრა?**

- უპირველესად, მშვიდობა! კონფლიქტები აღარ გვინდა. სიმშვიდე, ჯანმრთელობა და სიყვარული... ეს არის ჩემი საახალწლო სურვილი.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეგიონერი

# კრშკოს დაგვემშვიდობა...

საქართველოს ჩემპიონატში (1990 წლიდან მოყოლებული დღემდე) უამრავ ლეგიონერს უასპარეზია; ზოგმა, მართლაც, კვალი დაატყო ჩვენს ჩემპიონატს, ზოგმა საკუთარი შესაძლებლობები ვერ გამოავლინა, ზოგის აქ ჩამოსვლა კი დღემდე დიდ გამოცანად რჩება. თუმცა, როგორც წესი, მეხსიერებას ყოველთვის გამორჩეული ფეხბურთელები შემორჩებიან ხოლმე და, საბედნიეროდ, ამ ოცი წლის განმავლობაში ჩვენს ჩემპიონატში მრავლად იყვნენ მაღალი კლასის ლეგიონერები: **რობერტას ფრიდრიკასი, რიმას მაჟეიკასი, ვირგილიუს ბალტუშნიკასი** (სამივე - ლიტვა), **ზაურ ხაპოვი** (რუსეთი), **დენი დონდტი** (ბელგია), **ტიაგო, კარლოსი, ჟილვან ვიეირა** (სამივე - ბრაზილია), **ნედ ზელიჩი** (ავსტრალია), **დიდიე ოვონო, პოლ კესანი** (ორივე - გაბონი), **დე პორასი** (არგენტინა), **ანდრეი პოროშინი** (უკრაინა) და სხვები (შესაძლოა, ვინმე გამოგვრჩა კიდეც). სხვისი რა მოგახსენოთ და სწორედ ამ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ **მილოშ კრშკოც**, თბილისის „დინამოს“ სლოვაკი მცველი, ორსეზონნახევრის განმავლობაში ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ.



მილოშ კრშკო

...სულ ახლახან შევიტყვეთ - საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე კრშკო სამშობლოში გამგზავრებულა; სამწუხაროდ, ამა წლის 15 მარტს მიღებული უმძიმესი ტრავმის მერე სლოვაკი ფეხბურთელი ვერა და ვერ შევიდა ოპტიმალურ ფორმაში. ჰოდა, „დინამოს“ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით შვებულებაში ვადაზე ადრე გავიდა და მკურნალობას სამშობლოში გააგრძელებს. თუმცა, მეორე მხრივ, ისიც გაურკვეველია, მეორე ეტაპიდან სად ვიხილავთ მილოშ კრშკოს - კვლავ „დინამოში“ თუ რომელიმე უცხოურ კლუბში...

...თავის დროზე მილოშ კრშკო სლოვაკეთის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მცველად მიიჩნეოდა და ამ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელიც გახლდათ. არც ის ფაქტი იყო მოულოდნელი, 20 წლის კრშკო სლოვაკეთის ოლიმპიურ ნაკრებში რომ მიიწვიეს - 2000 წელს ამ ქვეყნის ნაკრებმა სიდნეის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის საგზური მოიპოვა. სამწუხაროდ, სლოვაკებმა ჯგუფიდან ვერ გაალწიეს (წააგეს ბრაზილიასთან და იაპონიასთან, მოუგეს - სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას), მაგრამ კრშკო თავის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. განსაკუთრებით შთამბეჭდავად ითამაშა ბრაზილიელებთან მატჩში, სადაც... **რონალდინიოს** მეურვეობამ მოუწია! ამის მერე კრშკომ უმძიმესი ტრავმა მიიღო და დიდი ხანი მკურნალობდა; შემდეგ, ფორმა რომ აღიდგინა, სლოვაკეთის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „ჟილინაში“ ორი სეზონი ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო; 2006-07 წლის სეზონი ამავე ქვეყნის უმაღლესი ლიგის „ტრენჩინში“ დაიწყო, სადაც იანვრამდე თითქმის ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა. 2007 წლის დასაწყისიდან კი კრშკო თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა ავსტრალიელ ვეტერან **ნედ ზელიჩთან** ერთად; იმ სეზონში „დინამოს“ სახელოვანი ჩეხი სპეციალისტი **დუშან უპრინი** წვრთნიდა და ზელიჩი-კრშკოს დუეტმაც ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი საგრძნობლად გააძლიერა.

ორივე უცხოელმა ძალიან მალე გამონახა საერთო ენა ერთმანეთთანაც და დანარჩენ პარტნიორებთანაც, თუმცა იმ სეზონში „დინამო“ მხოლოდ ვერცხლის მედლებს დასჯერდა. აი, მომდევნო ჩემპიონატში კი ზელიჩიცა და კრშკოც, მართლაც, შთამბეჭდავად ათამაშდნენ და ამ ორი ცენტრალური მცველის უდიდესი დამსახურებაც იყო, „დინამომ“ ოქროს მედლები რომ მოიპოვა. ზელიჩისგან დიდოსტატური თამაში მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა - კაცი წლების განმავლობაში ბუნდესლიგაში თამაშობდა და 1995 წელს ჩემპიონობაც ჰქონდა მოპოვებული.

კრშკოს დამაჯერებელი ასპარეზობა კი, მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობა იყო - თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ სლოვაკი მცველი გახლდათ კიდეც წინა ორი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი! საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატი რომ დაიწყო, „დინამოში“ აღარც უპრინი იყო და აღარც ზელიჩი: ამ ორივე დამსახურებულმა ვეტერანმა ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა; სამაგიეროდ, კრშკო ისევ „დინამოში“ დარჩა და დაცვის ცენტრში ამჯერად ახალგაზრდა **გურამ კაშიასთან** ერთად დაიწყო თამაში. ვაღიაროთ: დღესდღეობით, გურამ კაშია საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მცველია („დინამოს“ კაპიტნადაც დამსახურებულად აირჩიეს), საქართველოს ნაკრებშიც სისტემატურად იწვევენ და უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში არნახულ პროგრესს რომ მიაღწია, სწორედ ზელიჩისა და კრშკოს გვერდით ასპარეზობის დამსახურებაც არის.

...2008 წელს კრშკომ პირველ აქაურ ტიტულს მეორეც მიუმატა: „დინამოს“ შემადგენლობაში ჯერ ჩემპიონი გახდა, მერე კი, საქართველოს სუპერთასიც მოიპოვა; რაღა რჩებოდა - საქართველოს თასი და საბოლოოდ, 2008-09 წლის გათამაშებაც სწორედ „დინამოს“ ტრიუმფით დასრულდა. ოღონდ, კრშკოს იმ დრამატული თასის ფინალში მონაწილეობა არ მიუღია და მხოლოდ ტრიბუნიდან ქომაგობდა თანაგუნდელებს. მიზეზი კი 2009 წლის 15 მარტს მიღებული უმძიმესი ტრავმა იყო: „დინამო“-“სპარტაკის“ შეხვედრაში (ერთი შეხედვით, სათამაშო ეპიზოდში) მილოშ კრშკოსა და **თეიმურაზ შონიას** ორთაბრძოლა ორივე ფეხბურთელის წაქცევით დასრულდა. თუმცა, სტუმართა ნახევარმცველმა შეხვედრის გაგრძელება მაინც შეძლო, აი, კრშკო კი სტადიონიდან საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მანქანით წაიყვანეს!

აი, სწორედ მაშინ მოხდა, მართლაც, კურიოზული ფაქტი: მატჩის არბიტრმა წითელი ბარათი... საკაცეზე დაწვენილ კრშკოს იმ დროს უჩვენა, უგონოდ მყოფ სლოვაკ ფეხბურთელს სასწრაფო დახმარების მანქანისკენ რომ მიაქანებდნენ!

ყველამ ვიცოდით, რომ კრშკომ იმ ეპიზოდში უმძიმესი ტრავმა მიიღო; არც ის იყო დასამალი, თუ როგორი იმედით ელოდნენ მის დაბრუნებას გუნდის მწვრთნელ-ხელმძღვანელები და ერთგული ფანები. არადა კრშკო რამდენად საჭირო ფეხბურელი იყო „დინამოსთვის“, ამ ზაფხულსვე გამოჩნდა - „ცრვენა ზვეზდასთან“ საპასუხო მატჩს ვგულისხმობთ, როცა, „დინამოს“ დაცვა, რბილად რომ ვთქვათ, არადამაჯერებლად გამოიყურებოდა...

ჯერ აგვისტოს ბოლოსო, მერე - სექტემბერ-ოქტომბრის დასაწყისშიო, - კრშკოს მოედანზე დაბრუნება მუდამ გადაიდებოდა-ხოლმე; და აი, 3 ნოემბერს, დაახლოებით რვათვიანი პაუზის შემდეგ კრშკომ პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა! იმ დღეს თბილისის „დინამო“ საქართველოს თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩს ატარებდა საჩხერეში ადგილობრივ „ჩიხურასთან“. ყველა ველოდით, რომ უკვე ჩემპიონატის უახლესი ტურიდან კრშკოს ისევ „დინამოს“ ძირითადში ვიხილავდით, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ტრავმა ბოლომდე მოშუშებული არ ჰქონდა. ანუ, ფაქტობრივად ისე გამოვიდა, რომ საჩხერეში ჩატარებული მატჩი „დინამოს“ მაისურით უკანასკნელი აღმოჩნდა!

რა თქმა უნდა, ფეხბურთში არაფერია გამორიცხული და შესაძლოა, 2010 წლის იანვრიდან კრშკო ისევ დაგვიბრუნდეს; სამწუხაროდ, პირადად ჩვენ, მოვლენების ასეთი განვითარებისა ნაკლებად გვჯერა; არადა, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ: ასეთ დონის ცენტრალური მცველი კი არა, საერთოდ ლეგიონერი, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთეულები თუ ყოფილან...

**გია ტუხაშვილი**

## 1-10 დეკემბერი ლელოში

ნოდარ ხუხილაიძის [illegible]

**1 დეკემბერი.** წინა დღეს რომ წავიკითხე, **ჯანო ანანიძის** თაობაზე „ბარსელონა“ „სპარტაკს“ ელაპარაკებაო, „ლელოში“ ამ ცნობის უარყოფაა. **რევაზ ჩელებაძე** ამბობს, ჯანოს ბარე ორი მსურველი ჰყავს, ოღონდ „ბარსელონა“ მათ შორის არ არისო.

გამოცდილებამ კი მასწავლა, რომ ასეთ დროს არ უნდა დავიბნე, რაკი ასეთი კატა-თაგვობანა, როგორც წესი, დაინტერესებული კლუბების მხრიდან ფეხბურთელის ფასის აწევა-დაწევას ემსახურება და თუ ამ სატრანსფერო თამაშში გულშემატკივარი იბნევა, კლუბებს ეს დიდად არ ანაღვლებთ - მილიონები ამად ღირს.

**2 დეკემბერი.** ძალიან საინტერესო გაგრძელება მოჰყვა ქალაქის პატრულის შეფისა და ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრის **გიორგი გეგეჭკორისგან** გაგებულ ამბავს, საქართველოს ნაკრებში ნარკომანიის ფაქტების შესახებ. გეგეჭკორიც და პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავაც** ამბობენ, ეს „შიდა მოხმარების“ ინფორმაცია იყოო. ხოლო რაკი ინფორმაციამ მაინც გაჟონა, უკვე შეიქმნა „შეთქმულების თეორიები“ და ზოგი იმის გარკვევასაც ცდილობს, ვის და რა მიზნით აწყობდა ამის გახმაურება.

ისევ და ისევ გამოცდილებამ მასწავლა, რომ შეთქმულების ძიება ყოველთვის საჭირო არ არის და ამ შემთხვევაშიც მგონია, რომ უბრალოდ, ადამიანებმა ზედმეტი ილაპარაკეს, ისე, რომ, რაღაც შორს მიმავალი მიზნები არ ჰქონიათ.

ეს დღეებია კი სხვა რამ უფრო მაწუხებს: ჰეროინის მოხმარების ორიოდე ფაქტზე ამხელა ხმაური ატყდა, საქართველოს ნაკრების წაგებაზე ფულის დამდები ქართველი ფეხბურთელის საქმე კი მიჩუმათებულია! ძალიან ცუდად მეჩვენება ეს ამბავი. რასაც მოვიგებთ, მაგასაც ვნახავთ!

**3 დეკემბერი.** სათასო მატჩში არბიტრი ძლივს გადაურჩა ზუგდიდელ გულშემატკივრებს და არც „ბაიას“ ფეხბურთელებმა დააყარეს კარგი დღე **დავით ხარიტონაშვილს**, რომელსაც დააბრალეს ცხინვალის „სპარტაკთან“ წაფორხილება.

ახლა სიტყვა დისციპლინარებზეა, რომლებმაც ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას კლუბი უნდა დასაჯონ. გაბედავენ? კი გაბედავენ, მაგრამ რამდენად ადეკვატურად, საკითხავი აი, ეს არის. თუმცა ახლა მარჩიელობა არ მინდა, გადაწყვეტენ და დასკვნასაც მერე გამოვიტან.

**4 დეკემბერი.** საღამოს გავაკეთებ დღიურში ჩანაწერს-მეთქი და, საღამოს სულ წამიხდა წერის სურვილი: რა დავაშავე ასეთი, 50 არხი რომ მაქვს და მსოფლიოს ჩემპინატის წილისყრას მხოლოდ ჩვენი პირველი არხი უჩვენებდა. მერე საკუთარ თავზე გავბრაზდი - რატომ ვერ მოვისაზრე, რომ ხმის გარეშე მეყურებინა.

**5 დეკემბერი.** ისე ყველაფერი აგიხდეთ, დისციპლინარებზე ეჭვი რომ ამიხდა. ჩავხედე დღევანდელ „ლელოს“ და რა წერია: „ბაიას“ და სხვა გუნდის მოთამაშეებმა მსაჯისკენ გაიწიეს. სადისციპლინო კომიტეტმა „ბაიას“ ფეხბურთელი 2 მატჩით დასაჯა, სხვა გუნდის ფეხბურთელი - 10 მატჩით. კიდევ, სხვა გუნდის გულშემატკივრებმა მსაჯს აგინეს და კლუბი 1500 ლარით დაისაჯა. „ბაიას“ გულშემატკივრებმაც აგინეს მსაჯს და თან რაღაც საგნებიც ესროლეს. და რა? მხოლოდ 500 ლარი. ამას ლიტერატურულად პირმოთნეობა ჰქვია, თუმცა ქალაქურად სხვა რამეს ეძახიან. რასაც მოიგებს ფეხბურთი ასეთი ხალხის გარემოცვაში, მაგასაც ვნახავ.

„ლელოს“ იმავე გვერდზე კიდევ **რატი წინამძღვრიშვილთან** ინტერვიუ დაიბეჭდა და ძველი უსიამოვნო ამბები ამომიტივტივდა გონებაში. რატის თან ვახლდი, პრაღის კლინიკაში ფეხბურთელისთვის უმძიმესი დიაგნოზი რომ დაუსვეს და ბავშვივით გამიხარდა, ერთი წლის თავზე ეს ბიჭი ფეხზე რომ დადგა. მერე კი სრულიად უაზროდ დამართეს ტრავმის რეციდივი. დიახ, დამართეს, რაკი ახალგაზრდულ ნაკრებში იცოდნენ, რომ რატი სრულფასოვნად მზად არ იყო სერიოზული დატვირთვისთვის და მაინც ბოლომდე დატვირთეს რუსეთთან მატჩში. რაღაც იმასავით გამოვიდა, აგვისტოს ომში სრულიად მოუმზადებელი რეზერვისტები რომ წაასხეს.

**6 დეკემბერი.** კარგია, კვირა დღე რომ არსებობს - გაზეთი არ გამოდის და სპორტზე მაინც არ ნერვიულობს კაცი.

**7 დეკემბერი.** „ოლიმპის“ სასარგებლოდ „ზესტაფონის“ კარში პენალტი რომ დაინიშნა, წესის დარღვევა არ ყოფილა! მსაჯი შეცდა და ყველამ ვიცით, რომ მსაჯები ხანდახან ცდებიან-ხოლმე. მაგრამ ისიც ვიცით, რომ საქართველოში ვერავის დაარწმუნებ, მსაჯი უბრალოდ შეცდა და ჩემპიონობის მაძიებელ ორად ორი გუნდის ურთიერთშეხვედრაში ერთი-ერთი გუნდი განზრახ არ დაუჩაგრავსო. საქართველოში ვერც იმაში დაარწმუნებ ვინმეს, რომ ამ მატჩზე დანიშნული მსაჯის ბოლო წამს სხვა მსაჯით ჩანაცვლებაც შემთხვევის ამბავია, რაკი ნახევარმა საქართველომ, ჩვენი კოლეგა **სოსო კოტორეიშვილის** თქმისა არ იყოს, სეზონის წინ სიზმარში ნახა, თუ ვინ გახდებოდა საქართველოს ჩემპიონი. არადა, „ოლიმპმა“ მართლა აჯობა თამაშით „ზესტაფონს“.

**8 დეკემბერი.** წინა კვირაში წავიკითხე, „ვიტ ჯორჯიას“ ჩემპიონატის მატჩზე **მერაბ კოჭლაშვილის** ნაცვლად **გელა გომელაური** რომ გაუძღვა და ეს ამბავი ექსპერიმენტად მოინათლა. უცნაური ამბავია და „ლელო“ მას გომელაურთან ინტერვიუთი მიუბრუნდა. ვიფიქრე, წავიკითხავ და საკითხს ნათელი მოეფინება-მეთქი, მაგრამ მწვრთნელის პასუხები ისეთია, კვლავ ვერ გავიგე, კოჭლაშვილია „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი თუ გომელაური. ბოლოს ვიფიქრე, კოჭლაშვილს თანდათან აპარებენ, მთავარი მწვრთნელობიდან გადაყენებას, გომელაურს კი ნელ-ნელა აჩვევენ მთავარ მწვრთნელობას-მეთქი. თუმცა, კლუბში თუ ასე თვლიან საჭიროდ, ალბათ, უკეთ იციან. გამოცდილი ხალხია ვიტელები.

**9 დეკემბერი.** „ლელო“ დაინტერესდა და გამოიკვლია, რომ უმაღლესი ლიგის კლუბებს ჯერ შარშანდელი პრემიები არ აუღიათ. სიტყვა სახელმწიფომ, „ყაზბეგმა“ და „კოლხიდამ“ გატეხეს. მიზეზი უფულობაა.

საერთოდ, არასდროს მჯეროდა ზარზეიმით გაცემული დაპირებებისა, თუმცა როგორც პოლიტტექნოლოგები ამბობენ, ხალხს დაპირება უფრო ამახსოვრდება. ჰოდა, ჰპირდებიან.

**10 დეკემბერი.** „ლელოში“ **გოგიტა გოგუასთან** ინტერვიუ წავიკითხე და მივხვდი, რომ სისულელეა იმაზე ფიქრი და მსჯელობა, თუ როგორი მწვრთნელი სჭირდება ჩვენს ნაკრებს. ან როგორ უნდა დადონ ფეხბურთელებმა თავი მოედანზე და ასე შემდეგ. არაფერი გამოვა, სანამ ფეხბურთის ფედერაციაში იმუშავებს თუნდაც ერთი ისეთი ადამიანი, რომელსაც ნაკრების წაგებული თამაშის მერე გასახდელში შამპანურის გახსნის სურვილი გაუჩნდება. **ლევან ცქიტიშვილზე** ხელის შეწმენდას კი ამ ადამიანების ვინაობის გამჟღავნება სჯობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენ და ისინი


ლევან ყენია


ლევან მჭედლიძე


ჯანო ანანიძე

# საქართველოს ნაკრების შემტევი ტრიო: მესი–იბრაჰიმოვიჩი–ამაური

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, საქართველოს ნაკრები თამაშობს 4-3-3 ტაქტიკით - მარჯვნიდან ლეო მესი უტევს, მარცხნიდან ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ცენტრში კი კარვალიო ამაური დგას. ან, ამაური ფლანგზე და იბრაჰიმოვიჩი ცენტრში. ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, მთავარი ის არის, რომ ასეთი შეტევით ნებისმიერი მეტოქის დამარცხება იქნებოდა შესაძლებელი. ახლა კი იმაზე ვთქვათ, რატომ მაინცდამაინც ეს ფეხბურთელები და არა რომელიმე სხვა, ვთქვათ, ტიერი ანრი, ან დიდიე დროგბა. იმიტომ, რომ ჩვენც გვყავს ჩვენი მესი, ჩვენი იბრაჰიმოვიჩი და ჩვენი ამაური.

დიახ, ასეა და ვინც იტალიურ პრესას კითხულობს, ეს ამბავი კარგად ეცოდინება. თუმცა, რადგან ჩვენში აპენინური გაზეთების მკითხველი ბევრი არ მოიძებნება, გადავწყვიტეთ, ერთი შეხედვით უცნაური ისტორია თქვენამდე ქართულ ენაზე მოვიტანოთ.

## ქართველი მესი

„ქართველი მესი" **ლევან ყენიაა** - ასეთი პარალელი არაერთხელ გაავლეს იტალიაში და ეს მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ტალანტს აპენინურ ფეხბურთთან შეხება არ აქვს. საერთოდ, იტალიელები დიდ ყურადღებას არ უთმობენ უცხოეთში მოასპარეზე ვარსკვლავებს, რომ აღარაფერი ვთქვათ, ახალგაზრდა ტალანტებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი საყოველთაო აღიარებამდე. ყენიას შემთხვევაში, მათ გამონაკლისი დაუშვეს, რაზეც მასზე გამოქვეყნებული არაერთი სტატია მეტყველებს. აი, როგორ ახასიათებს „გაძეტა დელო სპორტი" ქართველ შუახაზელს:

*„ისეთივე ტანმორჩილია, როგორიც ლეო მესი, თუმცა მსგავსება კიდევ ბევრია და ახლავე განვავრცობთ თემას. ლევანი ძალიან ტექნიკურია, ის სამხრეთამერიკელ ფეხბურთელს მოგაგონებთ - ბურთს ისე იმორჩილებს, თითქოს ხელით თამაშობს. ბურთი ფეხთან ყოველთვის ახლოს აქვს, ისევე როგორც არგენტინელ გენიოსს. გამოირჩევა სისწრაფით და აქვს დრიბლინგის შესანიშნავი უნარი. მისი თამაშის ყურება ერთი სიამოვნებაა, ისევე როგორც ლეო მესისთვის თვალის მიდევნება. ყენია თბილისის „ლოკომოტივის" ბავშვთა გუნდში ასპარეზობდა, როდესაც ის „ბარსელონას" სკაუტებმა შეამჩნიეს. პატარა ლევანი კატალონიაში წაიყვანეს, ავარჯიშეს, მოეწონათ და თბილისურ გუნდთან მოლაპარაკებებიც წამოიწყეს. მაშინ ტრანსფერი არ შედგა, როგორც ჩანს, „ლოკომოტივის" მესვეურებთან ესპანელებმა სატრანსფერო თანხაზე ვერ მოილაპარაკეს. თუმცა ის, რომ ყენია ევროპაში წავიდოდა სათამაშოდ, ყველასთვის ცხადი გახლდათ. რამდენიმე წელიწადში, ლევანი ბიძამისის, გიორგი კიკნაძის მსგავსად გერმანიაში გაემგზავრა, სადაც დამკვიდრდა და დიდი პროგრესიც განიცადა. აქვე, რომ არ შეგეშალოთ, გეტყვით - კიკნაძე და არა ქინქლაძე. ეს უკანასკნელი „მანჩესტერ სიტიში" ბრწყინავდა და დღემდე, ამ გუნდის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. რაც შეეხება კიკნაძეს, ის „ფრაიბურგში" ასპარეზობდა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ნაკლები წარმატებით. ყენია დღეს „შალკეში" ასპარეზობს და გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად ყალიბდება. თუ ასე გააგრძელა, ერთი წლის თავზე მისი ფასი რამდენჯერმე გაიზრდება, სამომავლოდ კი ვუსურვოთ, რომ რამდენიმე ათეულ მილიონს გაუტოლდეს. ვფიქრობთ, მას ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს".*

„გაძეტა დელო სპორტმა" 30 ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოარჩია, რომლებზეც იტალიელები ფსონს ჩამოვიდნენ. ყენია ამ მოთამაშეებს შორისაც გამოარჩიეს და სწორედ აღნიშნული მასალა უძღვნეს. ჩვენ კი დავიტოვოთ იმედი, რომ მოვა დრო და ყენია მესის დონეზე იასპარეზებს.

## ქართველი იბრაჰიმოვიჩი

დროა „ქართველ ზლატან იბრაჰიმოვიჩზეც" გადავიდეთ. მაშ ასე, იტალიელთა თვალით დანახული **ლევან მჭედლიძე**:

*„1990 წლის გაზაფხულზე იტალია მსოფლიოს ჩემპიონატის მოლოდინით ცხოვრობდა. მოლოდინი იყო მჭედლიძეების ოჯახშიც, ათასობით კილომეტრის მოშორებით, პატარა, მაგრამ ლამაზ საქართველოში ლევანის დაბადებას ელოდებოდნენ. ბიჭი ქვეყნიერებას 24 მარტს მოევლინა და ალბათ მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 17 წლის შემდეგ, მისი ბედი იტალიურ ფეხბურთთან იქნებოდა გადაჯაჭვული. „ქართველი იბრაჰიმოვიჩი" მას 2006 წელს, „ემპოლის" მთავარმა მწვრთნელმა ლუიჯი კანიმ უწოდა. ის, რომ ლევანი დღეს იტალიაში თამაშობს, სწორედ ტოსკანური გუნდის დამსახურებაა. ჯერ კიდევ საქართველოში მოასპარეზე მჭედლიძის შეძენა მიუნხენის „ბაიერნსაც" სურდა, თუმცა „ემპოლიმ" გერმანულ გიგანტს აჯობა და ქართველთან კონტრაქტი გააფორმა. წესით, პირველი ორი წელიწადი მჭედლიძეს „ემპოლის" დუბლებში უნდა ეთამაშა, მაგრამ კანიმ გამოუცდელ ფორვარდს ნდობა გამოუცხადა და მთავარ გუნდში გადაიყვანა. „ქართველი იბრაჰიმოვიჩით" საქართველოს ნაკრების იმდროინდელი თავკაცი, კლაუს ტოპმიოლერიც დაინტერესდა და ახალგაზრდა ფორვარდი, არათუ გამოიძახა, ძირითად შემადგენლობაშიც კი ანდო ადგილი. ლევანმა ნდობა სრულად გაამართლა და ქართველ ქომაგებთან ერთად, იტალიელებიც ძალიან გაგვახარა - სწორედ მისმა გოლმა მოუჭრა გზა ევროპის ჩემპიონატისკენ შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებს. შედეგად, ევროფორუმზე რობერტო დონადონის „აძურა" გაემგზავრა. მაშინ, აპენინურმა პრესამ მჭედლიძეს მხსნელიც კი უწოდა. ბუნებრივია, ეს მოვლენები ყურადღების მიღმა არავის დარჩენია და ქართველით სიცილიური „პალერმოს" პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი დაინტერესდა. „ემპოლისთან" წარმართული მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა - ლევანი კუნძულელებმა იჯარის წესით აიყვანეს, ერთი წლის თავზე კი 6.2 მილიონი ევრო გადაიხადეს და ახალგაზრდა ტალანტი სრულად გამოისყიდეს. 1962 წლის 28 თებერვალს „პალერმომ" ტურინში „იუვენტუსი" 4:2-ზე დაამარცხა. მას შემდეგ, სიცილიელებს ტურინში გამარჯვება ოცნებად ჰქონდათ ქცეული. იმ მოვლენიდან 46 წლის შემდეგ, ნანატრი გამარჯვება სიცილიელებს პატარა ლევანმა მოუტანა. ანგარიში 1:1 იყო, როდესაც ქართველმა ფორვარდმა დასწრებაზე ითამაშა და ჯანლუიჯი ბუფონს ეფექტური გოლი გაუტანა. „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში „პალერმოს" პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ ახალგაზრდა ფეხბურთელი ასე დაახასიათა: „ლევანი ფიზიკურად ძალიან ძლიერია, ამასთან, გონიერი ფეხბურთელია. ღრმად მწამს, მოვა დრო და იგი მსოფლიო ფეხბურთის აღიარებული ვარსკვლავი იქნება. მოხარული ვარ მისი შეძენით, დარწმუნებული ვარ, წინათგრძნობა არ მიღალატებს".*

*მსგავსი განცხადება გააკეთა „კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტთან საუბარში სიცილიური გუნდის იმჟამინდელმა თავკაცმა **დავიდე ბალარდინიმ**: „ლევანმა ძალიან იყოჩაღა. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა და გამოუცდელია, თუმცა ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ვარსკვლავი გახდეს. ძალიან კმაყოფილი ვარ გუნდში მისნაირი ფეხბურთელი რომ მყავს".*

*რაც ასევე მნიშვნელოვანია, ლევანი გამოირჩევა თავისი პიროვნული თვისებებით, თავმდაბლობით. „პალერმოში" ის ალბათ ერთადერთი ფეხბურთელი გახლდათ, რომელსაც ნომერზე არავითარი მოთხოვნა არ ჰქონია. მან მშვიდად აირჩია 99 ნომერი, რადგან იცოდა, რომ არავის ეცილებოდა. როდესაც ჰკითხეს, რატომ 99? - უპასუხა: ისე, უბრალოდ".*

ერთი სიტყვით, იტალიელებს მჭედლიძეზე ყოველმხრივ დადებითი წარმოდგენა აქვთ და იმედია, ქართველი ფორვარდი ამ ავანსებს გაამართლებს. სამწუხაროდ, ლევანს ტრავმები უშლის ხელს, რომ ბოლომდე გაიხსნას - თუმცა, ყველაფერს აქვს დასასრული და უიღბლო პერიოდი აუცილებლად დამთავრდება.

## ქართველი ამაური

და მივადექით „ქართველ კარვალიო ამაურის" - თამაშის მანერით, ეს ორი ფეხბურთელი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან და როდესაც აპენინელებმა ასეთი შედარება გააკეთეს, სულ სხვა მოტივით იხელმძღვანელეს. როგორც იცით, კარვალიო ამაური არჩევანის წინაშე დგას, მან უნდა გადაწყვიტოს ბრაზილიის ნაკრებში სურს თამაში თუ „სკუადრა აძურაში". უფრო სწორად, საკითხი ასე დგას: მას **კარლოს დუნგა** არ იძახებს და ფიქრობს, ითამაშოს თუ არა იტალიის ნაკრებში. სხვათა შორის, იმასაც დიდი კითხვის ნიშანი ადევს, სურს თუ არა კარვალიოს გამოძახება **მარჩელო ლიპის**. აი, რაც შეეხება **ჯანო ანანიძეს**, მას მართლაც ასარჩევად ჰქონდა საქმე და საბედნიეროდ, რუსეთს საქართველო არჩია. როგორც უკვე მიხვდით, ქართველი ამაური მოსკოვის „სპარტაკის" თინეიჯერი შემტევი ჯანო ანანიძეა.

ანანიძემ იტალიელთა ინტერესი სულ ახლახანს, საქართველო-იტალიის მატჩისას მიიპყრო. თბილისში ჩამოსული აპენინელი ჟურნალისტები გაკვირვებულნი იყვნენ იმით, რომ მათი ქართველი კოლეგების უდიდესი ყურადღება არა **კახა კალაძის**, ან **ლევან კობიაშვილის**, არამედ, 16 წლის ქართველი ფეხბურთელის, **ჯანო ანანიძის** მიმართ გახლდათ მიპყრობილი. ეს ბავშვი გამოძახებულია? - გაოცებული კითხულობდნენ იტალიელები და პასუხი მათში კიდევ უფრო დიდ გაოგნებას იწვევდა: *„ის სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს"*.

ჩვენი სტუმრები სწორედ მაშინ დაინტერესდნენ ანანიძით და მასზე დეტალური ინფორმაცია მოიძიეს. რამდენიმე სტატია დაიბეჭდა იმის შესახებ, თუ რა პროცესები უძღოდა წინ ჯანოს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებას. ის, რომ ქართველმა ტალანტმა სამშობლოს გამო დიდ ფულზე თქვა უარი, აპენინელებში აღფრთოვანების საბაბი გახდა.

იტალიელი ჟურნალისტები წერენ, რომ ანანიძით უკვე დაინტერესებულია რამდენიმე ევროპული გრანდი, განსაკუთრებულად კი პრემიერლიგის გუნდები აქტიურობენ. მედიის წარმომადგენლები ყველაზე ხშირად „არსენალის" ვარიანტზე წერენ და მართლაც არის იმის შანსი, რომ მომავალი სეზონიდან ქართველი ტალანტი მეთოფეთა რიგებში აღმოჩნდეს. აპენინელები იტალიური კლუბების მესვეურებსაც ურჩევენ, რომ ამ მართლაც უნიჭიერეს მოთამაშეს ყურადღება მიაქციონ.

რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ ამ ყველაფრიდან? - ის, რომ ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის, ან გნებავთ მოვიდა და მათ ტალანტს სწორი მიმართულების მიცემა სჭირდება.

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

# ლიგის ყველაზე მაგარი ხოტორა

## ტომ კრუზი აქ, ტომ კრუზი იქ...

**ჩემპიონთა ლიგის ტურმა კურიოზული და გენიალური ისტორიები შემოგვთავაზა. ერთი ეგაა, რომ ოთხშაბათი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ გამოვიდა ისეთი საინტერესო, როგორიც სამშაბათი იყო. მეექვსე ტურში ორმა მეკარემ გაიტანა გოლი, „შტუტგარტმა" რეკორდის დამყარება შეძლო, ალბერტო ჯილარდინომ გაბრიელ ბატისტუტას შედეგი გაიმეორა და ამ ყველაფერთან ერთად, ტომ კრუზი საბერძნეთშიც იყო და სევილიაშიც - ერთდროულად!**

### E ჯგუფი

**ლივერპული–ფიორენტინა 1:2**

გოლები: 1:0 ბენაიუნი (43), 1:1 იორგენსენი (63), 1:2 ჯილარდინო (90)
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა)

„ლივერპულმა" პრესტიჟის მატჩის მოგებაც კი ვერ შეძლო. არადა, **რაფა ბენიტესის** შეგირდებმა თამაში აქტიურად და საკმაოდ კარგად დაიწყეს. ფაქტია, რომ წითლებს თავიანთი ერთგული ქომაგებისთვის ბოდიშის მოხდა სურდათ ყველაფერ იმისთვის, რაც პირველ 5 ტურში გააკეთეს. მაგრამ „ლივერპულმა" **ბენაიუნის** გოლის გარდა, შეტევაში ვერაფერი შემოგვთავაზა. ფლორენციელები კი დაცვაშიც ძალიან კარგად იდგნენ და შეტევაშიც ბევრ რამეს ახერხებდნენ. თამამად ვიტყვით: „ფიორენტინა" სჯობდა მეტოქეს. იმის გამო, რომ მეორე ტაიმში ანგარიში 1:1 იყო, „ფიორენტინას" კი ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდა, ფლორენციელთა თავკაცმა **ჩეზარე პრანდელიმ** ბოლო 20 წუთისთვის მოედანზე ფლანგის ჯოკრები, **ხუან ვარგასი** და **მარკო მარკიონი** შეუშვა. შეცვლებმა გაამართლა: სწორედ ვარგასმა გაატანინა გამარჯვების გოლი **ალბერტო ჯილარდინოს**, რომელმაც თავისი მეათე გოლით (ევროპაში), ლეგენდარული **გაბრიელ ბატისტუტას** შედეგი გაიმეორა.

**ლიონი–დებრეცენი 4:0**

გოლები: 1:0 გომისი (25), 2:0 ბასტოსი (45), 3:0 პიანიჩი (59), 4:0 სისოხო (76)
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: მიშელ ბასტოსი (ლიონი)

როგორც მოსალოდნელი იყო, „ლიონმა" პირველივე წუთიდან აგრძნობინა „დებრეცენს", რომ ეს გუნდი საფრანგეთიდან ქულასაც ვერ წაიღებდა. გულახდილად რომ ვთქვათ, „დებრეცენის" კარში გოლები თავისთავად გავიდა. ლიონელები მეორე ტაიმშიც უპრობლემოდ აკონტროლებდნენ თამაშს და ერთი სიტყვით, სტუმრებს ამ თამაშის გადარჩენის კი არა, პრესტიჟის გოლის გატანის საშუალებაც არ მისცემიათ. „დებრეცენი" 6 თამაშის შემდეგ უქულოდ დარჩა, ბურთების შეფარდება ყველაზე უარესი აქვს: 5-19. მიუხედავად ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვებისა, „ლიონმა" პირველი ადგილი მაინც ვერ დაიბრუნა და მერვედფინალში სავარაუდოდ, „ფიორენტინაზე" გაცილებით რთული მეტოქე ეყოლება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიორენტინა | 6 | 5 | 0 | 1 | 14-7 | 15 |
| 2. ლიონი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-3 | 13 |
| 3. ლივერპული | 6 | 2 | 1 | 3 | 5-7 | 7 |
| 4. დებრეცენი | 6 | 0 | 0 | 6 | 5-19 | 0 |

### F ჯგუფი

**დინამო–ბარსელონა 1:2**

გოლები: 1:0 მილევსკი (2), 1:1 ჩავი (33), 1:2 მესი (86)
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ჩავი (ბარსელონა)

მოქმედმა ჩემპიონმა თამაში ძალიან ცუდად დაიწყო და უკვე მეორე წუთზე **ვიქტორ ვალდესის** მორიგი დაუდევრობის გამო, უკრაინელებმა ანგარიში გახსნეს, მაგრამ **მილევსკის** გოლის შემდეგ მოხდა ის, რაც „ბარსელონას" თამაშებში ხდება ხოლმე: კატალონიელები ბურთს ფლობდნენ, აკონტროლებდნენ, მოკლე პასებით კომბინაციებს აწყობდნენ და საბოლოოდ, მთელი ეს სპექტაკლი „ბარსას" წარმატებით დასრულდა. ვერ ვიტყვით, რომ **პეპ გვარდიოლას** ბიჭებს რეალური საგოლე მომენტები უხვად ჰქონდათ, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში, ერთხელაც არ შეგვექმნებოდათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ „ბარსელონა" ამ თამაშს წააგებდა. გამარჯვების გოლი **ლეო მესიმ** 86-ე წუთზე, ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით გაიტანა, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ დროში ტრავმა მიიღო და მოედნიდან საკაცით გაიყვანეს...

მოკლედ, „ბარსამ" საწადელს მიაღწია და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, რაც იმის საწინდარია, რომ კატალონიელები მერვედფინალში მეორე ადგილზე გასულ კლუბს შეხვდებიან და თანაც, პირველი მატჩს სტუმრად ჩაატარებენ.

**ინტერი–რუბინი 2:0**

გოლები: 1:0 ეტო'ო (31), 2:0 ბალოტელი (64)
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: მარიო ბალოტელი (ინტერი)

მილანის „ინტერმა", როგორც იქნა, შეუტია, თანაც მედგრად და მიზანსაც მიაღწია: **ჟოზე მოურინიოს** შეგირდებმა „რუბინს" ორი უპასუხო გოლი გაუტანეს. ოღონდ ეს მას მერე მოხდა, რაც „ნერაძურის" ფეხბურთელები და სამწვრთნელო შტაბი დარწმუნდნენ, რომ ყაზანელები იმ საღამოს არაფრის დათმობას არ აპირებდნენ და პირველი 20-25 წუთის განმავლობაში რამდენჯერმე ძალიან აანერვიულეს **ჟულიო სეზარი. სამუელ ეტო'ომ** ექსტრა კლასის გოლი გაიტანა: **ხავიერ ძანეტიმ** ორჯერ მედგრად იბრძოლა ბურთისთვის, **ბალოტელიმ** ქუსლით უპასა კამერუნელს, ამ უკანასკნელმა კი უძლიერესი დარტყმით, **რიჟიკოვს** შანსი არ დაუტოვა. მეორე გოლი კი თვითონ ბალოტელის ანგარიშზეა, რომელმაც უძლიერესი საჯარიმო დარტყმით გაიტანა.

ყაზანური კლუბი კი „ბარსელონას" უნდა უმადლოდეს იმას, რომ მესამე ადგილზე გავიდა და ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა. ფაქტია, რომ რუსეთის ჩემპიონი ევროპის ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 3 | 2 | 1 | 7-3 | 11 |
| 2. ინტერი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-6 | 9 |
| 3. რუბინი | 6 | 1 | 3 | 2 | 4-7 | 6 |
| 4. დინამო | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 5 |

### G ჯგუფი

**შტუტგარტი–უნირეა 3:1**

გოლები: 1:0 მარიკა (4), 2:0 ტრეში (8), 3:0 პოგრებნიაკი (11), 3:1 სემედო (46)
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ჩიპრიან მარიკა (შტუტგარტი)

ბუნდესლიგის წინა ტურში, „ბოხუმთან" ფრის შემდეგ, რის გამოც „შტუტგარტი" გასავარდნ ზონაში დარჩა, შვაბენლანდური კლუბის გულშემატკივრებმა ფეხბურთელებს, მწვრთნელსა და ხელმძღვანელებს ობსტრუქცია მოუწყვეს. როგორც ჩანს, 3000 ფანის თავდასხმამ და მუქარამ გაამართლა: ჯერ იყო და „შტუტგარტის" შეფებმა მთავარი მწვრთნელი **მარკუს ბაბელი** გაათავისუფლეს და მის ნაცვლად შვეიცარიელი **კრისტიან გროსი** დანიშნეს, მერე კი, კრიზისში მყოფმა გერმანულმა კლუბმა კონკურენტი „უნირეა" დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საგზური მოიპოვა. საინტერესოა, მაინც რა მოახერხა გროსმა სამ დღეში ისეთი, რომ გუნდი ასე შეცვალა? „შტუტგარტისგან" 11 წუთში სამი გოლის გატანას ნამდვილად არავინ ელოდა - მიუხედავად იმისა, რომ „უნირეა" არ განეკუთვნება გრანდების სიას. მეტსაც გეტყვით: აქამდე არასდროს დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევა, რომ ჩემპიონთა ლიგაში 11 წუთში რომელიმე კლუბს სამი გოლი გაეტანოს. ასეა თუ ისე, „შტუტგარტმა" ამ წარმატებით გულშემატკივრები ნამდვილად შემოირიგა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ აშკარად ბაბელში იყო პრობლემა, თორემ სამ დღეში გუნდის ასე გარდაქმნა, გროსს კი არა, **მარჩელო ლიპისაც** არ შეუძლია.

**სევილია–რეინჯერსი 1:0**

გოლი: 1:0 კანუტე (8-პენ)
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ფრედერიკ კანუტე (სევილია)

როდესაც ერთ გუნდს პირველი ადგილი აქვს განაღდებული, ხოლო მეორეს კი ბოლო, რა გასაკვირია, რომ მატჩი უინტერესო და არასანახაობრივი გამოვა. ასე მოიქცნენ „სევილია" და „რეინჯერსიც". გლაზგოელებმა კიდევ ერთხელ, ამ სეზონში უკვე მეექვსედ დაამტკიცეს, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მათ არაფერი დაკარგვიათ, ანდალუსიელები კი ზედმეტი დაძაბვის გარეშე ახერხებდნენ შოტლანდიური კლუბის დაჯაბნას.

ამიტომაც, ნამდვილად არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ მატჩის რეჟისორი ზედმეტად ხშირად გვიჩვენებდა **კამერონ დიასს**, რომელიც ამ შეხვედრას თვალს „სანჩეს პისხუანის" ლოჟიდან ადევნებდა. დიასის გვერდით კი **ტომ კრუზი** გახლდათ მოკალათებული - მეუღლე **კეიტ ჰოლმსითურთ**. დიასი და კრუზი სევილიაში გადაღებებზე არიან და გამონახეს დრო, რომ ჩემპიონთა ლიგის მატჩს დასწრებოდნენ. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ჰოლივუდელები თამაშით კმაყოფილები დარჩნენ...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 6 | 4 | 1 | 1 | 11-4 | 13 |
| 2. შტუტგარტი | 6 | 2 | 3 | 1 | 9-7 | 9 |
| 3. უნირეა | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| 4. რეინჯერსი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-13 | 2 |

### H ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი–არსენალი 1:0**

გოლი: 1:0 ლეონარდო (47)
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: ლეონარდო (ოლიმპიაკოსი)

**ტომ კრუზი** სევილიის გარდა, საბერძნეთშიც იყო. გაგიკვირდათ? დიახ, თამაშები ნამდვილად ერთ დროს დაიწყო... საქმე იმაშია, რომ ზუსტად ტომ კრუზი ჰქვია „არსენალის" ახალგაზრდა ფეხბურთელს, რომელსაც **არსენ ვენგერმა** სხვა „საბავშვო ბაღელებთან" ერთად თავის გამოჩენის შანსი მისცა. ლონდონური კლუბის ძირითადი შემადგენლობის საშუალო ასაკი სულ რაღაც 20.9 წელი გახლდათ! შესაბამისად, გასაკვირი არც ისაა, რომ ბერძნებმა ლოგიკური გამარჯვება იზეიმეს და დამსახურებულად გავიდნენ მერვედფინალში.

**სტანდარდი–ალკმაარი 1:1**

გოლები: 0:1 ლენსი (41), 1:1 ბოლატი (95)
მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი: შინან ბოლატი (სტანდარდი)

დაგვერწმუნეთ, „ბაიერნის" მეკარე **ჰანს-იორგ ბუტის** მიერ ტურინში გატანილი თერთმეტმეტრიანი არაფერია იმასთან შედარებით, რაც ლიეჟის „სტანდარდის" მეკარე **შინან ბოლატმა** ოთხშაბათს, „ალკმაართან" შეხვედრაში გააკეთა. ჰოლანდიელების საჯარიმოში ჩასულმა ლიეჟელთა მეკარემ, მსაჯის მიერ დამატებულ მეხუთე (!) წუთზე, თავისი მოტვლეპილი თავი საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს იმდენად კარგად დაუხვედრა, რომ კინაღამ ჰოლანდიური კლუბის კარის ბადე გახია და გახარებულმა ისეთი სისწრაფით ირბინა მინდორზე სანამ ემოციებისგან დაცლილი მინდორზე არ გაიშხლართა, ვერც ერთი თანაგუნდელი ვერ დაეწია. სწორედ ბოლატის ამ გიჟური საქციელის გამო, ლიეჟელები მესამე ადგილზე გავიდნენ და ევროპის ლიგაში გადაინაცვლეს. სხვათა შორის, ამას წინათ ბოლატმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, ბუნდესლიგაში დიდი სიამოვნებით ვითამაშებდიო. იქნებ, „ბაიერნმა" იყიდოს? ბევრს ჰყავს ორი გოლეადორი მეკარე?

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-5 | 13 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 6 | 3 | 1 | 2 | 4-5 | 10 |
| 3. სტანდარდი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-9 | 5 |
| 4. ალკმაარი | 6 | 0 | 4 | 2 | 4-8 | 4 |




ინტერი-რუბინი. ყაზანელები ძალიან სახიფათოდ უტევდნენ...

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

## ცოცხალია, ცოცხალი!

1. შინან ბოლატი (სტანდარდი): ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ „სტანდარდის" თურქმა მეკარემ ტურის სიმბოლურ ნაკრებში ადგილი დაიმსახურა. რაც მეკარისთვის აუცილებელია, ბოლატს გაშვებულ გოლში ბრალი არ მიუძღვის. მეტიც, მან ლიეჟელები რამდენჯერმე იხსნა კიდეც. მსაჯის მიერ დამატებულ მეხუთე წუთზე კი, ჰოლანდიურ კლუბს უმნიშვნელოვანესი გოლი გაუტანა.

2. **ბრუნო ალვეში** (პორტუ): „პორტუ" ბოლო ტურში „ატლეტიკოს" ესტუმრა და თამამად ვიტყვით, საშინელ ფორმაში მყოფ მადრიდელებს პორტუგალიელებმა არაფერი გააბედინეს. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი „პორტუს" მცველი ბრუნო ალვეში გახლდათ, რომელმაც „ატლეტიკოს" თავდამსხმელებს მოედნის ერთი მტკაველიც კი არ დაუთმო. თანაც, ალვეშმა მე-2 წუთზე გოლიც გაიტანა.

3. **ლეონარდო** (ოლიმპიაკოსი): ლეონარდომ მარცხენა ფლანგზე, „არსენალთან" შეხვედრაში, **რაულ ბრავოსთან** ერთად ბრწყინვალე ტანდემი შექმნა და რამდენჯერაც ჩაერთო შეტევაში, იმდენჯერ აანერვიულა ლონდონელები. თანაც, გამარჯვების გოლიც მის ანგარიშზეა.

4. **დანიელ ვან ბუიტენი** (ბაიერნი): აყლაყუდა ბელგიელმა მცველმა „იუვენტუსთან" კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მიუნხენელებმა ორი გოლი სწორედ მისი თავური დარტყმების შემდეგ გაიტანეს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მეტოქის საჯარიმოში ჩასული ვან ბუიტენი ძალიან სახიფათოა!

5. **სამი ხედირა** (შტუტგარტი): შვაბთა საყრდენი ნახევარმცველი შვიდკვირიანი იძულებითი პაუზის შემდეგ დაბრუნდა და „უნირეასთან" გადამწყვეტ მატჩში ბრწყინვალე იყო. ხედირა უბრალოდ ყველგან იყო, აკონტროლებდა როგორც ზონების გადაკეტვას, ასევე შეტევებსაც და რაც მნიშვნელოვანია, საგოლე პასიც მიითვალა. ფაქტია, რომ ხედირასთან ერთად „შტუტგარტი" სულ სხვა გუნდია.

6. **მიშელ ბასტოსი** (ლიონი): „ლიონის" შემტევი ფეხბურთელებიდან ბევრს ჰქონა სიმბოლურში მოხვედრის შანსი, რადგან სუსტ „დებრეცენთან" აბსოლუტურად ყველა ლიონელმა კარგად ითამაშა. მაგრამ ბასტოსი საუკეთესო იყო! მან საგოლე პასიც გააკეთა და ერთხელ თვითონაც იხეირა. ეს ფეხბურთელი **ფლორან მალუდას** გვაგონებს!

7. **კრიშტიანო რონალდო** (რეალი): ამ სეზონში პირველად ნამდვილად არ შეგვექმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ „რეალის" წარმატება დიდადაა დამოკიდებული კრიშტიანო რონალდოზე. პორტუგალიელმა დუბლი შეასრულა და მადრიდელთა გამარჯვებაში ლომის წვლილი შეიტანა.

8. **ბასტიან შვაინშტაიგერი** (ბაიერნი): „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ამბობს, ბასტიანმა კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარაო და ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია. ისევე, როგორც შტუტგარტელი ხედირა, შვაინიც ყველგან იყო - დაცვაში, შეტევაში, ფლანგებზე. ბასტიანი, **მარკ ვან ბომელთან** ერთად, საყრდენის პოზიციაზე იყო გამწესებული და თავი იდეალურად წარმოაჩინა.

9. **მარიო ბალოტელი** (ინტერი): სწორედ განური წარმოშობის მქონე იტალიელს უნდა უმადლოდეს მილანის „ინტერი", რომ ამ გუნდს ყაზანის „რუბინის" დამარცხება არ გაუჭირდა. ბალოტელიმ პირველ ტაიმში ბრწყინვალე საგოლე პასი მისცა **სამუელ ეტო'ოს**, მეორე ტაიმში კი თვითონაც გაიტანა გოლი - საჯარიმო დარტყმით, რომლის სიჩქარე 110 კმ/სთ (!) იყო. გარდა ამისა, მას რამდენიმე საგოლე მომენტი ჰქონდა, რომელთაგან უმეტესობა თვითონვე შეიქმნა.

10. **მაიკლ ოუენი** (მანჩესტერი): „მანჩესტერმა" „ვოლფსბურგს" 3:1 მოუგო და სამივე გოლი ოუენის ანგარიშზეა. თავდამსხმელმა, რომელიც 3 დღეში 30 წლის ხდება, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გოლების გატანა შეუძლია.

11. **ივიცა ოლიჩი** (ბაიერნი): მესამე ბაიერნელი სიმბოლურში. რეკორდმაისტერის ბრწყინვალე გამარჯვების ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი სწორედ ოლიჩია, რომელმაც, სანამ მოედანზე იყო, ტურინელი მცველები მუდმივად წნეხის ქვეშ ამყოფა და ესეც რომ არ იყოს: ანგარიშის გამათანაბრებელი პენალტი მისი მოპოვებულია. და ყველაზე მთავარი: „ბაიერნი" სწორედ მან დააწინაურა.

ლივერპული

# ბენიტესს რომანი დაეწყო

ერთი შეხედვით უცნაური გეგმაა: ახალ წელს, სატრანსფერო ფანჯარა რომ გაიხსნება, „ლივერპული“ „ტოტენჰემს“ **რაიან ბაბელს** მისცემს და **რომან პავლიუჩენკოს** გამოართმევს - ყოველ შემთხვევაში, მერსისაიდელთა სურვილი ასეთია. მათი მწვრთნელი, **რაფა ბენიტესი** ახლა უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ თავდასხმაში, მის ვარსკვლავს, **ფერნანდო ტორესს** ისეთი მეწყვილე სჭირდება, გოლის გასატანად ხელსაყრელ მომენტებს რომ შეუქმნის. ამასთან, ბენიტესს აღარც იმაში ეპარება ეჭვი, რომ ამ საქმისთვის ბაბელი არვარგა. უკვე დიდი ხანია ესპანელ მწვრთნელს ჰოლანდიელი თავდამსხმელის, მისი აზრით, უხარისხო თამაში და პრეტენზიები მობეზრდა - ბაბელი ხომ ხშირად გუნდიდან წასვლით იმუქრება. ამასთან, თურმე ნუ იტყვით და პავლიუჩენკოს თამაში ბენიტესს დიდი ხანია მოსწონს. მერსისაიდელთა თავკაცი, თურმე, დარწმუნებულია, რომ რუს ფორვარდს იმ თვისებებს დაუბრუნებს, რომელთა წყალობითაც რუსეთის ნაკრებმა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალს მიაღწია (თუმცა ეს, რასაკვირველია, ერთადერთი მიზეზი არ ყოფილა) და რომელთა ეშხითაც „ტოტენჰემმა“ წელიწადისა და სამი თვის წინ 13.8 მილიონი ფუნტი არ დაინანა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მედალს მეორე, კომერციული მხარეც აქვს. კერძოდ, მოგეხსენებათ, „ლივერპულს“ ფინანსურად კარგად არ აქვს საქმე. არადა, ბაბელის პავლიუჩენკოში გაცვლის ოპერაცია მას სჭირდება და არა „ტოტენჰემს“. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელი მერსისაიდელებმა „აიაქსიდან“ ორი წლის წინ 11,5 მილიონ ფუნტად შეიძინეს და მას დღესაც საკმაოდ კარგი საბაზრო ფასი აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლონდონელებმა, დიდი შანსია, პავლიუჩენკოში ფულის დამატებაც მოითხოვონ. საქმე ის გახლავთ, რომ რედნაპს ბაზარზე თავისი საქმეები აქვს, „სფურზის“ შეფებმა კი გააფრთხილეს, რომ თუ ვინმეს შეძენა მოუნდება, ჯერ ძველი ფეხბურთელი გაყიდოს და ახალი მოთამაშე ამის მერელა იყიდოს, მონაგები ფულით.

და რადგანაც რედნაპის გეგმებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, ბარემ ვთქვათ, რას აპირებს „ტოტენჰემის“ თავკაცი. ჯერ ერთი, მას კიდევ ერთი გოლკიპერის შეძენა სურს და გარდა ამისა ბრაზილიელი ნახევარმცველ **სანდროს** გადაბირებაც სურს „ინტერნასიონალიდან“. ამბობენ, სანდრო 8 მილიონი ფუნტი დაჯდებაო.

არის კიდევ ერთი ვარიანტი: რედნაპმა ბაბელის შესახებ ყველაფერი იცის და ალბათ, წყალწაღებულ მოთამაშედ არ მიაჩნია, მაგრამ სრულიად შესაძლებელია, პავლიუჩენკოს სანაცვლოდ მის მიღებას ფულის მიღება ერჩივნოს. თავად რუს ფორვარდს კი, ბუნებრივია, „ლივერპულის“ ვარიანტი ძალიან გაახარებს, რადგან ერთი რომ „ლივერპული“ „ლივერპულია“ და მეორეც, „ტოტენჰემში“ ის



რაფა ბენიტესი რომან პავლიუჩენკოს უმიზნებს

სასურველი ადამიანი აღარ არის და ამას კარგად გრძნობს. თავად განსაჯეთ, რედნაპის ხელქვეით არსებული ოთხეულიდან ის ბოლოა. მწვრთნელი მასზე წინ აყენებს **ჯერმაინ დეფოს, პიტერ კრაუჩსა** და **რობი კინს**. ამას წინათ, პავლიუჩენკოს აგენტმა **ოლეგ არტიომოვმა** განაცხადა:

*„ჩვენ „ტოტენჰემში“ შექმნილი მდგომარეობით სასტიკად უკმაყოფილონი ვართ და ყველა ღონეს ვიხმართ, რათა უახლოს მომავალში რომას ტრანსფერის საქმე მოვაგვაროთ. არ დაგიმალავთ, ჩემი შეძენით დაინტერესებულნიც არიან, ოღონდ ჯერ საქმე ოფიციალურ წერილამდე არ მისულა. ტელეფონით კი „არსენალმაც“ დარეკა, მოსკოვის „სპარტაკმაც“ და სანკტ პეტერბურგის „ზენიტმაც“.*

შეგახსენებთ, რომ ბენიტესი პავლიუჩენკოს შეძენას გასულ ზაფხულსაც აპირებდა, მაგრამ მაშინ ფული არ ჰქონდა საკმარისი რაოდენობით და საქმე შეაჩერა. ესპანელი დარწმუნებულია, რომ რუს მოთამაშეს „ლივერპულის“ ნახევარდაცვიდან თავდასხმამდე სივრცის ათვისება შეუძლია.

ვეტერანი

# ოუენი: რამდენიმე კვირაა ოცი წლისა ვარ

**მაიკლ ოუენი** ინგლისელების საყვარელი ფეხბურთელია და იმ დღიდან მოყოლებული, რაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შეიძინა, ჟურნალისტები და გულშემატკივრები ყველა ღონეს ხმარობენ, **ფაბიო კაპელოს** ნაკრებში რომ ააყვანინონ. და, რა ქნა ოუენმა ამ კვირის შუაში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში? გერმანულ „ვოლფსბურგს“ სამი გოლი გაუტანა - „იუნაიტედმა“ 3:1 გაიმარჯვა. ჰოდა, მიეცა მთელ ინგლისს, ტრავმებისგან ჯანმრთელობაშერყეული, მაგრამ მაინც დიდებული თავდამსხმელის მთელი გულითა და სულით ქების საშუალება. და რასაკვირველია, თუკი ვინმე მხარს უჭერს ოუენს, მისი თანაგუნდელები არიან. **მაიკლ კარიკი**, მაგალითად (რომელიც თავად თუ რამემ ხელი არ შეუშალა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს) ფიქრობს, რომ უკვე ძალიან დიდი შანსია ოუენიც მასთან ერთად იჯდეს სამხრეთ აფრიკისკენ მიმავალ თვითმფრინავში.

კარიკმა თქვა: *„რასაკვირველია, ფეხბურთელების შერჩევა და მსოფლიოს ჩემპიონატზე წაყვანა ან არ წაყვანა ჩემი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ დააკვირდით, მიმდინარე სეზონში რამდენი გადამწყვეტი გოლი გაიტანა მაიკლმა. ახლა, ყველა მის „ვოლფსბურგთან“ გატანილ გოლებზე ლაპარაკობს. მართალი გითხრათ, ვერ გეტყვით რა გააკეთა სამშაბათს მაიკლმა ისეთი, რაც ისედაც არ ვიცოდით. ნუთუ, ოუენს კიდევ ვინმესთვის რამეს დამტკიცება სჭირდებოდა? მთელი კარიერის განმავლობაში ის სწორედ იმითაა დაკავებული, რომ მომენტებს არ უშვებს ხელიდან და საჭირო გოლები გააქვს. მისი ყოველი ვარჯიშიც გოლებით არის სავსე, ასე რომ ვფიქრობ, აქ სალაპარაკოც კი არაფერია. ჩვენ, მისმა თანაგუნდელებმა კარგად ვიცით, რომ მას საგოლე მომენტი უნდა შევუქმნათ და ის აუცილებლად გამოიყენებს. ვიმეორებ, ამ სეზონში მან „მანჩესტერ იუნაიტედის“ სასარგებლოდ უკვე გაიტანა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე გოლები და ამას კიდევ ბევრჯერ გაიმეორებს. დააკვირდით ასეთ სტატისტიკას: „ვოლფსბურგთან“ შეხვედრაში მას ოთხჯერ შეეძლო გოლის შეგდება და სამი შეაგდო. ანუ, ოთხიდან სამი მომენტი გამოიყენა“.*

გერმანელთა კარში გატანილი გოლები თვალნათლივ ადასტურებს, თუ რა დონის ოსტატია მაიკლ ოუენი. გოლები სულ სხვადასხვა ყაიდისა გახლდათ. მაგალითად პირველი, ამ არცთუ მაღალმა კაცმა ცამდე ახტომით შეაგდო, ხოლო მეორე უფრო მეკობრის მოქმედებას ჰგავდა. რაც შეეხება მესამეს, მისი ცქერით, ვფიქრობთ, ყველა გულშემატკივარმა ისიამოვნა - მის აღწერას აქ აღარ შევუდგებით, რადგან შეგიძლიათ ინტერნეტში ხელახლა ნახოთ.

არადა, ალბათ, გახსოვთ, სკეპტიციზმის რა ტალღა წამოვიდა, როდესაც გასულ ზაფხულს სერ **ალექს ფერგიუსონმა** გამოაცხადა, რომ ტრავმებით დატანჯულ ოუენს, რომელიც ადგილს უკვე დაბალ ლიგებში ეძებდა, „მანჩესტერ იუნაიტედში“ ათამაშებს. კარიკი ამბობს: *„მწვრთნელმა მართლაც დიდი საქმე გააკეთა“.*

თანაგუნდელს **დარენ ფლეტჩერიც** თავიდან ბოლომდე ეთანხმება: *„მაიკლმა საოცრად ითამაშა. თან, მისი სამივე გოლი სხვადასხვანაირი იყო. როდესაც მაიკლ ოუენი შენი თანაგუნდელია, სულერთია, სასტარტო შემადგენლობაში იქნება თუ თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდება, დარწმუნებული ხარ, რომ გოლებს გაიტანს. ამ სეზონში, მეტწილად, ის თამაშში უფრო ბოლოსკენ ერთვება და ახალ ძალას, ენერგიას და საკუთარი თავის რწმენას გვმატებს, მაგრამ სამშაბათს მან ჩემპიონთა ლიგაში სამი გოლი შეაგდო და ეს, რა თქმა უნდა განსაკუთრებული რამ გახლდათ. აი, რისთვის იყიდა მწვრთნელმა იგი გასულ ზაფხულს“.*

ინგლისში დღემდე ახსოვთ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი და გოლი, რომელიც მან არგენტინის ნაკრებს გაუტანა. „ვოლფსბურგთან“ თამაშის შემდეგ ოუენმა ჟურნალისტებს განუცხადა:

*„რამდენიმე კვირაა ისევ 20 წლისა გავხდი. თამაშისგან დიდ სიამოვნებას ვიღებ. საერთოდ კი, საკუთარ თავზე ლაპარაკი არასდროს მყვარებია. ყოველთვის გუნდზე ლაპარაკი მერჩივნა. საქმე ისაა, რომ თუ მთელი გუნდი კარგად არ თამაშობს, თავდამსხმელი ჰეთ-თრიკს ვერ შეასრულებს. „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშიც განსაკუთრებით სასიამოვნოა. განა ბევრ გუნდს შეუძლია თამაშის განმავლობაში იმდენი საგოლე მომენტი შეგიქმნას, მანჩესტერ იუნაიტედი რომ გიქმნის? როგორც გითხარით საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ ბოლო გოლი მართლაც მშვენიერი გამომივიდა“.*



მაიკლ ოუენს მეორე სუნთქვა გაეხსნა?

ჩელსი

# ჯერ ხუთი, მერე აფრიკა

მოგეხსენებათ, სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში პრემიერლიგის ლიდერმა „ჩელსიმ“ ფრედ ითამაშა და ეს გამოდგა ზედიზედ მესამე შეხვედრა, რომელიც **კარლო ანჩელოტის** გუნდმა ვერ მოიგო - ასეთი ცუდი პერიოდი დასავლეთ ლონდონელთა გუნდს, რაც იტალიელი მწვრთნელი დაუნიშნეს, არ ჰქონია. შეგახსენებთ, რომელ სამ შეხვედრაზეც არის ლაპარაკი: „ბლექბერნთან“ „ქარლინგის თასიდან“ გამოვარდნაზე, ისტლენდზე „მანჩესტერ სიტისთან“ დამარცხებასა და ჩემპიონთა ლიგაში კვიპროსის აპოელ-თან უკვე ხსენებულ ფრეზე. „ლურჯების“ ერთ-ერთი ვარსკვლავი, ინგლისელი დრიბლიორი **ჯო კოული** ამბობს, რომ აპოელ-ის დარ სუსტ გუნდთან ფრის თამაში ლიგის ჯგუფური ეტაპის ცუდი დასრულება გახლდათ.

დღეიდან კი, ახალ წლამდე, „ჩელსის“ პრემიერლიგის ხუთი თამაში დარჩა ჩასატარებელი. კოულის აზრით, მას და მის თანაგუნდელებს იმისათვის, რომ საბოლოოდ ჩემპიონები გახდნენ, ამ ხუთ შეხვედრაში გამარჯვება მართებთ. ხსენებული ხუთი შეხვედრა კალენდარმა ასე ჩაამწკრივა: ჯერ „ევერტონისა“ და „პორტსმუთისთვის“ მასპინძლობა, შემდეგ, „ვესტ ჰემთან“ და „ბირმინგემ სიტისთან“ სტუმრობა, ბოლოს კი უბნის დერბი „ფულჰემთან“. ეს შეხვედრა 28 დეკემბერს „სტემფორდ ბრიჯზე“ გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ გასულ ტურში, „სიტისთან“ წაგებამ „ჩელსის“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ხუთქულიანი უპირატესობა ორ ქულამდე შეუმცირა - ინგლისის ჩემპიონმა ხომ იმ ტურში ქულა არ დაკარგა, „ვესტ ჰემს“ შთამბეჭდავად მოუგო 4:0. კოული ამბობს:

*„გასულმა კვირამ, ცოტა არ იყოს, შეგვარყია და ახლა მოუთმენლად ველით უქმეებს, რათა კვლავ გამარჯვების გზებზე დავდგეთ. ახალ წლამდე პრემიერლიგის ხუთი თამაში გველის და ვფიქრობ ამ მატჩებზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუ ჩვენ მოვახერხებთ, რომ საშობაო არდადეგებს პირველ ადგილზე შევხვდეთ, ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება“.*

თუ ზემოთ ჩამოთვლილ ხუთ გუნდს დავაკვირდებით, მათ შორის არც ერთი არ არის ისეთი, რომელსაც „ჩელსიმ“ ვერ უნდა მოუგოს, მაგრამ ჯო კოულს კარგად მოეხსენება, რას ნიშნავს პრემიერლიგაში ზედიზედ ხუთ შეხვედრაში გამარჯვება და იცის, რომ ამისათვის მთელმა გუნდმა საოცარი ერთსულოვნება უნდა გამოავლინოს. ამ ხუთ შეხვედრაში მთელი სული და გულია ჩასადები.



ჯო კოულს იანვარში დიდი სიმძიმე დააწვება

*„მერწმუნეთ, ჩვენს ლიგაში ყველა გუნდი ძლიერია და თითოეულის წინააღმდეგ თამაში ძნელია. თუმცა, ამას თავის წინასწარ მართლებად ნუ ჩამომართმევთ. ჩვენ ვართ გუნდი, რომლიც პირველობას ლიდერობს და რომელსაც იმედი აქვს, რომ პირველი იანვრისთვისაც ამავე პოზიციაზე იქნება“.*

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაახალწლევს „ჩელსის“ გამოაკლდებიან აფრიკელი ფეხბურთელეიბი **დიდიე დროგბა, მიკაელ ესიენი, ჯონ ობი მიკელი** და **სალომონ კალუ**. ისინი ანგოლაში აფრიკის თასზე სათამაშოდ მიემგზავრებიან და ინგლისში სამი კვირის შემდეგლა დაბრუნდებიან. სხვათა შორის, „აპოელთან“ შეხვედრაში ესიენმა ორთავა კუნთი გაიჭიმა და შესაძლოა ერთი-ორი კვირით დასვენებაც კი დასჭირდეს. ამბობენ, რომ არ არის გამორიცხული იანვრის სატრანსფერო ბაზარზე კარლო ანჩელოტიმ ახალი ფეხბურთელები შეიძინოს, მაგრამ ჯო კოული ამბობს, რომ ნახევარდაცვა რაგინდა რა ახალი ფეხბურთელის გარეშეც შესანიშნავად არის დაკომპლექტებული.

*„მართალია, ჩვენ ცოტა ხნით აღარ გვეყოლება ესიენი, მაგრამ აქ იქნებიან დეკუ, მიხაელ ბალაკი და ჟულიანო ბელეტი - რას იტყვით, შესანიშნავი შემადგენლობაა! და როდესაც რომელიმე მოთამაშე შავდება ან რაიმე მიზეზით აკლდება ჩვენს გუნდს, ნებისმიერი ფეხბურთელი სრულყოფილად ცვლის მეორეს“.*

თუმცა, რაც გინდა ის თქვი, როდესაც ოთხი წამყვანი ფეხბურთელი გაკლდება, ბუნებრივად იზრდება რისკი იმისა, რომ ძველებურად ველარ ითამაშებ და ამას კოულის თანაგუნდელი, პორტუგალიელი მცველი **რიკარდო კარვალიუ** ძალიან კარგად ხედავს.

*„იანვარი, რასაკვირველია, განსაკუთრებით ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ უნდა შევიკრათ და თამაშები მოვიგოთ. მწვრთნელმა „აპოელთან“ შეხვედრის გამო გვისაყვედურა. გამარჯვებასთან ძალიან ახლოს ვიყავით, მაგრამ ის საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე გავუშვით ხელიდან. ამ ამბავმა ყველა ცუდ გუნებაზე დაგვაყენა, თუმცა, რაც იყო, იყო. ის ფრე უკვე წარსულს ჩაბარდა და ჩვენ მთელი გულით და სულით „ევერტონთან“ შესახვედრად ვემზადებით. „მანჩესტერ სიტისთან“ დამარცხების შემდეგ ახლა ყველაფერზე მნიშვნელოვანი ამ შეხვედრაში გამარჯვება და ზოგადად, თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაა“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

პუშკაშის ტროფეი პატრონს ელის



ისტორიაში პირველად ფიფა წლის ულამაზესი გოლის ავტორს გამოარჩევს და გამარჯვებულს ფერენც პუშკაშის პრიზს გადასცემს. ტროფეი უნგრეთის 50-იანი წლების დიდი გუნდის კაპიტნის **ფერენც პუშკაშის** სახელს ატარებს და ის ამიერიდან ყოველწლიურად სეზონის საუკეთესო გოლის ავტორს გადაეცემა. სხვათა შორის, კონკურსში მონაწილეობენ როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა ფეხბურთის წარმომადგენლები. ნომინანტთა შორის პორტუგალიელი **კრიშტიანო რონალდოცაა**, რომელიც ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელობისთვისაც იბრძვის.

საუკეთესოს ვინაობას გულშემატკივრები გადაწყვეტენ, ფიფას ოფიციალურ საიტზე სპეციალურ გამოკითხვაში მონაწილეობით. ნომინანტები (მათი რიცხვი ათია) კი ფიფას საფეხბურთო კომიტეტმა შეარჩია. კომიტეტმა პუშკაშის ტროფეის ნომინანტთა შერჩევაში შემდეგი პრინციპებით იხელმძღვანელა:

ფიფა

# აქაც კრიშტიანო რონალდო

1. **ესთეტიკა** (ლამაზი გუნდური კომბინაციები, შორეული დარტყმები, აკრობატული დარტყმები), **2. მატჩის მნიშვნელობა** (ეროვნულ ნაკრებში გატანილ გოლებს მეტი ფასი აქვს, შემდეგ კონტინენტურ საკლუბო პირველობებზე გატანილ გოლებს, ბოლოს ეროვნულ ჩემპიონატში გატანილი გოლები მოდის), **3. შემთხვევითობის ან მოწინაალმდეგის შეცდომის არარსებობა** (სასურველია, გოლის გატანის მიზეზი არ იყოს ან მეტოქე მცველის შეცდომა, ან შემთხვევითობა), **4. ფეარ პლეი** (გასათვალისწინებელია, როგორ მოიქცა გოლის ავტორი მატჩის განმავლობაში, ხომ არ დაურღვევია ფეარ პლეის პრინციპი), **5. თარიღი** (გოლი გატანილი უნდა იყოს 2008 წლის ივლისიდან 2009 წლის ივლისამდე).

გამოკითხვა 12 დეკემბერს, ნაშუაღამევს დაიხურება. გამარჯვებულს პუშკაშის ტროფეის 21 დეკემბერს ფიფას გალასალამოზე გადასცემენ. გაგაცნობთ პირველი პრიზის 10 ნომინანტს:

| ნომინანტი | თარიღი | მატჩი | ტურნირი |
|---|---|---|---|
| ემანუელ ადებაიორი | 07.04.2009 | ვილიარეალი-არსენალი | ჩემპიონთა ლიგა |
| ელირან ატარი | 07.02.2009 | ბნეი იეჰუდა-ნეთანია | ჰა'ალი (ისრ. ჩემპ.) |
| მიკაელ ესიენი | 06.05. 2009 | ჩელსი-ბარსელონა | ჩემპიონთა ლიგა |
| გრაფიტე | 04.04.2009 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | ბუნდესლიგა |
| ანდრეს ინიესტა | 06.05.2009 | ჩელსი-ბარსელონა | ჩემპიონთა ლიგა |
| ლუის ანხელ ლანდინი | 12.04.2009 | მორელია-კრუს ასული | მექსიკის ჩემპ. |
| კატლეგო მფელა | 28.06.2009 | ესპანეთი-ს. აფრიკა | კონფედერ. თასი |
| ნილმარი | 10.05.2009 | კორინთიანსი-ინტერნას. | სერია A (ბრაზ) |
| კრიშტიანო რონალდო | 15.04.2009 | პორტუ-მანჩესტერი | ჩემპიონთა ლიგა |
| ფერნანდო ტორესი | 11.04.2009 | ლივერპული-ბლეკბერნი | პრემიერლიგა |

ბილბაო



პირველი შავკანიანი ბილბაოში

# ეს არის ბასკი?

ბილბაოს „ატლეტიკმა" ევროპის ლიგის განაცხადში 16 წლის ტალანტი **იონას რამალიო** შეიყვანა. მოსალოდნელია, რომ რამალიოს დებიუტს მალე ვიხილავთ პრიმერა დივიზიონშიც. რამალიომ ყველაზე მცირე ასაკში (14 წლის და 8 თვის) ითამაშა „ატლეტიკის" პირველ გუნდში, ეს ორი წლის წინ ამხანაგურ მატჩში მოხდა. მაშინ ბასკური გუნდის მაისურა რამალიომ და მისმა თანატოლმა **იკერ მუნიაინმა** მოირგეს. მუნიანი უკვე გაუშინაურდა პირველ გუნდს, ჯერი რამალიოზეა.

ყველამ კარგად უწყის, რომ „ატლეტიკში" მხოლოდ ბასკები ან ბასკური წარმოშობის ფეხბურთელები თამაშობენ, თუმცა დროთა განმავლობაში ამ თვითშეზღუდვასაც ყავლი გასდის. შორს რომ არ წავიდეთ - იონას რამალიო ანგოლური წარმოშობისაა. ბასკური კლუბის დაუწერელ კანონში ახალი „შესწორებით" „ატლეტიკის" კარი ღიაა იმ არაბასკებისთვისაც, რომლებიც ამ გუნდის ახალგაზრდულ გუნდში აღიზარდნენ. რამალიო „ათლეტთა" 111-წლიან ისტორიაში პირველი შავკანიანი ფეხბურთელი იქნება.

# ვინ მოხვდება წლის ნაკრებში?

FIFA
FIFPro World XI
AWARD 2009

ფიფამ გამოაქვეყნა 55 ნომინანტის სია, რომელთაგანაც 50 ათასამდე პროფესიონალი ფეხბურთელი ფიფას წლის ნაკრებს შეადგენს. შედეგები ციურიხის გალასალამოზე გამოქვეყნდება. *„ფიფა მოხარულია, რომ პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციასთან ერთად ატარებს ამ გამოკითხვას. რადგან კოლეგებზე უკეთ ფეხბურთელთა თამაშს ვერავინ შეაფასებს"*, - განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა **იოზეპ ბლატერმა**. გთავაზობთ ნომინანტთა სიას სათამაშო პოზიციების მიხედვით:

მეკარეები - **ჯანლუიჯი ბუფონი** (იტალია, იუვენტუსი); **იკერ კასილიასი** (ესპანეთი, რეალი), **ჟულიო სეზარი** (ბრაზილია, ინტერი), **ხოსე მანუელ რეინა** (ესპანეთი, ლივერპული), **ედვინ ვან დერ სარი** (ჰოლანდია, მანჩესტერ იუნაიტედი);

მცველები - **დანიელ ალვეში** (ბრაზილია, ბარსელონა), **ფაბიო კანავარო** (იტალია, იუვენტუსი), **ჯორჯიო კიელინი** (იტალია, იუვენტუსი), **გაელ კლიში** (საფრანგეთი, არსენალი), **ეშლი კოული** (ინგლისი, ჩელსი), **პატრის ევრა** (საფრანგეთი, მანჩესტერ იუნაიტედი), **რიო ფერდინანდი** (ინგლისი, მანჩესტერ იუნაიტედი), **ფაბიო გროსო** (იტალია, იუვენტუსი), **გლენ ჯონსონი** (ინგლისი, ლივერპული), **ფილიპ ლამი** (გერმანია, ბაიერნი), **ფერეირა ლუსიო** (ბრაზილია, ინტერი), **მაიკონი** (ბრაზილია, ინტერი), **ალესანდრო ნესტა** (იტალია, მილანი), **პეპე** (პორტუგალია, რეალი), **ჟერარდ პიკე** (ესპანეთი, ბარსელონა), **კარლეს პუიოლი** (ესპანეთი, ბარსელონა), **სერხიო რამოსი** (ესპანეთი, რეალი), **ვალტერ სამუელი** (არგენტინა, ინტერი), **ჯონ ტერი** (ინგლისი, ჩელსი), **ნემანია ვიდიჩი** (სერბეთი, მანჩესტერ იუნაიტედი);

ნახევარმცველები - **ჩაბი ალონსო** (ესპანეთი, რეალი), **მიხაელ ბალაკი** (გერმანია, ჩელსი), **დანიელე დე როსი** (იტალია, რომა), **დიეგო** (ბრაზილია, იუვენტუსი), **მიკაელ ესიენი** (განა, ჩელსი), **სესკ ფაბრეგასი** (ესპანეთი, არსენალი), **სტივენ ჯერარდი** (ინგლისი, ლივერპული), **რაიან გიგზი** (უელსი, მანჩესტერ იუნაიტედი), **ანდრეს ინიესტა** (ესპანეთი, ბარსელონა), **კაკა** (ბრაზილია, რეალი), **ფრენკ ლემპარდი** (ინგლისი, ჩელსი), **ანდრეა პირლო** (იტალია, მილანი), **ფრანკ რიბერი** (საფრანგეთი, ბაიერნი), **იაია ტურე** (კოტ დ'ივუარი), **ჩავი** (ესპანეთი, ბარსელონა);

თავდამსხმელები - **ნიკოლას ანელკა** (საფრანგეთი, ჩელსი), **ანდრეი არშავინი** (რუსეთი, არსენალი), **ქარიმ ბენზემა** (საფრანგეთი, რეალი), **დიდიე დროგბა** (კოტ დ'ივუარი, ჩელსი), **სამუელ ეტოო** (კამერუნი, ინტერი), **ლუიშ ფაბიანო** (ბრაზილია, სევილია), **ტიერი ანრი** (საფრანგეთი, ბარსელონა), **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (შვედეთი, ბარსელონა), **ლიონელ მესი** (არგენტინა, ბარსელონა), **დიეგო მილიტო** (არგენტინა, ინტერი), **ალეშანდრე პატო** (ბრაზილია, მილანი), **კრიშტიანო რონალდო** (პორტუგალია, რეალი), **უეინ რუნი** (ინგლისი, მანჩესტერ იუნაიტედი), **ფერნანდო ტორესი** (ესპანეთი, ლივერპული), **დავიდ ვილია** (ესპანეთი, ბარსელონა).

რეალი

# ალბიოლს მხოლოდ გახურების ეშინია

მადრიდის „რეალს" ესპანურ პრიმერაში უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის -"მესტალიაზე", „ვალენსიას" წინააღმდეგ. სპეციალურად ამ შეხვედრისთვის „სამეფო კლუბის" მცველმა **რაულ ალბიოლმა** პრესკონფერენცია მოაწყო. შეგახსენებთ, რომ 24 წლის მცველი ივნისში „ვალენსიადან" „რეალში" 15 მილიონი ევროდ გადავიდა. თუ არ ჩავთლით, ერთ სეზონს „ხეტაფეში" (განათხოვრების წესით) ალბიოლმა აქამდე მთელი კარიერა „ვალენსიაში" გაატარა.

*„გუნდი ნელ-ნელა შედის საუკეთესო ფორმაში. ჩვენი მიზანი მარტივია - „მესტალიაზე" სამი ქულა მოვიპოვოთ. ჩემთვის ეს მატჩი მართლაც სპეციფიკურია, ვუბრუნდები მშობლიურ ქალაქს, უნდა ვითამაშო მშობლიურ სტადიონზე. იმედია, ყველაფერი კარგად ჩაივლის. განსაკუთრებით ვღელავ, თუ როგორ შემხვდება პუბლიკა, როცა გასახურებლად გამოვალ, რადგან როგორც კი თამაში იწყება, ყველა გარეშე ფაქტორი მავიწყდება. ორივე გუნდს დიდი დანაკლისი აქვს, კრიშტიანოსა და კაკას შეცვლა სხვებსაც შეუძლიათ, „ვალენსიას" კი დავიდ სილვას შეცვლა გაუჭირდება. „რეალმა" არ უნდა დაუშვას, რომ „ბარსელონა" წინ გაიჭრას, ამიტომ „მესტალიაზე" მხოლოდ სამი ქულა დაგვაკმაყოფილებს"*, - განაცხადა რაულ ალბიოლმა, რომელიც კარიერაში პირველად უნდა დაუპირისპირდეს მშობლიურ გუნდს.

ესპანურმა „წითელმა ჯვარმა" და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ერთობლივი პიარაქცია მოაწყო, რომელშიც „რეალის" ვარსკვლავები **რაულ გონსალესი** და **ჩაბი ალონსო** მონაწილეობდნენ, მათ ნებაყოფლობით ჩააბარეს სისხლი კლინიკაში და სხვებსაც ამისკენ მოუწოდეს. სწორედ აქციაზე ყოფნისას ჩაბი ალონსომ ესპანურ მედიას განუცხადა, რომ ტრავმა მოირჩინა: *„თავს კარგად ვგრძნობ, არა მგონია, „ვალენსიასთან" მატჩში პრობლემა შემექმნას. ვილია, მატა, ხოაკინი... ჩემი თანაგუნდელები არიან ნაკრებში, მაგრამ შაბათს მათ წინააღმდეგ თამაში და გამარჯვება მომიწევს".*

სალამოს ჩაბი ალონსომ გუნდთან ერთად ჩვეულებრივად ივარჯიშა, ისევე როგორც კიდევ ერთმა ტრავმირებულმა - **სერხიო რამოსმა**. სატრენაჟორო დარბაზში კი ინდივიდუალურად **ვან ნისტელროი**, **მეტცელდერი**, **გუტი** და **კაკა** ემზადებოდნენ. ამ ოთხეულის თამაში „მესტალიაზე" გამორიცხულია. გუნდთან ერთად ჩვეულებრივად ივარჯიშა **კრიშტიანო რონალდომ**, მაგრამ მისი თამაში დისკვალიფიკაციის გამო გამორიცხულია. „მესტალიაზე" განსაკუთრებით მოტივირებული არგენტინელი ფორვარდი **გონსალო იგუაინი** იქნება, რომელსაც გუშინ 22 წელი შეუსრულდა. იგუაინს ბრწყინვალე სეზონი აქვს - 10 მატჩში მან 6 გოლი გაიტანა.

გუშინ „სამეფო კლუბის" ოფისში **ხორხე ვალდანომ** და „ტოშიბას" წარმომადგენელმა ესპანეთში **ალბერტო რუანომ** ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ფირმა სერიულ წარმოებაში ჩაუშვებს მადრიდის „რეალისადმი" მიძღვნილ ოფიციალურ ლეპტოპს ნბ-200 სერიიდან. *„რეალი" და „ტოშიბა" ერთმანეთს იმსახურებენ, ჩვენს ფირმებს საერთო ხედვა აქვთ. ჩვენი ხელშეკრულება ხელს შეუწყობს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სპორტის მჭიდრო კავშირს"*, - განაცხადა ცერემონიალზე ხორხე ვალდანომ.



რაულ ალბიოლი მშობლიური გუნდის წინააღმდეგ პირველად ითამაშებს

ბარსელონა




ასე გაიყვანეს მოედნიდან 2009 წლის საუკეთესო ფეხბურთელი

# მესი საეჭვოა, პეპი სკანდალური

ბარსელონის დერბისთვის ესპანეთის ჩემპიონის პირველი პრობლემა **ლიონელ მესის** ტრავმაა. მესიმ კიევში, ჩემპიონთა ლიგის მატჩის მიწურულს მარჯვენა კოჭი დაიშავა (მას კიეველი **ალმეიდა** ეუხეშა) და ახლა მისი თამაში „ესპანიოლის" წინააღმდეგ საეჭვოა. არგენტინელს დღეს სკანირებას ჩაუტარებენ და ზუსტი დიაგნოზიც ცნობილი გახდება.

„ბარსელონას" თავკაც **პეპ გვარდიოლას** კი ესპანეთში კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს, მას შემდეგ, რაც მან პოლიტიკური განცხადებები გააკეთა. კიევში, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე გვარდიოლამ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა კატალონიაა, რომელსაც საკუთარი ენა აქვს. ეს პასუხი უკრაინელ ჟურნალისტთა დაინტერესებამ გამოიწვია, თუ რატომ არჩია გვარდიოლამ პრესკონფერენციაზე კატალონიურად ეპასუხა მედიისათვის. უეფა არ ავალდებულებს „ბარსელონას" მეტოქეებს კატალონიურის მცოდნე თარჯიმანი იყოლიონ. შედეგად, პრესკონფერენციის შინაარსი კატალონიელი ჟურნალისტების გარდა ყველასათვის უცნობი დარჩა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

პოსტფაქტუმ



ჟოზე მოურინიომ, იტალიაში ინტერის გამარჯვება არ უხარიათო...

# მოურინიო: რატომ გვაკრიტიკებთ?

„ინტერი“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე გავიდა და გულმოსულმა **ჟოზე მოურინიომაც** პრესას შეუტია: რატომ გვაკრიტიკებთ, ხომ ხედავთ, რომ ყველა ფრონტზე თანაბარი წარმატებით ვასპარეზობთო. როგორც ჩანს, „რუბინთან“ მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, პორტუგალიელი ელოდა, რომ ჟურნალისტები მას და მის გუნდს ქებით ცაში აიყვანდნენ. სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა, პირიქით, აქა-იქ კრიტიკაც კი გაისმა, „ინტერი“ უსახურ ფეხბურთს თამაშობსო, რამაც ჟოზე ლამის წყობიდან გამოიყვანა. აი, რას ამბობს მოურინიო:

*„როდესაც იტალიაში მოვდიოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ქვეყანაში მთავარი შედეგია. თუმცა დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ასე არ არის. გასულ სეზონში იტალიის ჩემპიონატში დამაჯერებელი გამარჯვება მოვიპოვეთ და წელსაც ვლიდერობთ. ამასთან, შესანიშნავი შანსი გვაქვს, რომ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას მივაღწიოთ. მიუხედავად ამისა, პრესა დაუნდობლად გვაკრიტიკებს, ხან სათამაშო დისციპლინას გვიწუნებენ, ხანაც თამაშის ესთეტიკურ მხარეს. არადა, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ყველა კომპონენტში კარგად გამოვიყურებით. შეგიძლიათ უყუროთ „ინტერი“-„რუბინის“ ჩანაწერს. მართლაც შესანიშნავი ფეხბურთი ვითამაშეთ და სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ. მრჩება შთაბეჭდილება, რომ იტალიაში, უბრალოდ, არ უხარიათ „ინტერის“ წარმატებები და თუ რატომ, ამის ახსნა მიჭირს“.*

მოურინიოსგან განსხვავებით, პრესის კრიტიკა ნაკლებად აინტერესებს **დეიან სტანკოვიჩს** და უკვე ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფებზე ფიქრობს. სერბი მიიჩნევს, რომ უმჯობესია, თუ მერვედფინალში ევროპული ფეხბურთის რომელიმე გრანდთან მოუწევს დაპირისპირება:

*„ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე სუსტი გუნდები არ თამაშობენ და ყველას მიმართ პატივისცემით უნდა ვიყოთ განწყობილნი. თუმცა ჩემი სურვილია, რომ გრანდს გადავეყაროთ. ასეთ შემთხვევაში, თავიდანვე მაქსიმალურად მობილიზებულნი ვიქნებით და წარმატების მეტი შანსი გვექნება. რაც მთავარია, წარსული შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ - არ გვაქვს ისე თამაშის უფლება, როგორც „ნოუ კამპზე“ ვიასპარეზეთ. „ინტერის“ დარ გუნდს არ ეკადრება ასე უშანსოდ წაგება. სიმართლე გითხრათ, იმ მატჩის შემდეგ ძალიან ბევრი ვინერვიულე. სამომავლოდ მსგავსი რამ აღარ უნდა დავუშვათ“.*

# პრანდელი გაკვირვებულია...



ჩეზარე პრანდელი

ბევრისთვის მოულოდნელად, ფლორენციის „ფიორენტინამ“ ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპი ბრწყინვალედ განვლო და ურთულეს ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. უკანასკნელ ტურში „ვიოლა“ „ლივერპულს“ სტუმრობდა და პირველი პოზიციის შესანარჩუნებლად მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს. მიუხედავად იმისა, რომ **ჩეზარე პრანდელიმ** გადახალისებული შემადგენლობა ათამაშა, „ფიორენტინამ“ ინგლისური კლუბი დაამარცხა და „ლივერპულთან“ ერთად, „ლიონიც“ უკან მოიტოვა. ასეთმა შედეგმა პრანდელიც კი გააკვირვა, რაშიც მისი კომენტარი დაგარწმუნებთ:

*„სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებდით. მეტოქეებად „ლივერპული“ და „ლიონი“ გვყავდა, ევროპის ორი გამორჩეული კლუბი. „ენფილდზე“ გამარჯვება სახუმარო საქმე არ არის, ჩვენ კი ეს მოვახერხეთ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს შეგირდებს, რომლებმაც ყველაფერი გაილეს იმისთვის, რომ ასეთი შედეგი მიგვეღო“.*

მოსალოდნელი ტრანსფერი

# იუვემ პაცინის დაუმიზნა

ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ, „იუვენტუსის“ მესვეურები გუნდის გაძლიერებაზე სერიოზულად დაფიქრდნენ. მართალია კლუბმა ფინანსურადაც გვარიანად იზარალა, მაგრამ ტიფოზების გულის მოსაგებად ერთი-ორი ტრანსფერის გაჩარხვა ამ ზამთარსვეა საჭირო. თუმცა, ტიფოზები იქით იყვნენ და „ბიანკონერის“ ერთი-ორი კვალიფიციური ფეხბურთელი ნამდვილად არ აწყენდა.

ექსპერტთა აზრით, „იუვეში“ ყველაზე სუსტი რგოლი შეტევის ხაზია და ეს მიუხედავად იმისა, რომ თითქოს „ვეკია სენიორას“ სახელიანი თავდამსხმელები არ აკლია - **ვინჩენცო იაკვინტა, კარვალიო ამაური, ალესანდრო დელ პიერო, დავიდ ტრეზეგე**. ამ ორი უკანასკნელის მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა ეჭვქვეშ ნამდვილად არ დგას, მაგრამ ფაქტია, რომ უკვე ასაკში არიან და ძველებურად ველარ ბურთაობენ. იმავე ტრეზეგემ „ბაიერნს“ ბრწყინვალე გოლი გაუტანა, მაგრამ ფრანგი ამას შიგადაშიგ ახერხებს და თანაც, სეზონის უდიდეს ნაწილს ლაზარეთში ატარებს. რაც შეეხება იაკვინტას, ტრავმა აქვს - თუმცა, როდესაც მწყობრში იყო, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ძალიან კარგად ასპარეზობდა.

და მივადექით მთავარს - კარვალიო ამაურის. რატომ მთავარს და იმიტომ, რომ „გაძეტა დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზამთარში „იუვეს“ მესვეურები სწორედ მისი შემცვლელის მოძებნა-გადაბირებას შეეცდებიან. ფაქტია, რომ ამაური ვერ ამართლებს იმ ავანსებს, რომელიც მასზე გაიცა. კი ბატონო, მთლად უსარგებლო არ გახლავთ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი - შეიძინეს თუ არა კარვალიო, მთავარი ფორვარდის ფუნქციები დააკისრეს, ამხელა ტვირთს კი სეზონში რვა-ათი გოლის გატანით ნამდვილად ვერ მოერევი.

და რას აპირებენ „იუვენტუსის“ მესვეურები? - თუ იმავე „გაძეტას“ დავუჯერებთ, ზამთრის სატრანსაფერო ფანჯრისას „სამპდორიას“ ფორვარდის, **ჯამპაოლო პაცინის** გადაბირება სურთ. იტალიის ეროვნული ნაკრების კანდიდატს ამ დროისთვის სერია A-ში რვა გოლი აქვს გატანილი და ცხადია, მონაგარს კიდევ არაერთით გაზრდის. ბუნებრივია, თუ პაცინიმ სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ფორუმზე იასპარეზა, მისი ფასი კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ, პიემონტელები ჯამპაოლოს შეძენას ზამთარშივე შეეცდებიან. თუმცა, ავტორიტეტული გამოცემა გვიმტკიცებს, რომ ფორვარდს დღესაც გვარიანი ფასი ადევს. „სამპდორია“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაფიქრდება წამყვანი თავდამსხმელის გასხვისებაზე, თუ მასში მინიმუმ 20 მილიონ ევროს გადაიხდიან. სწორედ ამაზე საუბრობს ფეხბურთელის პირადი აგენტი:

*„ჯამპაოლო გენუაში თავს შესანიშნავად გრძნობს, მაგრამ ალბათ არავისთვის იქნება გასაკვირი თუ ვიტყვი, რომ ადრე თუ გვიან, გრანდში გადასვლაზე უარს არ იტყვის. ამიტომ, იმაზე საუბარი, რომ „იუვეს“ მისი გადაბირების შანსი არ აქვს, აბსურდული იქნება. ყველაფერი მოლაპარაკებაზე, ფინანსებზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, გენუური კლუბის მესვეურები ჩემს კლიენტში მინიმუმ ოც მილიონ ევროს მოითხოვენ და თუ ტურინელები ამ თანხას გადაიხდიან, არა მგონია, ტრანსფერს წინ რამე დაუდგეს. თუმცა, ტურინიდან ჩემთვის ჯერჯერობით არავის დაურეკავს და ამაზე ლაპარაკი ნაადრევი მგონია“.*



ჯამპაოლო პაცინი

მილანი

# სილვას ტრავმა კალაძის შანსია



ტიაგო სილვა ორი თვე დაისვენებს

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სილვამ მარცხენა ფეხის კუნთი დაიზიანა. უახლოეს დღეებში მას დეტალურ გამოკვლევას ჩაუტარებენ და გაცხადდება, რამდენ ხანს ნაილებს მკურნალობის პროცესი. დღეს მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბრაზილიელი მინიმუმ ორ თვეს იუქმებს. მეორე ვერსიით, შესაძლოა მარტამდე ლაზარეთში მოუწიოს ყოფნამ.

სილვას ტრავმას **ადრიანო გალიანიც** გამოეხმაურა, მან სინანული გამოთქვა მომხდარის გამო და კახა კალაძეს ნდობა გამოუცხადა: *„ტიაგო დაშავდა, რაც ძალიან სამწუხაროა. იმედია მალე გამოჯანმრთელდება და დაუბრუნდება მოედანს. ისე კი, საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ, რადგან ჩვენ გვყავს კახა კალაძე, რომელსაც ბრაზილიელის შეცვლა თავისუფლად შეუძლია“.*

გალიანიმ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი შეაჯამა და „იუვენტუსის“ „ბაიერთან“ მარცხზეც გააკეთა კომენტარი: *„ბევრი ამბობს, რომ „მილანმა“ „რეალის“ დახმარებით მოიპოვა მერვედფინალის საგზური. გარკვეულწილად ეს ასეც არის და ამისთვის მადლობა სამეფო კლუბს, მაგრამ ამ მოსაზრებას ბოლომდე მაინც ვერ გავიზიარებ. „ციურიხთან“ მეორე ტაიმში თამაშის ჩარხი საჩვენოდ შემოვატრიალეთ, გოლიც გავიტანეთ და მწვავედაც ვუტევდით. თუმცა მას შემდეგ, რაც „რეალი“ „მარსელთან“ კიდევ ერთხელ დაწინაურდა, ყველაფერი გაცხადდა. ჩვენი ფეხბურთელები მოდუნდნენ და მეტოქეს თავი აღარ შეაკლეს. მას შემდეგ, რაც საფრანგეთში ანგარიში 1:3 გახდა, სულაც დავდექით და აღარ ვთამაშობდით. ასე არ შეიძლება, მესმის, მაგრამ ფაქტის კონსტატაციას ვახდენ. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ „იუვენტუსის“ ფიასკო ძალიან მეწყინა - ტურინელთა მარცხმა შეიძლება დათვური სამსახური გაუწიოს მთლიანად იტალიურ საკლუბო ფეხბურთს. გერმანელები კუდზე გვაზიან და თუ საერთაშორისო სარებიელზე შედეგებს არ გავაუმჯობესებთ, ჩემპიონთა ლიგაში მეოთხე საგზურს ბუნდესლიგას გადავულოცავთ. ამიტომ, დროა თითოეულმა იტალიურმა კლუბმა პრიორიტეტი ევროასპარეზს მიანიჭოს. სწორედ საერთაშორისო წარმატებებით დაფასდება სერია A, რომლის მოგებასაც ასე ესწრაფვიან ხშირად და ამბობენ, სკუდეტო ყველაფერს გვირჩევნიაო. იმედია, მიმდინარე სეზონი იტალიური კლუბებისთვის წარმატებული იქნება“.*

„ციურიხთან“ შეხვედრაში ტრავმა მიიღო „მილანის“ ბრაზილიელმა მცველმა **ტიაგო სილვამ** და შესაცვლელი შეიქმნა. მის ნაცვლად თამაშში **კახა კალაძე** ჩაერთო და საკმაოდ დამაჯერებლადაც იასპარეზა. ბუნებრივია, ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვის საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ რამდენად სერიოზულად დაშავდა ბრაზილიელი უკანახაზელი.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

შეხვედრები სეოკ-ში

# მძლეოსნებს სადარდელი არ ელევათ

სეოკ-ის ხელმძღვანელობა აგრძელებს ეროვნულ ფედერაციებთან შეხვედრებს და „ლონდონი 2012"-ის მზადებასთან დაკავშირებულ პრობლემების განხილვას. გუშინ სეოკ-ს მძლეოსნობისა და ძალოსნობის ფედერაციათა მესვეურები სტუმრობდნენ.

მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **თამაზ მდინარაძემ** სინანული გამოთქვა, რომ *"საქართველოში „სპორტის დედოფალი" ყოველთვის ყველაზე მასობრივ სპორტის სახეობად ითვლებოდა, მაგრამ დღეს ყველაზე მცირერიცხოვნად გადაიქცა. მძლეოსნობა საერთოდ ქართული სპორტის წინსვლისთვის არის საჭირო. ძიუდოს ტატამი ყველა რაიონში ძალიან კარგი და მისასალმებელია, მაგრამ სარბენი ბილიკებიც არ იქნებოდა ურიგო. 11 ოლიმპიური მედალი გვაქვს მოპოვებული და საქართველო ამას იმსახურებს. აზერბაიჯანში, რომელიც შედეგებითა და ტრადიციებით ჩვენთან ახლოსაც ვერ მოვა, ორი წმინდა მძლეოსნური სტადიონი გაკეთდა".* მანვე აღნიშნა, რომ 2009 წელს სეოკ-ისგან და, საერთოდ, სახელმწიფოსგან მძლეოსნობა ნორმალურად დაფინანსდა და წინა წელთან შედარებით სექციებში მსურველთა რაოდენობამაც იმატა, მაგრამ სტადიონებზე სარბენი ბილიკების უქონლობა აფერხებს სპორტის ამ სახეობის განვითარებას. ლონდონის ოლიმპიადისთვის ფედერაცია სამი ლიცენზიის მოპოვებას გეგმავს. ბირთვის კვრაში **მარიამ ქევხიშვილი** წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-14 ადგილზე გავიდა და დიდი შანსია, ოლიმპიადაზე ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვოს. სალიცენზიო ნორმატივის შესრულება არ უნდა გაუჭირდეს **დავით ილარიანსაც**, ხოლო სიგრძეზე ხტომაში 16 წლის ახმეტელ **ლაშა ღულელაურს** უდიდესი პოტენციალი გააჩნია, გახდეს დიდი სპორტსმენი. გაისად სინგაპურში მსოფლიოს I ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები გაიმართება და, მდინარაძის თქმით, ლაშა ღულელაურს საპრიზო ადგილზე გასვლა ნამდვილად ხელეწიფება, სინგაპურში ასპარეზობის კარგი შანსი აქვს ასევე მორბენალ **ბაჩანა ხორავას.**

ძალოსნობის ფედერაცია 2009 წლის შედეგებით უკმაყოფილო არ არის. სამწუხაროდ, უნიჭიერესმა ძალოსანმა **არსენ კასაბიევმა** საქართველო დატოვა. **ალბერტ კუზილოვი** გუნდის ნამდვილი ლიდერი გახდა, რაც მან მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაამტკიცა. როგორც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გიორგი ასანიძემ** აღნიშნა: *"ამოცანა მაქსიმუმ 5 ლიცენზიის მოპოვებაა, მაგრამ არც 4 საგზური იქნებოდა ურიგო შედეგი. ალბერტ კუზილოვი აუცილებლად იბრძოლებს და შესწევს ძალა საპრიზო სამეულში მოხვდეს. გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც სალიცენზიოა, 7 სპორტსმენით ასპარეზობა იგეგმება, რათა გუნდს ჩასათვლელი ქულები ყველა ძალოსანმა მოუტანოს. რაც შეეხება სინგაპურის ახალგაზრდულ ოლიმპიადას – აქ მეტად პერსპექტიული ძალოსნის ვინიამინ ალექსიძის ასპარეზობა მოიაზრება".*



შეხვედრაზე ისაუბრეს აგრეთვე სოკ-ის ოლიმპიური სოლიდარობის 4 - წლიანი პროგრამის შესახებ, რომელიც ზოგადად სპორტის განვითარების კუთხით მრავალ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს.

**ლელოს კორ.**

სამთო თხილამურობა



იასონ აბრამაშვილი

# სეზონის პირველი...

საქართველოს საუკეთესო სამთო-მოთხილამურე **იასონ აბრამაშვილმა** სეზონის პირველი ტიტული მოიგო. იტალიურ ბორმიოში გიგანტურ სლალომში, რომელიც „სითიზენის" ეგიდით გაიმართა იგი შეჯიბრების ერთ-ერთი ფავორიტი იყო (150-ზე მეტ მონაწილეს შორის რეიტინგით მესამე ) და 55,85 წამი შედეგით პირველი ცდა პირველ ადგილზე ჩაამთავრა. მეორე ცდა კი უამინდობამ ჩაშალა და გამარჯვებული პირველი ცდით გამოვლინდა. იასონმა 36,34 ქულა მიიღო, რაც ამ სეზონში მისთვის საუკეთესო შედეგია. 20 წლის **ვახტანგ თედიაშვილმა** მე-15 ადგილი დაიკავა, 17 წლის **კოტე ვახტანგიშვილმა** - 23-ე.

21 წლის აბრამაშვილმა გასულ სეზონში, რომელიც მის კარიერაში ჯერჯერობით საუკეთესო იყო, 5 ტურნირი მოიგო. ბორმიოში მოპოვებული თასი კი მეშვიდე ტიტულია. შეგახსენებთ, რომ იასონს კარგა ხანია მოპოვებული აქვს ზამთრის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია. ვანკუვერის ოლიმპიადა ორ თვეში დაიწყება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამბო

სეზონის შეჯამება

# მონაგარი გადათვალეს

წლევანდელი სეზონი სამბისტებისთვის შედარებით წარუმატებელი გამოდგა - ყველა ასაკში სამ ათეულზე მეტი მედალი კი მოიპოვეს, მაგრამ წლის მთავარ შეჯიბრებაზე - უფროსებში მსოფლიოს პირველობაზე უჩემპიონოდ დარჩნენ. ამიტომ იყო სეზონით უკმაყოფილო ნაკრების თავკაცი **ოლეგ იაძე**, თორემ წლეულს სამბისტებს ურიგოდ არ უასპარეზიათ - ჭაბუკებმა, ახალგაზრდებმა და უფროსებმა ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე 32 მედალი მოიპოვეს. უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატის გარდა, ამ ტურნირებში ყველგან ჰყავდათ ჩემპიონი. თუმცა ყველაფერი შედარებითია და ამ სამი ნაკრებიდან უფრო უკეთ ახალგაზრდები გამოვიდნენ - ევროპაზე რვა მედალი მოიპოვეს (ორ-ორი ოქრო-ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო), მსოფლიოზე - ხუთი (ორი ოქრო და სამი ბინჯაო). თუმცა გუშინ სპორტის დეპარტამენტში გამართულ სეზონის შემაჯამებელ სხდომაზე ყველა ნაკრების გამოსვლა ერთნაირად - დადებითად შეაფასეს. იაძემ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ შედეგები ბევრად უკეთესი იქნებოდა, რომ არა სამბოსადმი ბოლო ოცი წლის განმავლობაში გამოჩენილი უყურადღებობა. მწვრთნელის აზრით, ამან თავისი დაღი დაასვა დღევანდელობას, რაშიც ნამდვილად უნდა დავეთანხმოთ.

თუმცა იაძემ გუშინ ხელისუფლებას უფრო მეტი მადლობა უთხრა, ვიდრე - საყვედური. ამის მიზეზი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაა სპორტის არაოლიმპიური სახეობების პრემიებით უზრუნველყოფის შესახებ. მართალია, ოლიმპიურებთან შედარებით ამათთვის განახევრებულია, მაგრამ ესეც ძალიან დიდი საქმეა. გუშინდელ შემაჯამებელ სხდომაზე ამ პრემიების თაობაზეც ილაპარაკეს. გასაგებ მიზეზთა გამო, სხვათა ფულის საჯაროდ თვლას მოვერიდებით და ზოგადად გეტყვით, რომ ყველაზე მეტი 8 000 ამერიკული დოლარის ეკვივალენტია ლარებში, ყველაზე მცირე - 500 დოლარისა. საწყენი მხოლოდ ისაა, რომ პრემიებით უზრუნველყოფა ჭაბუკებს არ შეეხებათ - მხოლოდ უფროსების და ახალგაზრდებისთვისაა განკუთვნილი. უახლოეს დღეებში ისინი პლასტიკურ ბარათებს მიიღებენ და ანგარიშზე თანხაც დაერიცხებათ. *„ეს ჩვენთვის უდიდესი სტიმულია და დიდ შედეგებსაც მოიტანს,"* - დასძინა იაძემ. მისი თქმით, როცა ერთმა რეგიონელმა მწვრთნელმა ამ პრემიების შესახებ გაიგო, თავში შემოირტყა ხელი, ეგ რომ მცოდნოდა, ჩემი რაიონის გამგებელს ჯიბიდან ამოვულებდი ფულს და ტურნირებზე ნასასვლელად სხვებსაც დავაფინანსებინებდიო.

პრემიები მიიღეს მწვრთნელებმაც, ოღონდ, ცხადია, ის მთელ კორპუსს არ ერგებოდა, ამიტომ იაძე კარგი ინიციტივით გამოვიდა - გარკვეული თანხა ყველამ მოიკლო ნებაყოფლობით, ამ ფულს კი უპრემიოდ დარჩენილებს, აგრეთვე ღვაწლმოსილი გარდაცვლილი მწვრთნელების ოჯახებს გაუნაწილებენ. გვარ-სახელს არ ვიტყვით და, ყველაზე მეტი პრემია სწორედ იმ ერთმა მწვრთნელმა მიიღო, თუმცა საერთო ფონდისთვის ყველაზე მეტის გაღების პირობაბა იმან დადო.

სამბოს ფედერაციამ წლეულს საუკეთესო მწვრთნელ-სპორტსმენებიც დაასახელა. სპორტსმენებისთვის გარკვეული რეიტინგიც დაწესდა - ევროპისა თუ მსოფლიოს პირველობებზე დაკავებული ყოველი ადგილი შესაბამისი ქულით განისაზღვრება, მათი შეკრებით კი საუკეთესოები გამოვლინდებიან. ამ მაჩვენებლით 2009 წლის საქართველოს საუკეთესო სამბისტი 35 ქულით ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **მინდია ბოდაველი** (90) გახდა. მეორეზე 28 ქულით ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **უშანგი კუზანაშვილი** (52) გავიდა, მესამეზე - 25-ქულიანი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ნიკოლოზ კუცია** (82). საუკეთესო მწვრთნელები შეგირდთა შედეგებით ვლინდებიან. წლეულს აღზრდილებმა ყველაზე მეტად ქუთაისელ **გივი სარდალაძეს** გაუმართლეს. მეორე ფოთელი **ზურაბ ტულუში** იყო, მესამე კი გორელი **ანზორ თენაძე** აღმოჩნდა. გუშინვე კიდევ ერთი ცნობილი ვეტერანი დაჯილდოვდა - **იოსებ მალალაშვილს** სპორტსაზოგადოება „დინამომ" საპატიო ნიშნის ორდენი გადასცა.

იაძემ მწვრთნელებთან დაკავშირებით ერთი საინტერესო იდეაც წამოაყენა - თუ რეგიონის წარმომადგენელი სამი წელიწადი ვარჯიშობს დედაქალაქში, მაშინ მის მეორე მწვრთნელად თბილისელი დამრიგებელიც უნდა ჩაიწეროს და პრემიაც ორად გაიყოს. ოღონდ რაიონიდან თბილისში გადმოსვლაც შესაბამის პროცედურას დაექვემდებარება - პირველსა და თბილისელ მწვრთნელს შორის შეგირდის გადაცემა ხელშეკრულებით მოხდება, რაც ბევრ გაუგებრობას გამორიცხავს. ბუნებრივია, სადაც ფულია, იქ ბევრი წინააღმდეგობაც ჩნდება. საპრემიო თანხების გაჩენის შემდეგ ამგვარი რამ სამბოშიც მოსალოდნელია. ეტყობა, გარკვეული უკმაყოფილებები უკვე გაჩნდა და აიძემაც ალბათ ამიტომ გაიმეორა რამდენჯერმე, ყველაფერი კანონიერად, პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად მოხდება და არავინ დაიჩაგრებაო. ამ თემაზე რაღაც ხმებმა ჩემამდეც მოაღწია, თუმცა ვიმედოვნებ, სამბისტებს ეყოფათ გონიერება, ძიუდოისტების შეცდომას არ გაიმეორებენ და ყველა საკამათო საკითხს უკამათოდ მოაგვარებენ.

წლევანდელ ბატალიებზე საუბრის შემდეგ იაძე მომავალ სეზონს და, კერძოდ, ჩვენთვის უმთავრეს ტურნირსაც შეეხო - 7-11 ოქტომბერს თბილისი ჭაბუკებისა და ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს. ჯერ მისი ჩატარება ბუნდოვანია - სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ფინანსური დახმარება იმთავითვე ვერ აღუთქვამს, მაგრამ იაძე სპონსორთა დახმარებას იმედოვნებს და ამბობს, რომ ეს ტურნირი მაინც ჩატარდება. მისივე სიტყვებით, თურმე ამ შეჯიბრების თავისთან გადატანა ძალიან უნდათ რუსებს. *„ჩვენ არ გავაკეთებთ იმას, რაც მათ უნდათ. სამაგიეროდ, გავაკეთებთ იმას, რაც ჩვენს მაყურებელს ყველაზე მეტად სურს - დავამარცხებთ რუსებს, რისი შანსიც სახლში უფრო გვეზრდება,"* - განაცხადა იაძემ.

შემაჯამებელ სხდომაზე ვეტერანების სხვადასხვა ორდენით დაჯილდოების თაობაზე კამათიც გაიმართა. დასახელდნენ კონკრეტული პიროვნებებიც, საბოლოოდ კი გაირკვა, რომ დარღვეული იყო სათანადო პროცედურები და შეფერხებაც ამან გამოიწვია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში კანდიდატურები ზემდგომ კომისიებშიც დაიწუნეს და მათი დაჯილდოება მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს.

**ირაკლი თავაძე**

კარატე

# წელიწადი ოქროთი დაასრულეს



რატი ნითელაძე

2009 წელი კიოკუშინკაი კარატისტებისთვის წარმატებული გამოდგა. აპრილში კიევში შინკიოკუშინკაი კარატეს წესებით გამართულ ევროპის ჩემპიონატზე **მიხეილ წიკლაურმა** (-70კგ) ოქროს მედალი მოიპოვა, **ედუარდ ჯანოაშვილი** (+90) ამ სახეობისათვის პრესტიჟულ, აბსოლუტურ კატეგორიაში მეორე პრიზიორი გახდა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს კი ევროპის 32 ქვეყანას შორის გუნდური მესამე ადგილი ხვდა წილად. ოქტომბრში ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატზე **ლაშა ხაჭაპურიძემ**(-70) ვერცხლის მედალი მოიპოვა.

2009 წლის დამაგვირგვინებელი შეჯიბრება შინკიოკუშინკაი კარატეში ვილნიუსში ამ დღეებში 22-წლამდელთათვის გამართული ევროპის პირველობა იყო.

უსახსრობის გამო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი დოლაბერიძემ** მხოლოდ ორი სპორტსმენი წაიყვანა საასპარეზოდ. -85კგ კატეგორიაში ყველა ბრძოლა დამაჯერებლად მოიგო და ოქროს მედალი მოიპოვა ბათუმელმა **რატი ნითელაძემ** (კლუბი "სპორტის აკადემია", თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი).

უახლოეს დღეებში ქართველი კარატისტები გულშემატკივრებისა და სპორტული ჟურნალისტებისთვის წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციას გამართავენ.

**ლელოს კორ.**

ძიუდო

კანოს ტურნირი

# მეტოქეები დასახელდა

მოგეხსენებათ, დღეს ტოკიოში სეზონის ბოლო დიდი ტურნირი, ძიგორო კანოს სახელობის „დიდი მუზარადის" შეჯიბრება იწყება. გუშინ წილისყრაც გაიმართა და ჩვენებურთა პირველი მეტოქეებიც გაირკვნენ. **ამირან ტოტიკაშვილის** შეგირდებიდან ყველაზე მეტად **შალვა ქარდავა (66)** დაიჩაგრა - პირველივე მეტოქედ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, მონღოლი ოლიმპიური პრიზიორი **ხაშბაატარ ჩაგანბაატარი** ერგო. **ამირან პაპინაშვილი** (60) ტურნირში მეორე წრიდან ჩაებმება უნგრელ **ტიბორ მაიერთან** შეხვედრით, ამ წყვილში გამარჯვებულს კი მასპინძელ **მასააკი ფუკუოკასა** და ბელგიელ **იუნგ გასკარს** შორის მოგებული ელოდება. ამავე ქვეჯგუფშია უკრაინელი მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი ზანთარაიაც**. 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნაყვანილი **დავით კუპრაშვილი** ამჯერად 81-ში იჭიდავებს - პირველივე წრეში მასპინძელ **კაჩუში მაცუმოტოს** შეხვდება, **ლევან ნიკლაური** კი პირველი წრიდან თავისუფალია და ისლანდიელ **ბირგირ ოსმანსონსა** და ლატვიელ **აიგარს მილენბერგსს** შორის მოგებულს ელოდება. მონაწილე არც 90-ში გვეყოლება. სამაგიეროდ, 100-სა და მძიმეში ორ-ორი ძიუდოისტით გამოვალთ. 100-ში **ნოდარ მეტრეველი** გერმანელ **ბენიამინ ბერლას** ხვდება, ლომერ ჟორჟოლიანი - კუვეიტელ **იოუსეფ ალენეზის**. მძიმეწონოსამი **ადამ ოქრუაშვილი** პირველი წრის შეხვედრას ლატვიელ **ვლადიმირს ოსნაჩთან** გამართავს, **იოსებ მსხალაძე** - ბრაზილიელ **ვალტერ სანტოსთან.**

შეგახსენებთ, რომ დღეს 60 და 66 კილოგრამი წონითი კატეგორიების წარმომადგენლები იჭიდავებენ, ხვალ - 73-81-ის, დანარჩენები კი კვირას გაარკვევენ მედალოსნებს. ტურნირი ძველებურად ძლიერი შემადგენლობის არაა. მართალია, ტიტულოვანი ფალავნებიც ბლომად გამოდიან, მაგრამ ბევრმა მაინც თავი აარიდა ტოკიოში ჩასვლას. თუმცა უმეტესობა ამ ტურნირს ახალგაზრდების გამოსაცდელად იყენებს.

**ირაკლი თავაძე**

## კალათბურთი

სუპერლიგა. სტატისტიკა



დავით ბარბაქაძე

# ბარბაქაძეც მეორედ

მიმდინარე ჩემპიონატში მეორე ოვერტაიმი დაფიქსირდა. ამჯერადაც ბათუმელთა მატჩისას. ზღვისპირელებმა „აგრარულთან" დამატებით დროში წააგეს - 72:77. ამ შეხვედრაში გამორჩეულად ითამაშეს სტუმრებმა, **ბექა წივწივაძემ, გიორგი მარხვაშვილმა** და **რეზო ათანელიშვილმა**, ხოლო ბათუმელთაგან საუკეთესო იყო კამერუნელი **პლასიდე როდუმტა**, რომელმაც სეზონის რეკორდი დაამყარა - 19 მოხსნა მოაგროვა.

ტურის საუკეთესო კალათბურთელი ან ბათუმური მატჩიდან უნდა დაგვესახელებინა, ან თსუ-"ავიამშენის" დაპირისპირებიდან. ზოგმა ჟურნალისტმა ბათუმური მატჩიდან გამოარჩია საუკეთესო, ზოგმა თბილისური შეხვედრიდან. საბოლოოდ, თსუ-ს ფორვარდმა **დავით ბარბაქაძემ** გაიმარჯვა, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში „ავიას" რამდენიმე მნიშვნელოვანი ქულა ჩაუგდო, ასევე, არაერთი საჭირო მოხსნა ჩაიწერა.

საბოლოოდ დათომ 20 ქულა, 10 მოხსნა და 2-2 ჩაჭრა-პასი-დაფარება მიითვალა.

ისევე, როგორც ტუჯანი, ბარბაქაძე ტურის საუკეთესოდ მეორედ დასახელდა. პირველად იგი შსს-სთან მატჩის შემდეგ ვაღიარეთ...

### რეკორდები

**ქულა**
ბესიკ ლეჟავა (ბათუმი) – 36
07.11.09 დინამო-ბათუმი

**ჩაჭრა**
მიხეილ ჩიტაშვილი (ენერჯი) – 6
28.11.09 თსუ-ენერჯი

**მოხსნა**
პლასიდე როდუმტა (ბათუმი) – 19
04.12.09 ბათუმი-სსაუ

**დაფარება**
შიო ხეცურიანი (თსუ) – 5
28.11.09 თსუ-ენერჯი

**პასი**
ბექა წივწივაძე (აგრარ.) – 10
21.11.09 შსს-სსაუ

**შეცდომა**
ლაშა ეძგვერაძე (დინამო) – 9
28.11.09 სსაუ-დინამო

### სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ბესიკ ლეჟავა | ბათუმი | 4 | 99 | 24.75 |
| 2. სერგო ათუაშვილი | ავიამშენი | 4 | 97 | 24.25 |
| 3. გიორგი ნიკოლაძე | შსს | 5 | 116 | 23.2 |
| 4. დავით ბერიშვილი | შსს | 4 | 90 | 22.5 |
| 5. მერაბ ბოქოლიშვილი | სამედ/აკად. | 5 | 102 | 20.4 |
| 6. ბექა ჩიკვილაძე | სოხუმი | 4 | 77 | 19.25 |
| 7. ზვიად ბაბიაშვილი | ენერჯი | 5 | 96 | 19.2 |
| 8. დავით ბარბაქაძე | თსუ | 3 | 52 | 17.33 |
| 9. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 3 | 50 | 16.67 |
| 10. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 5 | 81 | 16.2 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | მჭ. | სკ. | ჯ | საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერგო ათუაშვილი | ავია | 4 | 19 | 33 | 52 | 13 |
| 2. პლასიდე როდუმტა | ბათუმი | 3 | 19 | 18 | 37 | 12.33 |
| 3. ჟოლივეტ ტუჯანი | ენერჯი | 5 | 23 | 34 | 57 | 11.4 |
| 4. ზვიად ბაბიაშვილი | ენერჯი | 5 | 22 | 27 | 49 | 9.8 |
| 5. დავით იმნაძე | ბათუმი | 4 | 14 | 23 | 37 | 9.25 |
| 6. რეზო ათანელიშვილი | სსაუ | 5 | 15 | 31 | 46 | 9.2 |
| 7. გოგა ჯავახიშვილი | სამ/აკად. | 4 | 14 | 17 | 31 | 7.75 |
| 8. ირაკლი კობიძე | სოხუმი | 4 | 10 | 21 | 31 | 7.75 |
| 9. ვახტანგ მინაშვილი | ავია | 4 | 7 | 24 | 31 | 7.75 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ | პასი | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა წივწივაძე | სსაუ | 5 | 39 | 7.8 |
| 2. კოტე ტულუში | ენერჯი | 4 | 22 | 5.5 |
| 3. შიო ხეცურიანი | თსუ | 5 | 25 | 5 |
| 4. ზურაბ ბადრიძე | ავიამშენი | 4 | 20 | 5 |
| 5. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 4 | 16 | 4 |
| 6. დავით ბერიშვილი | შსს | 4 | 15 | 3.75 |
| 7. ანატოლი ბოისა | ავიამშენი | 4 | 15 | 3.75 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. მიხეილ ჩიტაშვილი | ენერჯი | 4 | 14 | 3.5 |
| 2. ბუბა ბერიშვილი | სოხუმი | 4 | 13 | 3.25 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 5 | 14 | 2.8 |
| 4. ფარნაოზ გურული | მერანი | 4 | 10 | 2.5 |
| 5. რევაზ დიდია | სსაუ | 5 | 12 | 2.4 |
| 6. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 3 | 7 | 2.33 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ | დ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. დავით ბარბაქაძე | თსუ | 3 | 8 | 2.67 |
| 2. პლასიდე როდუმტა | ბათუმი | 3 | 6 | 2 |
| 3. გიორგი კვეტენაძე | სოხუმი | 3 | 5 | 1.67 |
| 4. ჟოლივეტ ტუჯანი | ენერჯი | 5 | 8 | 1.6 |
| 5. თეიმურაზ თავამაიშვილი | მერანი | 5 | 8 | 1.6 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ | შ | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ფარნაოზ გურული | მერანი | 4 | 23 | 5.75 |
| 2. ტარიელ თავართქილაძე | ბათუმი | 4 | 22 | 5.5 |
| 3. ლაშა ეძგვერაძე | დინამო | 5 | 26 | 5.2 |
| 4. ბესიკ ლეჟავა | ბათუმი | 4 | 18 | 4.5 |
| 5. დავით იმნაძე | ბათუმი | 4 | 17 | 4.25 |

### V ტურის სიმბოლური ნაკრები

ბექა წივწივაძე (სსაუ): 41 წთ, 19 ქ, 4 მ, 7 პ, 3 ჩ
მერაბ ბოქოლიშვილი (აკადემია): 36 წთ, 26 ქ, 2 პ, 1 ჩ, 1 დ
დავით დეკანოიძე (დინამო): 27 წთ, 20 ქ, 12 მ
დავით ბარბაქაძე (თსუ): 32 წ, 20 ქ, 10 მ, 2 პ, 2 ჩ, 2 დ
პლასიდე როდუმტა (ბათუმი): 42 წ, 22 ქ, 19 მ, 1 ჩ, 2 დ

ცქიტიშვილი-პანიონიოსის გახმაურებული საქმე. კვანძი გამოჩნდა

# 25 ათასი ევრო და საქმე გაიჩარხება

საქართველოს ნაკრების ფირვარდი **ნიკოლოზ ცქიტიშვილი** ისევ ესპანეთშია და „ფუენლაბრადასთან" ერთად ვარჯიშობს. ეს ამბავი გუშინ ნიკას პირველმა მწვრთნელმა **ვაჟა კვარაცხელიამ** გვითხრა.

შეგახსენებთ, რომ ნოემბრის ბოლოს ნიკამ ბერძნული „პანიონიოსი" დატოვა და ესპანეთში წავიდა. იგი „ფუენლაბრადაში" ვარჯიშობდა და ეიმედებოდა, რომ ფიბა მისთვის სასურველ ვერდიქტს გამოიტანდა - პირობების შეუსრულებლობის გამო „პანიონიოსს" კალათბურთელთან კონტრაქტის უმტკივნეულოდ გაუქმებას აიძულებდა. თუმცა ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ნიკა და მისი მენეჯერი ვარაუდობდნენ. ფიბა-მ კონტრაქტის ანულირების გადაწყვეტილება არ მიიღო და ცქიტიშვილი იძულებული გახდა, საბერძნეთში დაბრუნებულიყო. ესპანელთა თქმით, სკიტა ათენში გუნდის პრეზიდენტთან დასალაპარაკებლად ჩავიდა, ხოლო ბერძნებმა დაწერეს, ქართველს „პანიონიოსში" დაბრუნება სურსო.

ნიკა საბერძნეთში თამაშს რომ არ აპირებს, ამის შესახებ ვაჟა კვარაცხელიამაც გვითხრა და თავად ბერძნულმა მხარემაც აღიარა. ელინური გამოცემა „სუპერბასკეტი" წერს: *„პანიონიოსის" და ნიკოლოზ ცქიტიშვილის წარმომადგენელთა მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო. გადაწყდა, რომ ქართველი საბერძნეთში არ დარჩება. იგი კარიერას ესპანეთში გააგრძელებს. თუმცა მას „პანიონიოსთან" კონტრაქტის გაწყვეტა 25 ათასი ევრო დაუჯდება. ამ თანხას ესპანური კლუბი „ფუენლაბრადა" გადაიხდის.*

*გარდა ამისა, გუნდიდან გაუფრთხილებლად წასვლის გამო ნიკა ცქიტიშვილი ბერძნულმა გუნდმა 5 ათასი ევროთი დააჯარიმა."*

როგორც ხედავთ, ცქიტიშვილი-"პანიონიოსის" საქმეს კვანძი გამოუჩნდა. იგი მაშინ გაიხსნება, როცა „ფუენლაბრადა" ბერძნებს 25 ათასს გადაუხდის...



ნიკა ცქიტიშვილი



გიორგი შერმადინი

ევროლიგა

# პანათინაიკოსის ოვერგამარჯვება

**გიორგი შერმადინი** საოცარი მატჩის მონაწილე გახდა: ძირითადი დროის დასრულებამდე 2 წუთით ადრე რუსული „ხიმკი" გიორგის „პანათინაიკოსს" 70:63-ს უგებდა, ხოლო საფინალო სირენამდე 2 წამით ადრე სამი ქულით იყო წინ. ძირითადი დროის დასრულებას 2 წამი უკლდა, როცა ბერძენი **სპანულისი** საჯარიმოს ხაზთან დადგა, ერთი ჯარიმა ჩააგდო, მეორე განგებ ააცილა, ბურთი **ფოცისმა** ერთი შეხებით კალათში მოათავსა და - 73:73.

დამატებით დროში სტუმრებმა რუსებს სამქულიანებით ბოლო მოუღეს - 87:82.

ასეთ დაძაბულ მატჩში გიორგი შერმადინი მოედანზე მესამე პერიოდის ბოლოს შევიდა და მეოთხე ათწუთეული დაიწყო. ამ მონაკვეთში მან 5 წუთი ითამაშა, ერთი ორქულიანი ააცილა, მატჩი 2 მოხსნითა და 1 დაფარებით დაასრულა.

ამავე ჯგუფში მადრიდის „რეალმა" პოლონეთში „პროკომთან" 76:82 წააგო. შესაბამისად, ცხრილში ერთპიროვნულად „პანათინაიკოსი" გალიდერდა - 6 მოგება, 1 წაგება.

17 დეკემბერს შერმადინის თანაგუნდელები „რეალს" მიიღებენ.

სემინარი

# ნაკრების მწვრთნელობის ყოფილი კანდიდატი თბილისში გვეწვევა



საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მოწვევით თბილისში ცნობილი სერბი სპეციალისტი **ვესელინ მატიჩი** ჩამოვა. იგი კვირას, 13 დეკემბერს „დინამოს" ბაზაზე მწვრთნელთათვის სემინარებს ჩაატარებს.

ვესელინ მატიჩი ამჟამად ირანის ნაკრებს წვრთნის და გუნდს აზიის ჩემპიონობა მოაპოვებინა. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა „პარტიზანში", „ცრვენა ზვეზდაში", პოლონურ, გერმანულ, ლიბანურ და ესტონურ კლუბებში.

ქართველ მკითხველს შევახსენებთ, რომ მატიჩი 2005 წელს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელობის კანდიდატიც იყო. იგი სიტუაციაში გასარკვევად თბილისშიც გვეწვია, თუმცა მაშინ მატიჩმა პოლონეთის ნაკრები არჩია, ხოლო საქართველოს ნაკრებმა - **გორდონ ჰერბერტი**...

ქართველი NBA-ში

# ერთი

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა" წარმატებულ სვლას განაგრძობს. ჯორჯიელებმა ბოლო, საშინაო მატჩში, „ჩიკაგო" დაამარცხეს - 118:83. მასპინძლებმა მეორე პერიოდიდან აკრიფეს სიჩქარე და მათი შეჩერება ჩიკაგოელებმა ვერც მეოთხე პერიოდში შეძლეს. სხვათა შორის, მეორე პერიოდის დასაწყისში, როცა „ატლანტამ" 20:4 გაქცევა მოაწყო, ზაზა ფაჩულია მოედანზე იყო. მეოთხედი სწორედ მისი საჯარიმოთი გაიხსნა.

ქართველმა ცენტრმა მატჩი 1 ქულით დაასრულა, ხოლო საუკეთესო იყო სათადარიგო **ჯამალ კროუფორდი**, რომელმაც 29 ქულას მოუყარა თავი.

„ატლანტას" 15 მოგების წილ 6 წაგება აქვს. იგი მომდევნო მატჩს კანადაში „ტორონტოს" წინააღმდეგ ჩაატარებს. შეგახსენებთ, რომ 2 დეკემბერს ატლანტელებმა კანადელებს 146 ქულა ჩაუგდეს. საინტერესოა, 11 დეკემბერს შეძლებენ თუ არა ტორონტოელები რევანშის აღებას.

**ატლანტა-ჩიკაგო 118:83**

ზაზა ფაჩულია: 15 წუთი, 1 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 1 ფოლი

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 02:01 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:41 | ჩაჭრა: 1 (მილერს ჩაუჭრა) |
| 11:41 | საჯარიმოები: 2/1 (1ძ, 24:21) |
| 11:00 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 10:49 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 10:47 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:49 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 07:34 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| 02:45 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 01:02 | ზაზა სმიტმა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 02:54 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:37 | დაფარება: 1 (ნოას დაუფარა) |
| 00:00 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:51 | ფოლი: 1 |
| 09:34 | ფოლი: 2 |
| 08:18 | ფოლი: 3 |
| 07:50 | ზაზა მორისმა შეცვალა |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ჭადრაკი

# მაიას თასი მაიას თანდასწრებით

## საქართველოს ჩემპიონატი ქუთაისში გაიმართება

ქუთაისში, მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციისა და ქუთაისის თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა მაია ჩიბურდანიძის თასის ტრადიციული გათამაშება ქალთა და ვაჟთა შორის, რომელშიც დიდებთან ერთად 8, 10, 12, 14 და 16-წლამდე ასაკის მოჭადრაკეებმა იასპარეზეს. ტურნირის საპრიზო ფონდი 10000 ლარს შეადგენდა, რომელიც საპრიზო ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებსა და მათ მწვრთნელებზე გადანაწილდა. შეჯიბრებას თავად მაია ჩიბურდანიძეც ესწრებოდა, რომელიც ტურნირითა და მოჭადრაკეების მომზადების დონით კმაყოფილი დარჩა.


მაია ჩიბურდანიძე

**მაია ჩიბურდანიძე:** „მადლობა მინდა გადავუხადო იმერეთის ჭადრაკის ფედერაციას და ქუთაისის თვითმმართველობას ასეთი საინტერესო ტურნირის ორგანიზებისთვის, ჩემს მშობლიურ ქალაქში მაია ჩიბურდანიძის თასის გამართვა ჩემთვის დიდი პატივია. იმერეთის რეგიონული ფედერაცია საქართველოში ყველაზე აქტიური და წამყვანი ფედერაციაა, რაც შედეგებშიც აისახება. იმერეთის რეგიონს ჭადრაკში ყოველთვის წამყვანი პოზიცია ეკავა და დღესაც ასეა, აქ ყველა ასაკში არიან ძლიერი მოჭადრაკეები, საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრებებშიც წამყვან როლს ქუთაისელი მოჭადრაკეები თამაშობენ, რაც პირადად ჩემთვის ძალიან სასიხარულოა. მინდა ვთქვა, რომ მომავალი თაობაც იმედის მომცემია, რაც ამ ტურნირზეც კარგად გამოჩნდა, ნიჭიერი ბავშვები არიან და მათ დიდ წარმატებებს ვუსურვებ."

კახა ნურალიძე (იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი): „მაიას თასი საქართველოში ერთ-ერთი პრესტიჟული ტურნირია. ეს არის პრაქტიკულად საქართველოს ჩემპიონატი ყველა ასაკობრივ ჯგუფში, რადგან აქ თითქმის ყველა ძლიერი მოჭადრაკე მონაწილეობს. ქალბატონ მაიას მინდა დიდი მადლობა ვუთხრა, რადგან მისი აქ ყოფნა ახალგაზრდა მოჭადრაკეებისთვის დამატებითი სტიმული იყო და ბავშვებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა საუკეთესოდ წარმოეჩინათ თავი. ამაყი ვარ იმით, რომ ყველა ასაკობრივ კატეგორიაში იმერეთის წარმომადგენლები გავიდნენ საპრიზო ადგილებზე, ასევე ძალიან მესიამოვნა, რომ სამეგრელოდან ბევრი მონაწილე იყო და რამდენიმე მათგანმა ტურნირზე წარმატებითაც იასპარეზა. აქვე მინდა გითხრათ, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციისა და ქუთაისის მერიის ძალისხმევითა და თანადაფინანსებით 2010 წლის იანვარში ქუთაისი ჭადრაკში საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ეს პრაქტიკულად, უკვე გადაწყვეტილია და ასეთი პრესტიჟული ტურნირის მასპინძლობა ჩვენი ქალაქისთვის ძალიან სასახელო იქნება."

### კვარცხლბეკი

**ქალები:** 1. ფატი რიჟამაძე, 2. ციალა ქასოშვილი, 3. ლელა უგულავა (სამივე-ქუთაისი); **ვაჟები:** 1. სულხან სირბილაძე (ქუთაისი), 2. ბექა ახალაძე (ხონი), 3. თამაზ სვანაძე (ქუთაისი); **16 წლამდელები. გოგონები:** 1. ანა შამათავა, 2. თეკლა ფარჯიანი, 3. დეა ჩაკვეტაძე (სამივე-ქუთაისი); **ჭაბუკები:** 1. გიორგი გორდულაძე, 2.გიგა დარსაველიძე, 3. ნიკოლოზ შენგელია (სამივე-უთაისი); **14 წლამდელები. გოგონები:** 1. ანა მარდალეიშვილი, 2. მარიამ ქოლაძე, 3. ანი ხორგუასვილი (სამივე-ქუთაისი); **ჭაბუკები:** 1. ნიკა ლევამბერია (ფოთი), 2. გიორგი შონია (ზუგდიდი), 3. რამაზ ენდელაძე (ბაღდათი); **12 წლამდელები. გოგონები:** 1. თათია კოხრეიძე (ფოთი), 2. ხატია კიკვიძე, 3. ნინო გუმბერიძე (ორივე-ქუთაისი); **ჭაბუკები:** 1. ნოე თუთისანი, 2. ნიკა ბერძენაძე, 3. მამუკა ქოჩაკიძე (სამნივე-ქუთაისი); **10 წლამდელები. გოგონები:** 1. თიკო ლალაძე, 2. ელენე სვანიძე, 3. თეა წოლაძე (სამივე-ქუთაისი); **ჭაბუკები:** 1. დავით გვენეტაძე (ქუთაისი), 2. ლუკა ლიჩელი (გორი), 3. გიორგი კვესელავა (ქუთაისი); **8 წლამდელები. გოგონები:** 1. ელენე კოსტავა, 2. გვანცა მარგველაშვილი, 3. ნუცა ცირეკიძე (სამივე-ქუთაისი); **ჭაბუკები:** 1. დავით კამკია, 2. გიორგი ინანეიშვილი (ორივე-ქუთაისი), 3. არჩილ მემანიშვილი (ბაღდათი).

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ფარიკაობა

# მუშკეტერთა დასკვნითი აკორდები

გერმანიის ქალაქი გიოპინგენი 12-13 დეკემბერს კადეტ მოფარიკავეთა ევროპის თასის გათამაშებას უმასპინძლებს. ხმლით შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 200-მდე სპორტსმენი იბრძოლებს მთავარი პრიზისთვის. მათ შორის საქართველოს ნარგზავნილებიც იქნებიან — **სანდრო ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი** და **თეოდორა კახიანი** მთავარი მწვრთნელის **მერაბ ბაზაძის** ხელმძღვანელობით. რაც შეეხება ნაკრების წევრ **შოთა შავგულიძეს**, სავიზო პრობლემების გამო იგი ტურნირზე ვერ გაემგზავრა.

ქართველი მუშკეტერებისთვის სეზონის დასკვნითი ასპარეზობა — საქართველოს თასის გათამაშება თბილისში 22-24 დეკემბერს გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ყინულის ჰოკეი

# დონეცკში 10 იანვრიდან

როგორც იცით, მომავალი წლის აპრილში საქართველოს ყინულის ჰოკეის ეროვნულ ნაკრებს ოფიციალური დებიუტი შედგება ერევანში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონში უკონკურსოდ იასპარეზებს ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ჩვენი ნაკრები. საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციამ უკრაინაში შეკრების მოწყობა გადაწყვიტა, სადაც ნაკრების თბილისელი და ბაკურიანელი კანდიდატები უნდა გამგზავრებულიყვნენ. სამწუხაროდ, ღორის გრიპის ვირუსის გამო უკრაინაში შესვლა გაძნელებულია და ამიტომაც, ნოემბერში დონეცკში გამგზავრება ვერ მოხერხდა.

კიდევ კარგი, შეკრება საერთოდ არ გაუქმებულა. უკრაინელებმა შემოთვალეს, რომ 10 იანვრის შემდეგ ქართველი ჰოკეისტების სამასპინძლოდ მზად იქნებიან. ჩვენს ფედერაციას საამისო სახსრები გააჩნია და ამიტომაც, შეკრება აღარ ჩაიშლება.

საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი, უკრაინელი **ალექსანდრ კულიკოვი** ქართველ ჰოკეისტებს დონეცკში დააკვირდება და საუკეთესოებს აარჩევს. შემდეგ, შეკრების ჩატარება ბაკურიანშიც იგეგმება. თუკი კულიკოვი მიიჩნევს, რომ ქართველ ჰოკეისტთა დონე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის საკმარისი არაა, ჩვენი ფედერაცია რამდენიმე უკრაინელი მოთამაშის ნატურალიზაციაზე იზრუნებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რაგბი


ბურთით დავით ხინჩაგიშვილი

ინტერვიუ დავით ხინჩაგიშვილთან

# რაგბი ბრძოლას, ცხოვრებას გვასწავლის

საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველხაზელი დავით ხინჩაგიშვილი საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის „ბრივის" მოთამაშეა. ხინჩაგა, გამოკითხვის შედეგად, თანაგუნდელებმა ნოემბრის საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს. „ბრივის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ხინჩაგიშვილის ინტერვიუ, რომელიც ძირითადად საფრანგეთის ჩემპიონატზე „ბრივის" თამაშს ეხება.

- როგორ აღიქვით ის ამბავი, რომ ნოემბრის თვის საუკეთესო მორაგბედ დაგასახელეს?

- ძალიან მესიამოვნა. შერკინების მეორე ბურჯი ვარ, რომელიც ამ სეზონში თვის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. პირველი პიერ კაპდევიე იყო. ძალიან სასიხარულოა, როდესაც ის ადამიანები აღიარებენ შენს დამსახურებას, ვისთან ერთადაც იბრძვი, თამაშობ და დიდი მიზნებისკენ ისწრაფვი.

**- ახლახან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეთ „მონპელიესთან". რა შეიცვალა ამის შემდეგ?**

- გამარჯვება ნებისმიერ მეტოქესთან სასიხარულოა. „მონპელიესთან" მიღწეული წარმატება კი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეს იყო ჩვენი პირველი გამარჯვება გასვლით მატჩში. როდესაც ამ თამაშის გარჩევისას ვიდეოფირს ვუყურებდით, ყველას ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ გაცილებით მეტი სხვაობით მოგება შეგვეძლო. ამ გამარჯვებამ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა გაგვიმყარა. დავრწმუნდით, რომ ბევრად უკეთესად თამაში შეგვიძლია.

**- უნდა ვივარაუდოთ, რომ „მონპელიესთან" გამარჯვება წარმატებული სეზონის საწინდარი გახდება.**

- ამჟამად ამაზე ვერაფერს გეტყვით. ყველაფერი მომდევნო შეხვედრებზეა დამოკიდებული. შარშანდელი სეზონი მახსენდება. მაშინაც ცუდად დავიწყეთ, მერე იყო შეხვედრა მონპელიეში, რის შემდეგაც ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. ადვილი შესაძლებელია, ეს ყველაფერი ისევ განმეორდეს.

**- რა უნდა შეიცვალოს საიმისოდ, რომ „ბრივის" თამაში სტაბილური გახდეს?**

- არ ვიცი. ფაქტია, რომ ჩვენს შესაძლებლობებს სრულად ვერ ვავლენთ. არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომლებიც მსოფლიოს საუკეთესო გუნდებსაც კი გამოსასწორებელი აქვთ. ეს ყოველდღიურ, მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვს. მთავარია თამაშისას შეცდომების რაოდენობა მინიმუმამდე შევამციროთ.

**- წინ საკმაოდ ძნელი მატჩები გელით ძლიერ მეტოქეებთან. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ მათი წინააღმდეგობის დაძლევას?**

- ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მოტივაცია შევინარჩუნოთ. თუ შემდეგ ტურში „ტულუზის" დამარცხება მოვახერხეთ, მაშინ ყველა დანარჩენი შეხვედრის მოგებაც იქნება შესაძლებელი. სხვა გზა არ არის. ფავორიტებთან ყველა შემთხვევაში მოგვიწევს რკენა. თუ გამარჯვებული დავრჩებით, საქმე კარგად აეწყობა, წინ წავალთ.

**- ალბათ ძალიან ძნელი გადასატანია, მთელი კვირის განმავლობაში ბეჯითად იშრომო და უქმეებზე მისი ნაყოფი ვერ მოიმკა.**

- რა თქმა უნდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა მეტოქეზე უკეთ თამაშობ და მოსაგებ მატჩს წააგებ. მესმის ჟურნალისტების, ქომაგების გულისწყრომა. ყოველივე ეს მათთვის ძნელი გადასატანია, მაგრამ ჩვენთვის ორჯერ უფრო რთულია.

**- რის ხარჯზე ახერხებთ ასეთ შემთხვევებში სტრესული მდგომარეობიდან გამოსვლას?**

- ეს იოლი არაა. მთავარია, იმ წაგებულ შეხვედრაზე არ ჩაიციკლო, არ მოდუნდე. წინააღმდეგ შემთხვევაში კატასტროფა გარდაუვალია. ვცდილობთ, ხარვეზები, დაშვებული შეცდომები ვიპოვოთ და გამოვასწოროთ. მაგალითად, „მონპელიესთან" ათზე ნაკლები შეცდომა დავუშვით. შედეგიც სახეზეა. ასე უნდა გავაგრძელოთ.

**- რაგბის თამაში საკმაოდ რთულია. უზარმაზარი ფიზიკური დატვირთვები, მარცხით გამოწვეული ემოციური სტრესი. ღირს ყოველივე ამად?**

- რაგბი სპორტული ორთაბრძოლაა. მას შემდეგ, რაც რაგბის თამაში დავიწყე, ბევრი რამ ვისწავლე. ეს მარტო წვალება არ არის. რაგბი ბრძოლას, ცხოვრებას გვასწავლის. სხვა მეც არაფერი მინდა. რაგბიმ ცხოვრება სხვა თვალით დამანახვა.

მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

# თორმეტივე მონაწილე ცნობილია

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 67-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრება, რომელსაც უმაღლესი ეშელონის 6 მონაწილე უნდა გამოევლინა. ბოლო ტურის წინ, ვისაც თავი ქუდში ჰქონდა, დიდოსტატი **თამარ წერეთელი** იყო. იგი გუშინდელ შეხვედრაში **ქეთი ნაწალაშვილს** დაუზავდა და 7 ქულით (5 მოგება და 4 ყაიმი) პირველი ადგილი დაიკავა. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ **მარიამ დანელია** და **სოფიკო გურამიშვილი, ინგა ჭარხალაშვილი** და **მერი ჟორჟოლიანი**.

დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: **ნინო ბაციაშვილი-ანა გავაშელი** 1:0, **მაკა ფურცელაძე-მერი არაბიძე** 1:0, **ინგა ხურცილავა-სოფიო გვეტაძე** 1:0, **ლიკა კობეშავიძე-სოფიო ნიკოლაძე** 0:1, **ალა ვახანია-ლილე ცალუღელაშვილი** 0:1.

ცხრა ტურის შემდეგ 6,5-6,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები ქეთი ნაწალაშვილმა, მაკა ფურცელაძემ და ნინო ბაციაშვილმა გაინაწილეს. 6-6 ქულით მეხუთე-მეექვსე ადგილები ანა გავაშელსა და ინგა ხურცილავას ხვდათ. გაისად, იანვარში სწორედ ეს ექვსი მოჭადრაკე იასპარეზებს ქუთაისში ეროვნული ჩემპიონატის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის. უკვე გაუწყეთ, რომ მათთან ერთად ითამაშებენ საქართველოს 66-ე ჩემპიონატის გამარჯვებული **მაია ლომინეიშვილი**, მეორე-მესამე პრიზიორები — **ნინო ხურციძე** და **სოფიკო ხუხაშვილი**, ასევე, **სალომე მელია, ბელა ხოტენაშვილი** და **მირანდა მიქაძე**.

**ვაჟა დანელია**

# ქვინტეტი ურმიაში

ირანის ქალაქ ურმიაში მიმდინარეობს მოჭადრაკეთა მე-3 საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 13 წარმომადგენელი იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის. მონაწილეთა შორის 5 ქართველი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატია. წარმატებით აიღო სტარტი კონსტანტინე შანავამ, რომელმაც ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო. გუშინ ირანელ ჰომეინ თოუფიგის სძლია.

**მალხაზ სულაშვილმა** დიდოსტატ **შოჯაათ ჩეინს** მოუგო შავი ფიგურებით. ლიდერთაგან წარმატებას მიაღწიეს აზერბაიჯანელმა **ფარიდ აბასოვმა**, სომხებმა - **ჰრაირ სიმონიანმა** და **ლევონ ბაბუჯიანმა**, ირანელმა **მოჯთაბა თარაზოდლმა** და ახლა ექვსივე მოჭადრაკეს 4-4 ქულა აქვს.

**მერაბ გაგუნაშვილი აიაზ მამადოლლის** დაუზავდა და 3 ქულა მოაგროვა, ისევე, როგორც **ვალერიან გაფრინდაშვილმა (ვუგარ რასულოვთან** გაიყო ქულა) და **ივერი ჭილაძემ (მასუდ ჯავანმანეში** დაამარცხა).

დღეს ლიდერთაგან ერთმანეთს დაუპირისპირდებიან სულაშვილი-შანავა, თარაზოადლი-აბასოვი, სიმონიანი-ბაბუჯიანი. გაგუნაშვილი **შაჰინ მოჰანდესს** შეხვდება, გაფრინდაშვილი-**კოოჰესთანს**, ჭილაძე კი **საედ ხაილილის** ეთამაშება.

შეჯიბრებაზე შვეიცარული სისტემით ცხრა ტური გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

www.sport.gov.ge

ჰოკეი

# მესიეს ნაკრები ჩააბარეს



ლეგენდარული ჰოკეისტი **მარკ მესიე** კანადის ნაკრების გენერალურ მენეჯერად დანიშნეს. „ედმონტონისა" და „ნიუ იორკ რეინჯერსის" ყოფილი ჰოკეისტი თავისი მოვალეობების შესრულებას ვანკუვერის ოლიმპიადის შემდეგ შეუდგება. ეს იმას ნიშნავს, რომ მესიეს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე კანადის ნაკრებისთვის ჰოკეისტების შერჩევა დაევალება. ამ ტურნირისთვის კანადელთა ეროვნული გუნდის მწვრთნელობის მთავარ კანდიდატად კი ჰოკეის ეროვნული ლიგის მთავარი ლეგენდა **უეინ გრეტცკი** სახელდება.

*„მისი დანიშვნა სავსებით რეალურია"*, - განაცხადა მესიემ გენერალური მენეჯერის პოსტზე ოფიციალურად წარდგენისას. ამ საკითხზე თავად გრეტცკის კომენტარი ჯერჯერობით უცნობია.

მესიესა და გრეტცკის 80-იან წლებში ოთხჯერ აქვთ მოგებული სტენლის თასი „ედმონტონ ოილერზის" შემადგენლობაში. ისინი ასევე ერთად თამაშობდნენ „რეინჯერსის" რიგებში.

დანიშვნის შემდეგ მესიემ განაცხადა, რომ ამ პოსტის დაკავება მისთვის დიდი პატივია და მზად არის სერიოზული სამუშაოს გასაწევად: *„მე ამას კარიერული წინსვლისთვის არ ვაკეთებ. ფედერაციის წინადადებას მხოლოდ იმიტომ დავთანხმდი, რომ მინდა რაღაც ახალი შევმატო კანადურ ჰოკეის. ჩვენ უნდა მოვიგოთ საგაისო ჩემპიონატი"*.

შეგახსენებთ, რომ 2003 წლიდან მოყოლებული, კანადის ნაკრები ხუთჯერ გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში და სამჯერ მოიპოვა ოქროს მედალი.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ვაშინგტონი 3:0**

1:0, 2:0, 0:0

გოლები: 1:0 მონტადორი-2 (დ. როი-16, გერბი-1), 2:0 გერბი-1 (დ. როი-17, სტეფორდი-6), 3:0 ტალინდერი-2 (პომინვილი-13).

**ტორონტო-აილენდერსი 3:2**

2:0, 0:0, 1:2

გოლები: 1:0 ბოშემენი-3 (ტ. კაბერლე-27, სტემპნიაკი-8), 2:0 ი. უაიტი-5 (სტაიანი-13, ჰაგმანი-8), 2:1 ტავარესი-14 (ოკსოპო-14, ტამბელინი-5), 2:2 ტავარესი-15 (ოკსოპო-15, შრემპი-3), 3:2 ჯ. ბლეიკი-5 (გრაბოვსკი-15).

**ნიუ ჯერსი-კაროლინა 4:2**

2:0, 1:2, 1:0

გოლები: 1:0 ელიაში-4 (ბერგფორსი-11, პარიზე-18), 2:0 ე. გრინი-4 (ლანგენბრუნერი-20, პანდოლფო-3), 3:0 ე. გრინი-5 (პარიზე-19), 3:1 სატერი-7 (პიტკანენი-10), 3:2 ტ. რუუტუ-7 (ი. იოკინენი-11, პიტკანენი-11), 4:2 რ. ნიდერმაიერი-4.

**კოლამბუსი-ფლორიდა 3:0**

1:0, 0:0, 2:0

გოლები: 1:0 ჩიმერა-7 (უმბერგერი-13), 2:0 ბრასარი-4 (ტორესი-6, სტრალმანი-13), 3:0 პალსონი-2.

**ტამპა ბეი-ედმონტონი 2:3**

1:1, 1:2, 0:0

გოლები: 1:0 სენტ ლუისი-6 (ლეკავალიე-19, მელოუნი-11), 1:1 გილბერტი-2 (ნილსონი-6, სტორტინი-4), 1:2 პენერი-17 (სემ განიე-12, ბრული-11), 2:2 ჰედმანი-2 (სენტ ლუისი-26), 2:3 სტორტინი-3 (სტოუნი-5).

**დეტროიტი-სტ. ლუისი 0:1**

0:1, 0:0, 0:0

გოლი: 0:1 ბოიესი-8 (კოლაიაკოვო-8, ე. მაკდონალდი-9).

**ჩიკაგო-რეინჯერსი 2:1 (ო)**

0:1, 0:0, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 ჰიგინსი-4 (გაბორიკი-18, როჟსივალი-6), 1:1 ტეუვზი-8 (მარიან ჰოსა-4, კეინი-19), 2:1 ბიფულინი-9 (კეიტი-19).

**კოლორადო-მინესოტა 0:1**

0:0, 0:0, 0:1

გოლი: 0:1 მიეტინენი-8 (ბრუნეტი-17, კ. იონსონი-3).

**კალგარი-ატლანტა 3:1**

0:0, 2:0, 1:1

გოლები: 1:0 დეივსი-9 (ა. ჯონსონი-1, იგინლა-14), 2:0 ო. იოკინენი-7 (იგინლა-15, ჯორდანო-9), 2:1 კ. არმსტრონგი-4 (პევერლი-17, ვალაბიკი-1), 3:1 რენე ბურკი-8.

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 4:5 (ო)**

2:1, 1:3, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 პურსელი-3 (რ. ჯონსი-7, ჯ. ჯონსონი-8), 1:1 პაველსკი-5 (ჰასკინსი-10, ქლოუ-15), 2:1 მარლო-20 (ქლოუ-16, ჯ. ტორნტონი-34), 2:2 სტოლი-10 (ჯ. ჯონსონი-9, დ. ბრაუნი-17), 2:3 კოპიტარი-15 (დაუტი-16), 2:4 დაუტი-8 (სკუდერი-2), 3:4 დ. ბოილი-7 (ჰიტლი-15, ჯ. ტორნტონი-35), 4:4 მალორტა-7 (ვლასიჩი-8), 4:5 დ. ბრაუნი-7.

კრივი

# ჰეიმ კლიჩკოები გამოიწვია



სუპერმძიმე წონაში WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, ბრიტანელმა **დევიდ ჰეიმ** გამოაცხადა, რომ მზად არის ძმები **კლიჩკოებიდან** ერთ-ერთთან ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლის ჩასატარებლად. ჰეიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელ კლიჩკოს შეხვდება პირველად.

ჰეის განცხადებით, 12 დეკემბერს ის აუცილებლად ნახავს **ვიტალი კლიჩკოსა** და ამერიკელი **კევინ ჯონსონის** ბრძოლას. ამ შეხვედრაში, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ბერნში გაიმართება, კლიჩკო WBC-ის ვერსიით საჩემპიონო ტიტულს დაიცავს.

ჰეი ამ ბრძოლის ყურებას ერთადერთი მიზეზით აპირებს - მას ვიტალისთან შეხვედრა სურს და აქედანვე იწყებს მომავალ მეტოქეზე დაკვირვებას. ბრიტანელის თქმით, სხვა მხრივ უფროსი კლიჩკოსა და ჯონსონის ბრძოლა არავის აინტერესებს - *„ამიტომაც არ იმართება ის ამერიკაში. ბრძოლას მასპინძლობს ქვეყანა, რომელიც შოკოლად Toblerone-ით არის სახელგანთქმული"*.

ჰეი თავის მომდევნო ბრძოლას ამერიკელი ჯონ რუისის წინააღმდეგ გამართავს. ეს უკანასკნელი WBA-ის რეიტინგის მიხედვით აუცილებელი პრეტენდენტი გახლავთ.

რაც შეეხება **ვლადიმერ კლიჩკოს**, რომელიც ორი ვერსიით (IBF, WBO) არის მოქმედი ჩემპიონი, გუშინ გაირკვა, რომ ის 2010 წლის 20 მარტს WBO-ის ოფიციალურ პრეტენდენტს, ამერიკელ **ედი ჩემბერსს** შეხვდება. 2009 წლის ნოემბერში უმცროსმა კლიჩკომ განაცხადა, რომ ჰეის სერიოზულ მოკრივედ არ მიიჩნევს და მასთან ტიტულების გამაერთიანებელ ბრძოლაზე მოლაპარაკებების წარმოებას არ აპირებს.

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# იუტას უცნაური მეოთხედი

ზედიზედ მეორე მარცხი განიცადა დასავლეთის ტურნეში მყოფმა „კლივლენდმა". „მემფისთან" გუშინდელი ნაგების შემდეგ, „კავალერებმა" ჰიუსტონში შეირცხვინეს თავი. „რაკეტები" პირველივე წუთებიდან გაიჭრნენ წინ. სწრაფი გარღვევები, მეტოქის დაცვის დაბნევა, **ლებრონის** უნარიანი მეურვეობა - **რიკ ადელმანის** ბიჭებს ყველაფერი გამოსდიოდათ. რაც შეეხებათ სტუმრებს, იმ საღამოს მათ თამაში საერთოდ არ წაუვიდათ. „კლივლენდის" ერთადერთ იმედს - ლებრონ ჯეიმსს ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო პერსონალურმა მცველმა **შეინ ბატიემ** სამნამიანში შესვლის შანსი მოუსპო და „მეფე" იძულებული გახდა იარაღად საშუალო და შორეული ტყორცნები გამოეყენებინა. ლებრონმა ბევრი ბურთი ააცილა (21 სროლიდან მხოლოდ 8 ჩააგდო) და ესეც იყო სტუმრების მარცხის ერთ-ერთი მიზეზი. სტუმრების დამრიგებელმა **მაიკ ბრაუნმა**, იმის ნაცვლად, რომ რაღაცნაირად გადაეწყო თავისი გუნდის თამაში, არბიტრებთან საქმის გარჩევა დაიწყო. მსაჯებს ბევრი არ უფიქრიათ და „კავალიერზის" მწვრთნელი მოედნიდან მიაბრძანეს.

ჯერჯერობით „ფილადელფიას" შედეგებს არ ეტყობა გუნდში **ალენ აივერსონის** მისვლა. ამჯერად „სიქსერზის" დამარცხება „დეტროიტმა" შეძლო. მთელი მატჩი მოედანზე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა და ლიდერი ხშირად იცვლებოდა. როცა საქმე გადამწყვეტ მომენტამდე მივიდა, იღბალი „პისტონზის" მხარეს აღმოჩნდა. მატჩის დამთავრებამდე 8 წამით ადრე **როდნი სტაკმა** ისარგებლა „ფილადელფიას" დაცვის მოდუნებით და ფარქვეშიდან უმნიშვნელოვანესი ორი ქულა ჩააგდო – 86:88. მასპინძლებს მოგების შესანიშნავი შანსი ჰქონდათ, მაგრამ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **ანდრე იგუოდალამ** სამქულიანი ააცილა.

საინტერესო ბრძოლა გაიმართა მინეაპოლისში, სადაც „ტიმბერვულვზი" „ნიუ ორლეანს" იღებდა. **კევინ ლავის** დაბრუნებით „მგლების" თამაში სასიკეთოდ შეიცვალა, ამიტომაც **კურტ რემბისი** ამ შეხვედრაში გამარჯვებას გეგმავდა. მატჩის დებიუტი მასპინძლებს დარჩათ. „ტიმბერვულვზი" შესანიშნავად კომბინირებდა და თითქმის ყველა შეტევაში ქულას აგროვებდა. მაგრამ მეორე ტაიმში თამაშის სურათი დიამეტრალურად შეიცვალა.

„ჰორნეტსმა" დაცვას მიხედა და შეტევაც გამოასწორა. **კრის პოლისა** და **პეჟა სტოიაკოვიჩის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით გუნდმა მოახერხა თამაშის გათანაბრება და შესაბამისად მატჩის ბოლო დაძაბული გამოვიდა. დიდი ხანი ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა ბურთის ჩაგდებას, მხოლოდ საფინალო სირენამდე წამ-ნახევრით ადრე **დევიდ უესტმა** ულამაზესი პასი მისცა პოლს და მანაც ლამაზი ტყორცნით გადამწყვეტი ორი ქულა ჩააგდო.

საოცარი რამ დაემართა „იუტას" ლოს ანჯელესში. **ჯერი სლოუნის** შეგირდები მატჩის სამი მეოთხედის განმავლობაში თანაბრად ებრძოდნენ კალიფორნიელებს, მაგრამ ბოლო მეოთხედში სტუმრებმა თამაში შეწყვიტეს. რთულია იმის ახსნა, რატომ ვერ დააგროვეს „ჯაზმენებმა" უკანასკნელ 12 წუთში 6 ქულაზე მეტი. გარდა იმისა, რომ „იუტას" ნასროლი კალათში არ ჩადიოდა, სტუმრებმა უამრავი შეცდომაც დაუშვეს. რომ არა ბოლო წუთზე სი **ჯეი მაილზის** ჩაგდებული ბურთი, „იუტა" 1981 წლით დათარიღებულ თავისივე ანტი-რეკორდს გააუმჯობესებდა, როცა იმავე „ლეიკერსთან" ერთ მეოთხედში 5 ქულა მიითვალა.

**ატლანტა-ჩიკაგო 118:83**

22:21, 34:21, 31:15, 31:26

ა: კროუფორდი 29, სმიტი 18+7 მოხსნა, ევანსი 18, ჯონსონი 12+5 პასი.

ჩ: როუზი 19+7 პასი, ჯონსონი 17, სალსონსი 16, გიბსონი 11, დენგი 10+7 მოხსნა.

**ინდიანა-პორტლენდი 91:102**

19:26, 26:26, 30:25, 16:25

ი: ჯონსი 19, ჰენსბრო 13+11 მოხსნა, მერფი 10+7 მოხსნა, დანლივი 10.

პ: როი 29+7 მოხსნა+5 პასი, ოლდრიჯი 20+8 მოხსნა, მილერი 15+4 ჩაჭრა, პრჟიბილა 12+8 მოხსნა.

**ფილადელფია-დეტროიტი 86:90**

16:18, 26:24, 21:25, 23:23

ფ: იგუოდალა 18+9 პასი+6 მოხსნა, დალემბერი 17+11 მოხსნა, ბრენდი 17+6 მოხსნა+3 დაფარება, იანგი 11, აივერსონი 11.

დ: სტაკი 27+8 პასი, ჟერებკო 17+10 მოხსნა, მაქსიელი 12, ვილანუევა 11, ბრაუნი 11.

**ნიუ ჯერსი-გ. სტეიტი 89:105**

27:20, 21:38, 22:23, 19:24

ნ-ჯ: ლოპესი 21+10 მოხსნა, ჰარისი 19, ლი 15+8 მოხსნა, ელსტონი 12, დაგლას-რობერტსი 10+7 მოხსნა.

გ-ს: ელისი 18+8 პასი, უოტსონი 18+5 ჩაჭრა, მური 16+7 მოხსნა, კარი 14+3 ჩაჭრა, მაგეტი 13+9 მოხსნა, რენდოლფი 11+9 მოხსნა+3 დაფარება.

**მილუოკი-ტორონტო 117:95**

29:22, 28:23, 26:29, 34:21

მ: ჯენინგსი 22+6 პასი, ილიასოვა 17+9 მოხსნა, უკიჩი 17, მბა ა მუტე 16, რიდნური 15+6 პასი, დელფინო 14+8 მოხსნა, ბოგუტი 12+8 მოხსნა.

ტ: ბოში 26+10 მოხსნა, ჯეკი 12+7 მოხსნა+3 ჩაჭრა, რაიტი 10.

**მინესოტა-ნიუ ორლეანი 96:97**

29:29, 35:24, 19:25, 13:19

მ: გომესი 21+6 მოხსნა, ჯეფერსონი 17+16 მოხსნა, ფლინი 14+9 მოხსნა, ლავი 12+11 მოხსნა, ბრიუერი 11, ჰოლინზი 11.

ნ-ო: სტოიაკოვიჩი 21, ტორნტონი 20, პოლი 15+14 პასი, უესტი 13+6 მოხსნა

**ჰიუსტონი-კლივლენდი 95:85**

33:19, 19:20, 16:19, 27:27

ჰ: ბრუქსი 27+6 პასი, არიზა 26, ლენდრი 14+6 მოხსნა, ბატიე 14+3 ჩაჭრა.

კ: ჯეიმსი 27+7 პასი+6 მოხსნა, უესტი 14, ვარეჟაო 10+6 მოხსნა.

**სან ანტონიო-საკრამენტო 118:106**

30:24, 33:30, 26:28, 29:24

ს-ა: ჯეფერსონი 23+8 მოხსნა, ჯინობილი 20, პარკერი 18+11 პასი, დანკანი 17+8 მოხსნა, ჰილი 10+3 ჩაჭრა.

ს: კასპი 20+7 მოხსნა, ტომპსონი 19+9 მოხსნა, ევანსი 19+5 პასი+4 ჩაჭრა, უდრიხი 15+6 პასი, გრინი 11, ჰოვსი 10+6 მოხსნა.

**ლეიკერსი-იუტა 101:77**

24:24, 24:28, 25:19, 28:6

ლ: ბრაიანტი 27+6 მოხსნა+8 პასი, გასოლი 19+12 მოხსნა, არტესტი 16+7 მოხსნა, ბინუმი 14, ფარმარი 11.

ი: უილიამსი 17+8 პასი, ოქური 14+8 მოხსნა, მაილზი 14+5, ბუზერი 11+12 მოხსნა.




ფორმულა 1

# ერთიანი პრეზენტაცია იქნება?

როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ფორმულა 1-ის გუნდები თავიანთი ახალი მანქანების პომპეზურ პრეზენტაციებს აწყობდნენ. ამისთვის ტოპ-საჯინიბოები არენდით იღებდნენ ძვირადღირებულ დარბაზებს ან სულაც მთელ ავტოდრომს ქირაობდნენ, პრეზენტაციებზე ცნობილ მსახიობებს, მომღერლებსა თუ სპორტსმენებს პატიჟებდნენ და ლამაზ შოუს ფეიერვერკით ამთავრებდნენ.

ახლა, ფინანსური კრიზისის პერიოდში, გუნდებს ყველაფერზე ეკონომიის გაკეთება უწევთ. შესაბამისად, დაახლოებით ორი თვის წინ გაჟღერებულ იდეას ერთიანი პრეზენტაციის ჩატარების თაობაზე სულ უფრო მეტი მიმდევარი გამოუჩნდა.

ესპანურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩემპიონატის მონაწილეები შეთანხმდნენ ერთობლივი პრეზენტაციის ჩატარებაზე. ეს გრანდიოზული ღონისძიება 2010 წლის 30 იანვარს ვალენსიაში გაიმართება. დასახელდა პრეზენტაციის ჩატარების სავარაუდო ადგილიც - ხელოვნებისა და მეცნიერების ცენტრი (Ciudad de las Artes y de las Ciencias de Valencia), რომელიც რამდენიმე წლის წინ აშენდა.

იდეა სავსებით ლოგიკური ჩანს, რადგან თებერვლის დასაწყისში სწორედ ვალენსიას რიკარდო ტორმოს ავტოდრომზე დაიწყება 2010 წლის პირველი ოფიციალური ტესტები.

თუმცა კოლექტიური პრეზენტაციის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია ჯერ არ არსებობს: კერძოდ, გაურკვეველია გადადგამს თუ არა ყველა გუნდი ამ ნაბიჯს, თუ რომელიმე საჯინიბო მაინც ინდივიდუალურად მოინდომებს თავისი ახალი მანქანის წარდგენას.



გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ოლიმპიზმი. ვანკუვერის წინ

# კლაუდიამ ერთი ბრძოლა მოიგო



დისკვალიფიცირებულმა გერმანელმა მოციგურავემ კლაუდია პეხშტაინმა სასამართლოს ძალით მოიპოვა ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში გამოსვლის უფლება. ლეგენდარული სპორტსმენი მსოფლიოს თასის ერთ-ერთ ეტაპზე გამოვა და 2010 წლის ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძოლებს. გერმანელს ეს უფლება შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ მიანიჭა. *„იმედი მაქვს, რომ ვანკუვერში გამოსვლის შანსს მივიღებ“*,- ამბობს პეხშტაინი.

## ყველაზე ტიტულოვანი ისტორიაში

კლაუდია პეხშტაინი მაღლა აწეული ორი თითით გამოვიდა ჟენევის სასამართლო დარბაზიდან. ეს ნიშანი გერმანელი სპორტსმენის ლოკალურ გამარჯვებას აღნიშნავდა. შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ დააკმაყოფილა კლაუდიას ერთ-ერთი მოთხოვნა - მსოფლიოს თასის უახლოეს ეტაპზე გამოსვლა. ტურნირი 11-13 დეკემბერს სოლტ-ლეიკ-სიტიში, მსოფლიოს ერთ-ერთი უსწრაფეს საციგურაო მოედანზე გაიმართება. მოციგურავე სადოპინგო გარჩევებისას აქტიურად ინარჩუნებდა სპორტულ ფორმას და ახლა თავის მეექვსე ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსი მიილო. სპორტსმენის აზრით, სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვა მას საბოლოო გამამართლებელი განაჩენის იმედს აძლევს. *„იმედი მაქვს, გაითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ არანაირი დარღვევა არ მქონია, - მიიჩნევს პეხშტაინი. - სისხლში ცვლილება არ ნიშნავს იმას, რომ დოპინგს ვიღებდი“.*

ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა დისკვალიფიკაციის შესახებ ცნობა იმ მომენტში მიილო, როცა კარიერის დასრულებას აპირებდა. სპორტული საზომით 37 წელი - ვეტერანის ასაკია, თანაც მისი მწვრთნელი **იოახიმ ფრანკი** უკვე დიდი ხანია გადაცდა 70 წელს. ტურინში ბოლო ოლიმპიადამ პეხშტაინი ზამთრის თამაშების ისტორიაში გერმანიის ყველაზე ტიტულოვან ათლეტად აქცია. თითქოს, შეიძლებოდა სპორტიდან ლამაზად წასვლა. მაგრამ ივლისში მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა (USI) გამოაცხადა, რომ პეხშტაინის სისხლში ანომალიური ცვლილებები აღმოჩნდა და ამის საფუძველზე სპორტსმენი 2011 წლის 9 თებერვლამდეა დისკვალიფიცირებული.

## დროებითი გადაწყვეტილება

პეხშტაინი და გერმანიის მოციგურავეთა კავშირი აღშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბრალდება მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებს ემყარება. გერმანულმა მხარემ დისკვალიფიკაციის გაუქმების მოთხოვნით სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა, მაგრამ ორდღიანი მოსმენის შემდეგ ამ ორგანომ სასჯელი ძალაში დატოვა. *„კლაუდია პეხშტაინის სისხლში წარმოქმნილი ცვლილება - ათლეტის მანიპულაციების შედეგია,* - წერია სასამართლოს გადაწყვეტილებაში. - *ამ სიტუაციაში ერთადერთი მისაღები სასჯელი - ორწლიანი დისკვალიფიკაციაა“.* პეხშტაინი არ დაეთანხმა ასეთ გადაწყვეტილებას და შვეიცარიის ფედერალურ სასამართლოში იჩივლა. სწორედ ამ ქვეყანაშია USI-ს შტაბბინა.

ჯერჯერობით სასამართლო გარჩევა არ დაწყებულა, მაგრამ მოციგურავემ მოითხოვა მისთვის ტურნირებზე გამოსვლის ნება მიეცათ და მას ეს სურვილი დაუკმაყოფილეს. მაგრამ არსებობს ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი. იმ შემთხვევაში, თუ შვეიცარიის სასამართლოც დაეთანხმება დისკვალიფიკაციის სამართლიანობას, პეხშტაინის მიერ სოლტ-ლეიკ-სიტიში ნაჩვენები შედეგები გაუქმებულად ჩაითვლება.

*„შვეიცარიის სასამართლოს გადაწყვეტილება არ ნიშნავს იმას, რომ კლაუდია ბოლომდე გაამართლეს. მაგრამ მისთვის სოლტ-ლეიკ-სიტიში გამოსვლის უფლება რომ არ მიეცათ, ვანკუვერში გამგზავრების იმედი აქედანვე მოკვდებოდა“,* - განაცხადა სპორტსმენის ადვოკატმა.

## ღირსების საქმე

ვინც ყურადღებით აკვირდებოდა ლოზანას სასამართლოს მსვლელობას, ემახსოვრება, რომ საბოლოო განაჩენის გამოტანამდე მოსამართლეებმა პეხშტაინის ერთ-ერთი მოთხოვნა დააკმაყოფილეს. სპორტსმენს უნდოდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მისთვის გერმანიის ნაკრებთან ერთად ვარჯიშის უფლება მიეცათ. კლაუდიას ეს თხოვნა შეუსრულეს, მაგრამ მოგვიანებით ლოზანაში დისკვალიფიკაცია ძალაში დატოვეს. იმავე გზით წავიდა შვეიცარიის სასამართლო - პეხშტაინი საკვალიფიკაციო ტურნირზე დაუშვა, მაგრამ გადაწყვეტილებას მოგვიანებით გამოიტანს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აპელაციათა უმრავლესობა - დროის უაზრო ხარჯვაა. ლოზანაში ძალიან იშვიათად ცვლიან პირვანდელ გადაწყვეტილებას. მაგალითად, 2006 წლის მაისში არგენტინელმა ჩოგბურთელმა **გილერმო კანიასმა** დაარწმუნა სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო იმაში, რომ მის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი ტურნირის ორგანიზატორთა დაუდევრობით მოხვდა და შედეგად, კანიასს ორწლიანი დისკვალიფიკაცია 15-თვიანი სასჯელით შეუცვალეს.

ასეთი შემთხვევა იშვიათობაა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ სპორტსმენებმა ბრძოლა უნდა შეწყვიტონ. ყველა ადამიანს აქვს უფლება დაიცვას თავისი ღირსება და პატიოსანი სახელი. მაგრამ ასეთი ბრძოლა დიდ ენერგიასა და ფინანსურ რესურსს მოითხოვს. ახალგაზრდა სპორტსმენები სხვადასხვა ინსტანციაში სირბილსა და გაუთავებელ ლოდინს, დისკვალიფიკაციის მოხდასა და შემდეგ კარიერის გაგრძელებას ამჯობინებენ. გერმანელს კი ულირს ასეთი ბრძოლის წარმართვა. მისთვის დისკვალიფიკაცია კარიერის დასრულების ტოლფასია, ასე რომ, კლაუდიას დასაკარგი არაფერი აქვს და ამიტომაც ბოლომდე ბრძოლას აპირებს.

ისე კი დისკვალიფიცირებული სპორტსმენის ოფიციალურ შეჯიბრში მონაწილეობა - უნიკალური მოვლენაა, ასე რომ, ციგურებით მორბენალთა უახლოესმა ეტაპმა დიდი ინტრიგა შეიძინა.

ჩოგბურთი

# კლაისტერსი მოგებით დაბრუნდა

შარშან ამერიკის ღია პირველობაზე გამარჯვების შემდეგ, ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** პირველად გამოჩნდა კორტზე. მან ანტვერპენში, 14 ათასი მაყურებლის წინაშე საჩვენებელი მატჩი გამართა ამერიკელი **ვენუს უილიამსის** წინააღმდეგ და ორ სეტში გაიმარჯვა - 6:1, 7:5.

ამ მოგებამ ნათლად დაგვანახვა, რომ კიმს მომავალი წლისთვისაც დიდი მიზნები აქვს. ბელგიელმა უნდა დაამტკიცოს, რომ ამერიკის ღია პირველობაზე მისი წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. შეგახსენებთ, რომ კლაისტერსი შარშან ორწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა დიდ სპორტს და „ფლეშინგ მედოუს“ კორტებზე კარიერაში მეორედ მოიგო „დიდი სლემის“ ტურნირი.

ვენუს უილიამსთან შეხვედრას წინ უძღოდა ბელგიელი ჩოგბურთელის პრესკონფერენცია, სადაც კიმმა სამომავალო გეგმებზე ისაუბრა.

*„2010 წლის კალენდარი გადატვირთული არ იქნება. მთავარი ყურადღება „დიდი სლემის“ ტურნირებზე გამოსვლას დაეთმობა. წინ ავსტრალიის ღია პირველობაა, სადაც დიდი ხანია არ მითამაშია და მოუთმენლად ველი მელბურნის კორტებზე გასვლას“,* - განაცხადა კლაისტერსმა.



2010 წლის სეზონს კლაისტერსი ავსტრალიის ქალაქ ბრისბენში გამოსვლით დაიწყებს, რის შემდეგაც მელბურნში გადაინაცვლებს და „დიდი სლემის“ პირველ ტურნირში - ავსტრალიის ღია ჩემპიონატში ჩაებმება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| მაინცი A-მუნსტერი | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| ლილი-სტ.ეტიენი | 4:0 |
| ტულუზა-სოშო | 2:0 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| პორტიმონენსე-ფეირენსე | 1:0 |
| **შვეიცარიის თასი** | |
| ლუცერნი-სტ. გალენი | 1:4 |
| **ბულგარეთის თასი** | |
| მონტანა-ბეროე | 0:1 |
| **ურუგვაი** | |
| რასინგი-რივერ პლეიტი | 0:2 |
| სერო-ტაკუარემბო | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ციბონა-ბარსელონა | 66:80 |
| ჟალგირისი-მონტეპასკი | 72:83 |
| მაკაბი-კახა ლაბორალი | 82:91 |
| ოლიმპიაკოსი-უნიკახა | 89:68 |
| რომა-ცსკა | 57:72 |
| პარტიზანი-ეფესი | 93:92 |
| **ხელბურთი** | |
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| კონგო-ბრაზილია | 28:36 |
| გერმანია-საფრანგეთი | 15:29 |
| შვედეთი-დანია | 27:23 |
| ტაილანდი-ავსტრალია | 25:18 |
| ავსტრია-უკრაინა | 31:32 |
| რუსეთი-ანგოლა | 23:21 |
| ტუნისი-ჩილე | 34:16 |
| ნორვეგია-რუმინეთი | 25:24 |
| უნგრეთი-იაპონია | 35:28 |
| არგენტინა-ყაზახეთი | 24:28 |
| ჩინეთი-კოტ დ'ივუარი | 35:21 |
| ესპანეთი-კორეა | 28:27 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ამური-ლოკომოტივი | 0:1 |
| მეტალურგი (ნ)-სპარტაკი | 0:2 |
| სიბირი-მვდ | 4:6 |
| **ავსტრია** | |
| ვენა-ვილახი | 4:2 |
| **გერმანია** | |
| იზერლონი-დიუსელდორფი | 2:5 |
| **ნორვეგია** | |
| სპარტა-სტავანგერი | 5:0 |
| ვოლერენგა-ლილეჰამერი | 6:2 |
| ლორენსკოგი-სტიორნენი | 2:1 |
| მანგლერუდი-ფრისკ ასკერი | 5:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნოვა ვესი-მარტინი | 2:2 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-კალპა | 0:3 |
| პელიკანსი-კერპეტი | 0:5 |
| ტაპარა-სეიპა | 6:1 |
| ესეტი-იოკერიტი | 2:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ბუდეიოვიცე-ბრნო | 0:0 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნასი-ჰვ71 | 2:3 |
| ლულეა-ტიმრა | 3:3 |
| მოდო-ფრიოლუნდა | 3:3 |
| სიოდერტალე-ლინჩოპინგი | 0:5 |
| ფერიესტადი-აიკ | 3:2 |
| იურგორდენი-როგლე | 5:1 |

TV პროგრამა

**11 დეკემბერი. პარასკევი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. იუვენტუსი-ბაიერნი.
**10:20** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ბეშიქთაში-ცსკა.
**12:10** კალათბურთი. ევროლიგა. VII ტური. მაკაბი-კახა ლაბორალი.
**13:35** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი.
**15:20** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ოლიმპიაკოსი-არსენალი.
**17:10** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ.
**19:00** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**19:10** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დინამო-ბარსელონა.
**21:00** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**21:05** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**21:25** კალათბურთი. ევროლიგა. VII ტურის მიმოხილვა.
**22:00** 100% დინამო.
**22:30** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**23:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ლევერკუზენი (LIVE).
**01:25** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**01:35** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. იუვენტუსი-ბაიერნი.
**03:25** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
**04:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ანაჰაიმი (LIVE).
**07:15** კალათბურთი. ევროლიგა. VII ტური. მაკაბი-კახა ლაბორალი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

**08:30** კალათბურთი. ევროლიგა. VII ტურის მიმოხილვა.
**09:00** კალათბურთი. ევროლიგა. VII ტური. მაკაბი-კახა ლაბორალი.
**10:40** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სან ხოსე-ლოს ანჯელესი.
**12:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. სტანდარდი-ალკმაარი.
**14:15** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მარსელი-რეალი.
**16:05** ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**18:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ვოლფსბურგი-მანჩესტერ იუნ.
**19:50** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო.
**21:35** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ვერდერი.
**23:15** 100% დინამო.
**23:40** კალათბურთი. ევროლიგა. VII ტური. ხიმკი-პანათინაიკოსი.
**01:25** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
**01:45** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ლევერკუზენი.
**03:25** კალათბურთი. ევროლიგა. VII ტურის მიმოხილვა.
**03:55** ჩოგბურთი. ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**05:50** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მარსელი-რეალი.
**07:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო.

**EUROSPORT**

**11:35** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). I დღე. სტამბოლი. თურქეთი.
**12:30** ციგაობა. მსოფლიოს თასი. ალტენბერგი. გერმანია.
**13:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. კომბინაცია (სწრაფდაშვება). ვალ დ'იზერი. საფრანგეთი (LIVE).
**14:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. სპრინტი. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
**15:45** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ტელფორდი. ბრიტანეთი.
**17:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. კაცები. სპრინტი. ჰოჰფილცენი. ავსტრია (LIVE).
**18:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. კომბინაცია (სლალომი). ვალ დ'იზერი. საფრანგეთი.
**19:15** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ტელფორდი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS138. ლილეჰამერი. ნორვეგია.
**21:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS205. კვალიფიკაცია. გარაჰოვი. ჩეხეთი (LIVE).
**22:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:15** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი (მოკლე აუზი). II დღე. სტამბოლი. თურქეთი.
**23:00** სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ტელფორდი. ბრიტანეთი (LIVE).
**02:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:15** ექსტრემალური სპორტი.
**02:30** ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. აბერდინი. ბრიტანეთი.
**03:30** ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. აბერდინი. ბრიტანეთი.

FM 107.9
საქართველოს ხმა
ყოველ შაბათ-კვირას 15:00-22:00
რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107.9) პირდაპირ ეთერში ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები და ანალიზი, სტუდიის სტუმარი, სატელეფონო ზარები, ვიქტორინა და პრიზები - გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.
გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერია სპორტული გაზეთი „ლელო“

რეიტინგი

# დევიდ ბექჰემი ზედიზედ მეორედ

საინტერესო რეიტინგი გამოაქვეყნა ცნობილმა ჟურნალმა Sports Illustrated-მა. მან არაამერიკელი სპორტსმენების შემოსავალი დაითვალა და ყველაზე მდიდართა 20-კაციანი სია შეადგინა.

წლევანდელი რეიტინგი შვიდმა ფეხბურთელმა, ხუთმა ავტომრბოლმა (მოტომრბოლმა), ორმა კალათბურთელმა, ორმა გოლფისტმა, ორმა ჩოგბურთელმა, ერთმა ბეისბოლისტმა და ერთმა მოკრივემ დააკომპლექტეს. ამ ოცეულში მხოლოდ ოთხი სპორტსმენია, რომლებიც ამერიკის სხვადასხვა პროფესიულ ლიგაში თამაშობენ. მათგან ერთ-ერთი - „ლოს ანჯელეს გელაქსის" ინგლისელი ფეხბურთელი **დევიდ ბექჰემი** სათავეში უდგას სიას. მისი შემოსავალი 45 200 000 დოლარს უდრის. სხვათა შორის, ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა შარშანდელი პირველი ადგილი შეინარჩუნა.

ცნობისთვის, აქ გათვალისწინებულია არა მარტო სპორტსმენთა ხელფასი, არამედ პრემიალური თანხები, ბონუსები, სარეკლამო და სხვა შემოსავლები.

| | |
|---|---|
| 1(1). დევიდ ბექჰემი (ინგლისი, ფეხბურთი) | $45 200 000 |
| 2(2). კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფორმულა 1) | $40 100 000 |
| 3. მენი პაკიაო (ფილიპინები, კრივი) | $40 000 000 |
| 4(4). ლეონელ მესი (არგენტინა, ფეხბურთი) | $39 900 000 |
| 5(6). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, ფორმულა 1) | $35 000 000 |
| 5(7). ვალენტინო როსი (იტალია, მოტორბოლა) | $35 000 000 |
| 7(8). იაო მინი (ჩინეთი, კალათბურთი) | $33 070 550 |
| 8(11). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, ფორმულა 1) | $32 800 000 |
| 9(5). როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი) | $29 561 341 |
| 10. ვიჯეი სინგხი (ინდოეთი, გოლფი) | $28 681 028 |
| 11(3). რონალდინიო (ბრაზილია, ფეხბურთი) | $27 400 000 |
| 12(9). კრისტიანო რონალდო (პორტუგალია, ფეხბურთი) | $25 500 000 |
| 13. სერხიო გარსია (ესპანეთი, გოლფი) | $24 976 830 |
| 14(9). ტიერი ანრი (საფრანგეთი, ფეხბურთი) | $23 700 000 |
| 15(10). იჩირო სუძუკი (იაპონია, ბეისბოლი) | $22 500 000 |
| 16(18). დირკ ნოვიცკი (გერმანია, კალათბურთი) | $22 077 904 |
| 17(13). მარია შარაპოვა (რუსეთი, ჩოგბურთი) | $21 937 879 |
| 18. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ფორმულა 1) | $21 100 000 |
| 18(19). კაკა (ბრაზილია, ფეხბურთი) | $21 100 000 |
| 20. ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი, ფეხბურთი) | $19 500 000 |

შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემულია რეიტინგში შარშანდელი პოზიცია. პაკიაო, სინგხი, სერხიო გარსია, ბატონი და იბრაჰიმოვიჩი შარშან არ შედიოდნენ ოცეულში.






ჩოგბურთი



# ელტონ ჯონმა როდიკს მოუგო

ლუიზიანას შტატში გაიმართა საქველმოქმედო მატჩი, რომელიც შიდსთან ბრძოლის ფონდის მიერ იყო ორგანიზებული. ამ ორგანიზაციას სათავეში ლეგენდარული ბრიტანელი მომღერალი **ელტონ ჯონი** უდგას.

საჩოგბურთო შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილეც სწორედ ელტონ ჯონი გახლდათ. მან ქალებს შორის მსოფლიოს პირველ ჩოგანთან **სერენა უილიამსთან** შექმნა დუეტი, კორტის მეორე მხარეს კი რუსი **ანა კურნიკოვა** და ამერიკელი **ენდი როდიკი** იდგნენ. ელტონისა და სერენას წყვილმა ეს მინი-მატჩი 4:3 მოიგო.

ეს შეხვედრა წინ უძღოდა ოფიციალურ მატჩებს, რომლებშიც ჩამოთვლილ ჩოგბურთელთა გარდა მონაწილეობა მიიღეს გერმანელმა **ტომი ჰაასმა** და ამერიკელებმა - **ლინდსი დავენპორტმა, ჩანდა რუბინმა** და **ლიზელ ჰუბერმა**.

ელტონ ჯონის გუნდმა ჯამში 16:13 დაამარცხა ლეგენდარული ამერიკელის **ბილი ჯინ კინგის** გუნდი. სულ ამ ღონისძიებით ბრიტანელი მომღერლის საქველმოქმედო ფონდი 640 ათასი დოლარით შეივსო.

# რუსები ორენჯ ბოულიდან გაყარეს

რუსი ჩოგბურთელები - **რიჩარდ მუზაევი** და **ვიქტორ ბალუდა** ნაადრევად გამოეთიშნენ იუნიორთა ყოველწლიურ პრესტიჟულ ტურნირს, რომელიც Orange Bowl-ის სახელს ატარებს. ამის მიზეზი გახდა ჩხუბი, რომელიც კი ბისკეინის სახელგანთქმულ საჩოგბურთო არენაზე რუსმა მოთამაშეებმა მოაწყვეს. მათ გარდა ამ სკანდალში ამერიკელი **კემპბელ ჯონსონიც** გაეხვია. სამივე ჩოგბურთელი ტურნირიდან იქნა გაძევებული.

გუშინ მუზაევს 18-წლამდელთა ტურნირში მეორე წრის მატჩი უნდა ეთამაშა პირველ ნომრად განთესილ ფრანგ **ჟიანი მინასთან**, მაგრამ რუსს ტექნიკური წაგება ჩაეთვალა. იგივე ბედი ეწია ბალუდასაც, ვისაც ამერიკელ **მიტჩელ ფრანკთან** უწევდა თამაში.

იუნიორთა ტურნირი - Orange Bowl 1948 წლიდან მოყოლებული ტარდება და სწორედ აქ მოწმდება ხოლმე საჩოგბურთო სამყაროს უახლოესი რეზერვი. როგორც გითხარით, წელს Orange Bowl-ს ფლორიდას შტატის ქალაქი კი ბისკეინი მასპინძლობს.

სხვათა შორის, ბოლო პერიოდში რუსი სპორტსმენები ყველანაირად ნეგატიურ ასპექტში წარსდგნენ სპორტული სამყაროს წინაშე. ქვეყნის ფეხბურთელები მსოფლიოს ჩემპიონატის უმნიშვნელოვანესი საკვალიფიკაციო მატჩების წინ ლოთობაში დაადანაშაულეს, მოთხილამურეების, ბიატლონისტებისა და მძლეოსნების დოპინგ-სკანდალებსა და დისკვალიფიკაციებზე ბევრჯერ დაგვიწერია, იმასაც გატყობინებდით, რომ რუსეთის მოციგურავეთა ოლიმპიური ნაკრების ნევრი ამერიკაში დათვრა და მანქანა გაიტაცა, რის გამოც ციხეში ამოაყოფინეს თავი. ახლა კი ჩხუბი პრესტიჟულ საჩოგბურთო ტურნირზე, რასაც მორიგი სამარცხვინო სასჯელი მოჰყვა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

